კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ლაშა ხოხონიშვილი

ისლამიზმის გავლენა ეგვიპტის საშინაო პოლიტიკაზე და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე

ისტორიის მეცინიერებათა დოქტორი

თბილისი-2020

ანოტაცია

ისლამიზმისთვის ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის აღმოჩნდა ეგვიპტეში. ისლამიზმის განვითარებას ამ ქვეყანაში ხელი შეუწყო დიდი ბრიტანეთის კოლონიურმა პოლიტიკამ. ხალხი უკმაყოფილო იყო ეგვიპტეში არსებული ვითარებით, კონკრეტულად იმით რომ ამ ქვეყანაში ადგილობრივი მოსახელობაზე უფრო კარგად გრძნობდნენ თავს უცხოელები. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ისლამიზმის განვითარებას და ამის ფონზე რადიკალური ტერორისტული ისლამისტური ორგანიზაციის ,,მუსლიმი ძმების“ ჩამოყალიბებას.

აღნიშნული ორგანიზაციის თავდაპირველი მიზანი იყო სოციალური პრობლემების მოგვარება , მაგრამ ძმები მუსლიმების ორგანიზაცია ძალიან მალე ტერორისტულ საქმიანობით დაკავდა და შესაბამისად ამ ტიპის ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

ძმები მუსლიმების ორგანიზაცია განსაკუთრებით გააქტიურდა, მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა სეკულარიზმი ეგვიპტეში. აქედან მოყოლებული ეს ორგანიზაცია ცდილობდა ქვეყნის პოლიტიკური მართვის სადავეები ხელში აეღო და ამისთვის ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდება. ამან განაპირობა ის რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობა აიკრძალა ქვეყანაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ორგანიზაციამ საფუძველი დაუდო დანარჩენ ტერორისტულ ორგანიზაციას და უფრო მეტიც, ის წარმოადგენს დღემდე არსებული ტერორისტული ორგანიზაციის ძირითად იდეოლოგს.

მუსლიმი ძმების გარდა, ეგვიპტეში სხვა ისლამისტური ორგანიზაციები ჩამოყალიბდა, რომლებიც შემდეგ გაერთიანდნენ ტერორისტულ ორგანიზაციაში, ალკაიდაში. განსაკუთრებით ისლამისტურ ორგანიზაციებიდან გამოკვეთილია თავისი საქმიანობით , პოლიტიკური აქტიურობით და ტერორისტული საქმიანობით ძმები მუსლიმები. აღნიშნული ორგანიზაცია გასული საუკუნიდან დაწყებული დღემდე აქტიურად ცდილობს, რომ მოვიდეს ეგვიპტის ხელისუფლებაში. მუსლიმ ძმებს ამისთვის საკმაოდ კარგი შესაძლებლობა მიეცათ ხოსნიმ მუბარაქის გადადგომის შემდეგ. მუსლიმი ძმები მართლა მოვიდნენ ხელისუფლებაში, დემოკრატიულად, არჩევნების გზით.

მუსლიმმა ძმებმა დიდი ხანი ვერ შეინარჩუნეს ხელისუფლება, ეგვიპტეში და ისინი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ჩამოცილებული იქნა. ამ ყველაფრის მიზეზი იყო ეგვიპტეში დემოკრატიული პროცესების განვითარება და ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლა.

ბოლო რამდენიმე წელია ძმები მუსლიმები ისევ ცდილობენ პოლიტიკური მართვის სადავეები ხელში აღებას, მაგრამ ამისთვის არანაირი პირობები არ არსებობს.

Lasha Khokhonishvili

Annotation

The impact of Islamism on Egypt domestic politics and regional security issues.

The most fertile ground for Islamism in the Middle East has been found in Egyp. The development of Islamism in this country was facilitated by the colonial policy of Great Britain. People were dissatisfied with the situation in Egypt, in particular, foreigners felt better about the local population in this country. This circumstance contributed to the development of Islamism and against this background, the formation of the radical terrorist Islamist organization "Muslim Brotherhood". The original purpose of this organization was to solve social problems, But the Muslim Brotherhood soon became involved in terrorist activities And accordingly formed as this type of organization. The organization of the Muslim Brotherhood became especially active after secularism was established in Egypt. From then on, the organization sought to seize control of the country's political system And for that, he does not shy away from terrorist acts. This has led to the banning of the organization for several decades. It is noteworthy that this organization laid the foundation for the rest of the terrorist organization and, moreover, it is the main ideologue of the current terrorist organizatio. In addition to the Muslim Brotherhood, other Islamist organizations have been formed in Egypt, Who then joined a terrorist organization, Alkaida.

The Muslim Brotherhood is particularly notable for its Islamist activities, political activism, and terrorist activities. The organization has been actively trying to come to power in Egypt since the last century. The Muslim Brotherhood was given a good opportunity to do so after the resignation of Hosni Mubarak. The Muslim Brotherhood really came to power, democratically, through elections. The Muslim Brotherhood has long been unable to maintain power in Egypt, They were removed as a result of the coup. The reason for all this was the development of democratic processes in Egypt and the rise of Islamists to power. For the past few years, the Muslim Brotherhood has been trying to take over the reins of political governance, but there are no conditions for that.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I: ეგვიპტის პოლიტიკური განვითარების ეტაპები სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე.....10

1.1 ოსმალეთის იმპერიაში შემავალი ეგვიპტეში დიდი ბრიტანეთის გააქტიურება და მისი მხარდაჭერა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.....10

1.2 სუვერენული ეგვიპტის სახელმწიფო და ამ სახელმწიფოს განვითარების ეტაპები.....17

თავი II: ისლამური ფუნდამენტალიზმის განვითარებისათვის ეგვიპტეში არსებული პოლიტიკური ვითარება.....24

2.1 ეგვიპტეში არსებული ვითარება ,,მუსლიმი ძმების" ასოციაციის ჩამოყალიბებასა და მღვაწეობისათვის.....24

2.2 ,,მუსლიმი ძმების" გააქტიურება ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ტერორიზმის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის.....35

2.3 სხვა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები ეგვიპტის პოლიტიკაში თაქბირ ვალ ჰიჯრა, ალ ჯიჰადი, თანზიმ ალ ჯიჰადი და სხვა.....45

თავი III: ,,არაბული გაზაფხული" და ისლამისტების აქტივობის ახალი ეტაპი ეგვიპტეში.....53

3.1 ისლამისტების მოსვლა ეგვიპტის ხელისუფლებაში ,,არაბული გაზაფხულის“ შედეგად.....53

3.2 ისლამისტებისათვის არახელსაყრელი პირობების მიზეზები ეგვიპტის პოლიტიკაში.....60

დასკვნა.....64

გამოყენებული ლიტერატურა.....67

შესავალი

თემის აქტუალობა. ისლამიზმის აღორძინებისათვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგი გასული საუკუნის 30–იანი წლების დასაწყისიდან ეგვიპტე აღმოჩნდა, რამაც ბუნებრივია შესაბამისი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნის როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაზე. ეს გავლენა დღემდე გრძელდება.ისლამისტებიდან განსაკუთრებით „მუსლიმი ძმები“ ეგვიპტის პოტიკაში საკმაო ხანია რაც აქტიურობენ.ისინი ყოველთვის ისწრაფვოდნენ ამ ქვეყნის ხელისუფლებაში მოსასვლელად.მათი აქტიურობა რამოდენიმე ათეული წელია არ შენელებულა მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ოფიციალურად აკრძალულია ეგვიპტეში.“მუსლმიმი ძმების “ ხელისუფლებაში მოსვლა ცოტახნით მაგრამ მაინც განაპირობა „არაბული გაზაფხულის“ შედეგად ეგვიპტეში განვითარებულმა მოვლენებმა , მაგრამ იმევაე “არაბულმა გაზაფხულმა” ცხადყო რომ ისლამიზმისთვის ქვეყანაში არ არსებობს არანაირი მყარი ნიადაგი, რათა მათ დაიკავონ ხელში მართვის სათავეები. „მუსლიმი ძმების“ აქტიურობა კვლავ გრძელდება მაგრამ შედეგს ვერ აღწევენ ეგვიპტეში ხელისუფლებას ზომიერი ისლამისტები ინარჩუნებენ. აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია.

საკვლევი კითხვები.

1.რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ისლამიზმის გავითარებას ეგვიპტეში?

2.როგორ შექმნა “არაბულმა გაზაფხულმა “ეგვიპტის ხელისუფლებაში ისლამიზმისთის არახელსაყრელი პირობები ?

3.რატომ ვერ დამკვიდრდნენ „ძმები მუსლიმები“ და ზოგადად ისლამისტები ეგვიპტის ხელისუფლებაში?

ჰიპოითეზა. პოლიტიკურ ისლამს საფუძველი ეგვიპტეში დაედო . „მუსლიმი ძმებით“ დაიწყო ისლამისტების გააქტიურება ისლამურ სამყაროში.მიუხდავად ამისა მათ ვერ შეძლეს ამ ქვეყნის ხელისუფლებაში მყარად დამკვიდრება, რისი მიზეზიც არის ის , რომ ქვეყანაში ისლამიზმისათვის არ არის ხელსაყრელი პირობები.

თემის მიზნები და ამოცანები. ჩვენი კვლევის მიზანია ზოგადად “ისლამიზმის” ფენომენის განვითარების მიზეზების და ისლამში ამ რადიკალური მიმართულების წარმოშობის შესწავლა . ამასთანავე კონკრეტულად ჩვნე ს მიზანს წარმოადგენს ეგვიპტეში “ილსამიზმის “განვითარებისათვის ეგვიპტეში შექმნილინოყიერი ნიადაგი, რამაც ხელი შეუწყო “მუსლიმი ძმების” აღორძინებას და განვითარებას და ამ ფონზე ამ “ისლამისტური” მოძრაობის „გააქტიურების მიზეზების დადგენა.ჩვენი ამოცანაა გამოვიტანოთ შეძლებისდაგვარად სწორი დასკვნები იმასთან დაკავშირებით, თუ რა აფერხებს ისლამიზმის გაძლიერებას ეგვიპტის პოლიტიკურ ასპარეზზე, რადგანაც ისლამიზმი საფრთხეს არამც თუ ამ ერთ ქვეყანას არამედ რეგიონს უქმნის იქედან გამომდინარე, რომ ისლამისტური მოძრაობები სათავეს უდებენ ტერორისტულ დაჯგუფებებს, რაც არამარტო რეგიონისთვი არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის სერიოზულ გამოწვევად იქცა.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია. ნაშრომის დამუშავების დროს გამოვიყენე „პოლიტიკური რეალიზმის “ თეორია (,,prisoner’s dilemma”), რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო.

- „ძალთა ბალანსის“ თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.
- კრიტიკული თეორია
- სოციალური კონტრუქტივიზმის თეორია

კვლევის მეთოდები.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდები:
ინტერდისციპლინარული მეთოდი;
ისტორიულ-აღწერილობითი;

არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;
ნარატიული ანალიზი.
კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევქმნით აკადემიური ხასიათის ნაშრომს, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს.სასურველია, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგეთ ეგვიპტის შიდა პოლიტიკური პრობლემებითა და კონრეტულად კი ამ ქვეყანაში ისლამიზმით დაინტერესბულ პირებს. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შედეგების განხილვა.

კვევასი ყურადღება იქნება გამახვილებული, ისლამისტური დაჯგუფებეის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცელობებზე. ამასთანავე ყველა ის ფაქტორი, რაც მათ დაეხმარებათ ან ხელს შეუშლის მათი გეგმების განხორციელებაში. როგორ ახდენს რეგიონის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მათი ქმედებები გავლენას და რა საფრთხის მატარებლები არიან.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

1.სანიკიძე, გიორგი. ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ტეორორიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი - ცნებათა განმარტებისათვის. პერსპექტიკა - xxi, ii, 1999, გვ.15-31

აღნიშნულ სამეცნიერო წერილში გაანალიზებული და განმარტებულია ჩვენი თემის ისეთი საკვანძო საკითხი, როგორიცაა ისლამიზმი, ამიტომ ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გვიწევს თემაზე მუშაობისას.

2.ქაროსანიძე, თინათინ. ფუნდამენტალიზმი და ისლამიზმი თანამედროვე ეგვიპტეში, თბილისი 2009

აღნიშნულ მონოგრაფიაში შესწავლილია ეგვიპტეში ისლამიზმის განვითარების მიზეზები დ ამუსლიმი ზმების ორგანიზაციის წარმოქმნისა და განვითარების

ეტაპები გასული საუკუნის 30–იანი წლებიდან 21–ე საუკუნის 10–იანი წლების დასასრულამდე.შესაბამისად აღნიშნული მონოგრაფია ჩვენი კვლევისთვის საინტერესო მასალას შეიცავს.

Kepel, Gillers. Muslim Extremism in Egypt. Berkeley: university of California Press, 1984, 2002.

მუსლიმი ექსტრემიზმები და ზოგადად ისლამიზმი კარგადაა შესწავლილი აღნიშნულ ნაშრომში, რაც ასევე ჩვენი კვლებისათვის საჭირო მასალებს შეიცავს.

4.გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი ტომი II 2019.

აღნიშნული ნაშრომუ დაგვეხმარება არაბული გაზაფხულის შედეგად ეგვიპტეში მიმდინარე შიდა პოლიტიკური ვითარების შესასწავლად.მასში მოკლედ მაგრამ საინტერესოდაა განხილული ისლამისტების კრახის მიზეზი ეგვიპტის მართველობის სადავეების ხელში ჩასაგდებად

ამავე დროს ვიყენებ სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე მასალებს.

https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/

https://www.theguardian.com/world/2018/aug/01/petition-signals-egyptian-presidents-abdel-fatah-al-sisi-intention-to-seek-third-termpp1

თავი-1 ეგვიპტის პოლიტიკური განვითარების ეტაპები სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე

1.1ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ეგვიპტეში დიდი ბრიტანეთის გააქტიურება და მისი მხარდაჭერა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

XVIII საუკუნის ბოლოსთვის სრულიად სხვა ეტაპზე გადავიდა ევროპის სახელმწიფოები კოლონიებისთვის საბრძოლველად. არაბული აღმოსავლეთის მდიდარი რეგიონებს ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდნენ მთელი რიგი სახელმწიფოები, შესაბამისად ეგვიპტესაც, რომლის ხელში ჩაგდებაც უნდოდა ინგლისს და საფრანგეთს. ეგვიპტე ძალზე მნიშვნელოვანი და სტრატეგიული რეგიონი იყო აღმოსავლეთში შესაღწევად.[1]

ეგვიპტეში, რომ შეღწეულიყო საფრანგეთი 1785 წელს დაიდო კონვენცია საფრანგეთსა დაა ეგვიპტეს შორის სუეცის გზის მეშვეობით ინდოეთისაკენ ფრანგი ვაჭრების თავისუფალი მიმოსვლის შესახებ. კონვენციის თანახმად ფრანგულ გემებს შეძლოთ შესულიყვნენ ეგვიპტის ნებისმიერ ნავსადგომში, ასევე მათ შეეძლოთ გადაეხადათ იმდენივე ბაჟი, რამდენსაც იხდიდნენ ოსმალეთის წარმომადგენლები. თუ ვაჭარი დააშავებდა რამეს, მის საქმეს განიხილავდა საფრანგეთის გემის კაპიტანი ან კონსული. აღნიშნული სავაჭრო კონვენცია საფრანგეთისთვის დიდ მიღწევას წარმოადგენდა, რადგანაც ამით მას გზა ხსნილი ჰქონდა ეგვიპტეში, რომ დაეკავებინა გაბატონებული მდგომარეობა.

1789 წელს საფრანგეთში დაწყებული რევოლუციის გამო, ეგვიპტის საკითხი რამდენიმე წლით გადაიდო. თუმცა, 1794 წლიდან ეგვიპტემ დიდი ადგილი დაიკავა

[1] გ, სანიკიძე, გ, ალასანია ნ, გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.–XXIს.- ის დასაწყისი) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი - 2011 წელი. გვ 81-91

დირექტორის საგარეო პოლიტიკაში და ასევე ნაპოლეონის ამბიციურ პოლიტიკურ გეგმებშიც.

1797 წლის დეკემბერში ნაპოლეონმა დირექტივას წარუდგინა ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციის პროექტი. 1797 წლის 17 ოქტომბერს საფრანგეთმა იტალიის ერთ-ერთ ქალაქში ავსტრიასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 1798 წლისთვის დირექტივამ გასცა განკარგულება, რომ შეეძლოთ ეგვიპტეში ლაშქრობა. ნაპოლეონ ბონაპარტე კი დაინიშნა ეგვიპტეში ექსპედიციის ხელმძღვანელად.

ნაპოლეონმა დაიკავა კუნძული მალტა, როცა ეს ყველაფერი ნელსონმა გაიგო, რომ ნაპოლეონმა მოატყუა, დაეუფლა კუნძულ მალტას და აპირებდა ეგვიპტის დაკავებას, ამის გამო მალევე წავიდა იქით, რომ არ დაეშვა ნაპოლეონს არ დაეკავებინა ალექსანდრია.

მიუხედავად ამისა 1798 წლის 1ივლიის საფრანგეთი მიადგა ალექსანდრიის ნაპირებს. ალექსანდრიის მაცხოვრებლები შეეცადნენ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ფრანგებისთვის, მაგრამ უშედეგოდ და იძულებულნი გახდნენ დაედოთ ზავი საფრანგეთთან. საფრანგეთი მოსახლეობას დაჰპირდნენ, რომ იქნებოდნენ უსაფრთხოდ, უბრძანეს დაეტოვებინათ გამაგრებული პოზიციები. ქალაქში ამანი გამოაცხადეს, აღმართეს ფრანგული დროშები.

საფრანგეთის მიერ ალექსანდრიის ხელში ჩაგდებამ აღაშფოთა კაიროს მოსახლეობა და ამის გამო მოსახლეობის უმრავლესობამ დატოვა ქალაქი. ოსმალეთის ნაცვალმა ეგვიპტეში კურიერს გაატანა შეტყობინება, რომელშიც სტამბულს ატყობინებდა ეგვიპტეში არსებულ სიტვაციას. მამლუქები კი აპირებდნენ გამგზავრებულიყვნენ ალექსანდრიაში.

პირველი დაპირისპირება მამლუქებთან მოხდა 1798 წლის 13 ივლისს სოფელ შუბრახითთან , სადაც გამარჯვება მოიპოვეს ფრანგებმა.

მამლუქებმა დაიწყეს კაიროს გამაგრება. 1798 წლის 21 ივლისს ნაპოლეონი კაიროს მიადგა. 24 ივლის უკვე ნაპოლეონი და მისი არმია კაიროში შევიდა. ალექსანდრიის და კაიროს დაკავების შემდეგ მათ უპრობლემოდ შეძლეს დანარჩენი დასახლებული პუნქტების ხელში ჩაგდება. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 11 აგვისტოს, სადაც ოსმალეთი დამარცხდა.

ალექსანდრიაში შესვლისთანავე ნაპოლეონმა მანიფესტით მიმართა ეგვიპტეს. ნაპოლეონი მოვლის საბაბად ასახელებდა მამლუქი ბეების მიერ ფრანგი ვაჭრების შევიწროვებას და დევნას.

ფრანგებმა დაიკავეს ალექსანდრია, კაირო და სხვა პუნქტები. ნაპოლეონის ეგვიპტეში ისლამოფილურ პოლიტიკას ატარებდა, რომლის თვალსაჩინო მაგალითია ყურანის და ისლამური სიწმინდეების პატივისცემა.

ნაპოლეონმა გასცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც დაპყრობილი ტერიტორიების მართვა გადასცა დივანს - სათათბირო საბჭოს და მათი მეშვეობით შეიხებს, რომლებიც გახდნენ დივანის წევრები. დივანი იყო სათათბირო-აღმასრულებელი ორგანო და არსებობდა არა მარტო პროვინციებში, არამედ კაიროში.

ნაპოლეონმა, ეგვიპტეში დამკვიდრების გამო, წამოაყენა იდეა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფი არაბული ქვეყნების გაერთიანების შესახებ, ამიტომაც დაიწყო პროპაგანდის გავრცელება ამ მიმართულებით. ოსმალეთმა ეს ყველაფერი შეაფასა როგორც, მის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო დაპირისპირება და შეცვალა საფრანგეთის მიმართ თავისი დამოკიდებულება.

ამ ყველაფრის ფონზე ფრანგული არმია აღმოჩნდა მტრების გარემოცვაში, ზღვიდან უტევდა ინგლისის ფლოტი, სირია-პალესტინიდან კი სულთნის არმია მოემართებოდა, ასევე კაიროში 1798 წლის 21 ოქტომბერს პირველი აჯანყება დაიწყო.

აჯანყებულთა ძირითად რიცხვს შეადგენდა დაბალი და ღარიბი ფენა. 1798 წლის 22 ოქტომბერს საფრანგეთი გადავიდა შეტევაზე, 23 ოქტომბერს ფრანგები შევიდნენ აჯანყებულთა მიერ ხელში ჩაგდებულ კვარტლებში. აჯანყებულები დამარცხდნენ, მიზეზად კი სახელდება არაორგანიზებულობა, დაქსაქსულობა და ერთიანი გეგმის არ ქონა, ცუდი შეიარაღება.

ნაპოლეონმა კაიროში აჯანყებულთა ჩახშობის შემდეგ, საუკეთესო დივიზია გაგზავნა ზემო ეგვიპტეში, რომ საბოლოოდ ჩაეხშო მამლუქთა თარეში და აღნიშნული ტერიტორიები გადასულიყო საფრანგეთის მფლობელობაში. ნაპოლეონმა ამ ყველაფრის ფონზე დაიწყო ექსპედიცია სირიაში.

სირიის ექსპედიცია 1799 წელს დაიწყო, თავდაპირველად ნაპოლეონის არმიამ დაიკავა ქალაქები: ღაზა, იაფა, ალ-არიშა და მარტის ბოლოსთვის მიადგნენ აკრას. ფრანგებმა მარცხი განიცადეს აკრასთან, გზა ჩაეკეტათ ჩრდილოეთით. 1799 წლის მაისისტვის ნაპოლეონმა დაიწყო უკან დახევა. საფრანგეთის არმია დაბრუნდა ეგვიპტეში. [2]

---

[2] გ, სანიკიძე, გ, ალასანია ნ, გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.–XXIს.- ის დასაწყისი) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი - 2011 წელი. გვ 91-98

ასევე გაჭიანურდა ზემო ეგვიპტის ხელში ჩაგდება. მამლუქები მარცხის მიუხედავად, იძულებული გახადეს გენერალი დეზე დარჩენილიყო ზემო ეგვიპტეში და ამიტომაც მარ ვერ მოახერხა დახმარება აღმოეჩინა ნაპოლეონისთვის სირიაში, სადაც ყველაზე მეტად უნდოდათ დახმარება.

ნაპოლეონს ეგვიპტეში არცთუ კარგი მდგომარეობა დახვდა. ქვყანაში ისევ დაიწყო მღელვარება. გახშირებული იყო ბედუინთა თავდასხმა, ასევე აჯანყდა მოსახლეობა. 1799 წლის 25 ივლისს ნაპოლეონმა დაამარცხა ინგლის-ოსმალეთის დესანტი. ამ ყველაფრის მიუხედავად, ნაპოლეონმა იცოდა, რომ ეგვიპტის კამპანია მარცხისთვის იყო განწირული.

სირიის ექსპედიციამ დიდი ზარალი მიაყენა ნაპოლეონის არმიას, ხაზინა სრულიად დაცარიელებული იყო. არმიის შესანახად კლებერმა გაზარდა გადასახადი. მაგრამ არსებული მდგომარეობა საფრანგეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ინგლისის ფლოტი და ოსმალეთის არმია საფრთხეს წამოადგენდა ეგვიპტეში მყოფ ფრანგულ არმიისთვის. კლებერმა იცოდა, რომ არსებული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი იყო ქვეყნიდან არმიის ევაკუაცია.

1800 წელს კლებერმა მოაწერა ხელი ზავს ინგლისთან და ოსმალეთთან, რომლის მიხედვითაც აღუთქვეს მას გემები ფრანგული არმიის სამშობლოში დასაბრუნებლად. ასევე მათ მისცეს პირობა ფრანგული არმიის უსაფრთხოების, სანამ არ ჩავიდოდნენ საფრანგეთში. საფრანგეთს კაირო უნდა დაეტოვებინა 45 დღეში, 90 დღეში კი ეგვიპტე. როცა მოხდა ხელშეკრულების რატიფიკაცია, ორივე მხარემ დაიწყო ხელშეკრულების პირობების შესრულება. მაგრამ როცა დადგა ფრანგთა ევაკუაციის საკითხი, კლებერმა მოულოდნელად გასცა განკარგულება მის შეჩერების შესახებ და დამატებითი დროის მოცემა ითხოვა. 1800 წლის 20 მარტს ალ-მატარიასთან კლებერმა დაამარცხა ოსმალეთი, რომლებიც სირიისკენ დაიხიეს.

1800 წლის 16 აპრილს ფრანგებმა ხელთ იგდეს ბულაკი. ამის შემდეგ მატ ყურადღება გადაიტანეს კაიროსაკენ. საომარი მოქ[3]მედების დაწყებამდე კლებერმა დაიწყო მოლაპარაკება. ოსმალებს და მამლუქებს სამ დღეში უნდა დაეტოვებინათ კაირო. 1800 წლის 14 ივნის მოკლული იქნა კლებერი ოსმალეთის მიერ მიგზავნი ტერორისტის მიერ. კლებერის მკვლელობის საპასუხოდ ფრანგებმა კაიროს განადგურება დაიწყეს.

1801 წლის მარტში გადმოსხეს დესანტი ინგლისელებმა, რომლებმაც დაიკავეს აბუკირი. გაანადგურეს ფრანგული არმიის ძირითადი ნაწილი და ალყა შემოარტყეს ალექსანდრიას, ასევე კაიროში დარჩენილ ფრანგულ არმიის ნაწილს. 1801 წლის 27

[3] *Connelly.* Blundering to Glory: Napoleon's Military Campaigns. Rowman & Littlefield Pub., 2006. 3rd ed.p..29-47.

ივნისს კაიროში, ინგლის ჩაბარდა ფრანგული გარნიზონები. 31 აგვისტოს, ოთხ თვიანი ალყის შედეგად ალექსანდრია ჩაბარდა. 1801 წლის 9 ოქტომბერს საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი.

1802 წლის 25 მარტს დადებული ამიენის ზავით, საფრანგეთი და ინგლისი აღიარებდნენ ოსმალეთის სამფლობელოებს ომამდელ საზღვრებში. აღნიშნულ შეთანხმებას ოსმალეთი შეუერთდა 1802 წლის 13 მაისს და 25 ივნისს ხელი მოაწერა ზავს საფრანგეთთან. რითაც ფორმალურად ეგვიპტე დარჩა ოსმალეთის იურისდიქციის ქვეშ. ეგვიპტეში განლაგებული იქნა სამი სამხედრო კონტინენტი. ესენი იყო: ოსმალეთის არმია, ინგლისის კორპუსი, მამლუქთა ნაწილები, რომელთა შორის ცუდი ურთიერთობა არსებობდა.[4]

საფრანგეთის რევოლუცია და ასევე საფრანგეთის დირექტორიის მიერ 1798-1801 წლებში არსებულმა ექსპედიციამ მისცა ბიძგი, რომ გატარებულიყო ქვეყანაში რეფორმები. ამ მხრივ ძალიან დიდი როლი შეასრულა, მუჰამედ ალიმ, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც ,,თანამედროვე ეგვიპტის ფუძემდებელს“.

მუჰამედ ალის მმართველობის საწყის ეტაპზე ქვეყანა ძალიან რთულ კრიზისში იყო. ფორმალურად, ეგვიპტე იყო ოსმალეთის იურისდიქციის ქვეშ, რომლის ბატონობისთვის იბრძოდნენ მამლუქები.

მუჰამედ ალის რეფორმების ხელშემწყობი გარემოებები იყო: პირველი ის, რომ მუჰამედ ალის უნდოდა განემტკიცებინა თავისი ადგილი და გაეძლიერებინა თავისი სამხედრო დასაყრდენი, ამ მიზნის მისაღწევად მან გაატარა სამხედრო რეფორმები. მეორე გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ მას არ შეეძლო ისე დაეტოვებინა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, სადაც სულ უფრო მატულობდა სურვილი, რომ გათავისუფლებულიყვნენ ოსმალთა ბატონობისგან. მესამე ფაქტორი იყო ის რომ, მისთვის ცნობილი იყო ნაპოლეონის გეგმები ეგვიპტისადმი. მუჰამედ ალიმ დაიწყო რეფორმების გატარება.

მუჰამედ ალიმ დაიწყო ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მოდერნისტული. რეგულარული არმიის შექმნა მუჰამედ ალი შეუდგა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე.

მუჰამედ ალის რეფორმატულმა პოლიტიკამ მიზნად დაისახა არაბულენოვანი პროვინციების გაერთიანება, რათა შეექმნა ერთიანი არაბული სახელმწიფო. 1811

[4] *Smith.* The Greenhill Napoleonic Wars Data Book. Greenhill Books, 1998. Pp.137- 139

წლიდან მუჰამედ ალი აწარმოებდა ორი ათეული წლის განმავლობაში ომებს, რის შედეგადაც მან ხელთ იგდო არაერთი არაბული აღმოსავლეთის ქვეყანა.

1840 წელს დაიდო ლონდონის კონვენცია ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთს, პრუსია, ავსტრია, რუსეთს და მეორე მხრივ ოსმალეთს შორის. მათ შესთავაზეს მუჰამედ ალის, რომ მას და მის მემკვიდრეებს მუდმივად ექნებოდა კონტროლი [5]ეგვიპტეზე და აქქას პროვინციაზე, მაგრამ იმ პირობით თუ დარჩებოდნენ ოსმალეთის შემადგენლობაში. პარალელურად მას უნდა დაეტოვებინა ათ დღეში სირია. მუჰამედ ალის ასევე უნდა დაეტოვებინა არაბეთის ნახევარკუნძული, კრეტა და ადანა. მუჰამედ ალი, საფრანგეთის მხარდაჭერის გამო არ მიიღო პირობები, რის გამოც 1840 წელს დაიწყო აღმოსავლური კრიზისი. ავსტრიის და ბრიტანეთის არმიამ იერიში მიტანა აქქაზე და დაამარცხეს მუჰამედ ალის არმია. ასევე ემუქრებოდნენ, რომ გაუხსნიდნენ ცეცხლს ეგვიპტის გემებს ალექსანდრიაში. პარალელურად სირიაში დაიწყო აჯანყება მუჰამედ ალის წინააღმდეგ. მუჰამედ ალი იძულებული გახდა დასთანხმებოდა ზავის პირობებს. 1840 წლის 27 ნოემბერს ბრიტანული ფლოტის ადმირალთან მუჰამედ ალიმ ხელი მოაწერა ალექსანდრიის კონვენციას. მუჰამედ ალის ჩამოერთვა უფლება, რომ თვითონ დაენიშნა არმიის მთავარსარდალი. ასევე ეგვიპტის არმია არ უნდა აღემატებოდა 18000, ამიტომაც დაიხურა სამხედრო სკოლები.

1840 წელს ევროპული სახელმწიფოების ზეგავლენით, რომლებიც აღშფოთებულები იყვნენ ეგვიპტის გაძლიერებით რეგიონში, ეგვიპტის ფაშამ კონსტანტინეპოლს უკან დაუბრუნა ყველა ის არაბული ტერიტორიები, რომელიც მათ ჰქონდათ დაპყრობილი, შეამცირეს არმია. 1841 წელს მუჰამედ ალი ჩამოშორდა თავის საქმიანობას, მაგრამ დატოვა თავისი მემკვიდრე, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად დარჩა ფორმალურად ფაშა.

კაპიტულაციამ ზეგავლენა იქონია მუჰამედ ალის ჯანმრთელობაზე და ჩამოშორდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობას. მის მოვალეობას ასრულებდა იბრაჰიმ ფაშა, რომელიც 1848 წელს გახდა ეგვიპტის მართველი ოფიციალურად, მაგრამ სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. მალევე მუჰამედ ალიც გარდაიცვალა.

მუჰამედ ალის მემკვიდრე გახდა მისი შვილიშვილი აბას I. თავის მართველობის 6 წლის განმავლობაში ის მოქმედებდა ბაბუამისის საწინაღმდეგოდ. აბასის მემკვიდრეები იყვნენ საიდ ფაშა, ხედივი ისმაილი, რომლებმაც განაახლეს რეფორმები.

---

[5] ქართული სბჭოთა ენციკლოპედია ტ. 4, გვ. 19, თბ., 1979 წელი

1870 წლებში ეგვიპტის ფინანსურმა გაკოტრებამ საფუძველი გახდა დასავლეთ სახელმწიფოების მიერ ეგვიპტის დაკაბალებას.

1876 წელს ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანო ,,ველების კომისია", რომელშიც შედიოდნენ საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ავსტრია-უნგრეთი. თუმცა ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა ინგლისელი ეველინ ბეირინგი. ინგლის საფრანგეთის დაპირისპირებამ გამოიწვია აღნიშნული ორგანოს გაუქმება და მის სანაცვლოდ ორმაგი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება. დაინიშნა ორი კონტროლიორი -ფრანგი და ინგლისელი, ეს ყველაფერი კი გულისხმობდა ორი ევროპელის ჩარევას ეგვიპტის საფინანსო საქმიანობაში.

1978 წელს ისმაილი იძულებული შექმნა, კრედიტორების გავლენის გამო მთავრობაში ჩაერთო რამდენიმე ევროპელი მოხელე.

1879 წელს ,,ევროპულმა კაბინეტმა" ეკონომიკის გამო, მიიღეს დადგენილება, რომ არმიიდან დაეთხოვათ 2,5 არმია, დანარჩენისთვის კი შეემცირათ ჯამაგირი. ასევე ეგვიპტელ ფელაჰებს მიეღოთ ოფიცრის წოდება.

ამ ყველაფრის ფონზე სამსახურიდან დათხოვნილმა არმიის ოფიცრების ჯგუფმა შეიპყვრეს მთავრობის მეთაური, ფინანსთა მინისტრი და მათი გადაყენება მოითხოვეს. მათი განთავისუფლება მოხერხდა ისმაილის ჩარევით. ყოფილი სამხედროების დემარშის მეორე დღესვე ხედივმა გადააყენა ,,ევროპული კაბინეტი" დანიშნეს ახალი პრემიერი, სამსახურში აღადგინეს გადაყენებული ოფიცრები და დაევალა მთავრობას, რომ შეედგინათ ახალი კონსტიტუცია.

ამ ყველაფრის ფონზე საფრანგეთმა და ინგლისმა მოსთხოვა ოსმალეთს, რომ გადაეყენებინათ ხედივი ისმაილი და მის ნაცვლად დაენიშნათ მისი შვილი, თაუფიკი. 1879 წლის 10 მარტს ჩამოყალიბდა მეორე ,,ევროპული კაბინეტი", რომლის მეთაურიც თაუფიკი იყო. პოლიტიკური ბრძოლის ცენტრი ისევ გადაინაცვლა საკონსულტაციო კრებაში. ასეთ პირობებში მთავრობამ გადაწყვიტა დაეთხოვა დეპუტატები. 27 მარტს მიიღეს დადგენილება კრების უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ. ხედივის პარალელურად, დეპუტატები არ დაიშალნენ. 2 აპრილს დეპუტატთა ნაწილმა ხელი მოაწერა ,,ეროვნულ მანიფესტს", რომელიც იყო უილსონის ფინანსური გეგმის საწინააღმდეგო კანონპროექტი. ხოლო ხედივმა ამ ყველაფრის საპასუხოდ განაცხადა, რომ ჩამოაყალიბებდა ,,ნაციონალურ მთავრობას" , რომლებიც დეპუტატების წინაშე იქნებოდნენ პასუხისმგებლები. შარიფ ფაშას დაევალა, რომ შეემუშავებინა კონსტიტუცია. შარიფ ფაშამ და მთავრობამ შეიმუშავეს კონსტიტუცია და ასევე საარჩევნო კანონპროექტი. აღიარეს სესხებზე ვალდებულებები და გადააყენეს მრავალი უცხოელი მოხელე.

1879 წლის 25 ივნისს სულთანმა, ევროპელი კონსულების ზეწოლის გამო თანამდებობიდან გაანთავისუფლა ხედივ ისმაილი და მის ნაცვლად დანიშნა თაუფიკი. ხედივ თაუფიკი, რომელიც იყო მარიონეტი ინგლისის და საფრანგეთის, გადააყენა შარიფ ფაშას მთავრობა, უარყო კონსტიტუციის კანონპროექტი, აღადგინა ინგლისის და საფრანგეთის ფინანსური კონტროლი და მოახდინა არმიის შემცირება. 21 სექტემბერს ჩამოაყალიბა ეროვნული მთავრობა, რომლსაც სათავეში ჩაუდგა რიად ფაშა, რომელიც პარალელურად ხელმძღვანელობდა შინაგან და ფინანსთა სამინისტროებს.

1882 წელს რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, იტალიის კონსულების ზეწოლით ხედივმა თაუფიკმა და ურბან ფაშამ შეძლეს კომპრომისული შეთანხმების მიღწევას, რომ ჩამოეყალიბებინათ კანონიერი მთავრობა. რომელსაც სათავეში ჩაუდგა რაგიბ ფაშა, სამხედრო მინისტრის პოსტი შეინარჩუნა ურაბი ფაშამ. ამ ყველაფრის ფონზე, ფაქტობრივად ხედივის არც ერთი ბრძანება არ სრულდებოდა , თუ არ დაამტკიცებდა ურაბი ფაშა. ასეთ მდგომარეობაში ეგვიპტის ტერიტორიულ წყლებში ინგლისმა და საფრანგეთმა შემოიყვანა საზღვაო ესკადრა. ხოლო ხედივს მოსთხოვეს არსებული მთავრობის გადაყენება. ხედივმა გამოსცა შესაბამისი დადგენილება, მაგრა ამას მოჰყვა საპროტესტო ტალღა ალექსანდრიაში, კაიროში და სხვა ქალაქებში. ხედივი იძულებული შეიქმნა, რომ გაეუქმებინა თავისი დეკრეტი და დაეტოვებინა ურაბ ფაშა თავის პოსტზე.

1882 წლის 31 მაის ხედივი თაუფიკი გადავიდა ალექსანდრიაში. ეგვიპტეს კი მართავდა ორი ადამიანი: პირველი ეს იყო ხედივ თაუფიკი, რომელის იყო სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ალექსანდრიაში თავის სასახლეს არ ტოვებდა და მეორე ეს იყო კაიროში მოქმედი ურაბი ფაშა, რომელიც აჯანყებულად გამოაცხადა თაუფიკმა. 1882 წლის 11 ივნისს ალექსანდრიაში გაიმართა ანტიქრისტიანული და ანტიევროპული გამოსვლები სადაც დაიღუპა, როგორც უცხოელები ასევე ეგვიპტელები. აღნიშნული მოვლენა გახდა საბაბი ეგვიპტის საქმეებში ევროპული სახელმწიფოების ჩარევის საბაბი. ინგლის ამოძრავებდა სურვილი, რომ მოეხდინა ეგვიპტის კოლონიზაცია და საფრანგეთი ჩამოეშორებინა. საფრანგეთის დიპლომატებმა გადაწყვიტეს, რომ ხელი შეეშალათ ინგლისის განზრახვაზე და გადაწყვიტეს მოეწვიათ საერთაშორისო კონფერენცია. 1882 წლის 23 ივნის კონფერენცია მოიწვიეს კონსტანტინეპოლში, თუმცა ოსმალეთმა ბოიკოტი გამოუცხადა. აღნიშნულმა კონფერენციამ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც არცერთ დაინტერესებულს სახელმწიფოს ეგვიპტის ტერიტორიაზე არ უნდა განეცხადებინა პრეტენზია.

1882 წლის 11 ივლისს ინგლისმა დაიწყო დაბომბვა ალექსანდრიის. აგვისტოში ინგლისელებმა უკვე შეძლეს სუეცის არხის ოკუპაცია. ინგლისმა შეძლო ეგვიპტის ოკუპაცია.

1.2-ისლამიზმის გავლენა ეგვიპტის საშინაო პოლიტიკაზე და რეგიონული უსაფრთხოების პრობლემა. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ეგვიპტეში გააქტიურდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა. აღნიშნული მოძრაობის ამოცანას წარმოადგენდა ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომ ჩამოეყალიბებინათ. ეგვიპტელ [6]ნაციონალისტინებს მოსწონდათ ის ფაქტი, რომ ოსმალეთის იმპერიისგან გამოეყო არაბული მიწები და ასევე აშშ-ს პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ ყველა ერს უნდა მიენიჭოს თვითგამორკოვევის უფლება. ეგვიპტეს, რომ გაერკვია ომის შემდეგი სტატუსი და დაეწყო მოლაპარაკება, ამისთვის სულთან ფუადმა 1918 წელს ჩამოაყალიბა პოლიტიკური გაერთიანება ,,ეგვიპტის დელეგაცია". აღნიშნულმა პარტუამ წინა პლანზე წამოწია ეგვიპტის პრობლემა ინტერნაციონალიზმის იდეა და ამოცანად დაისახა ეგვიპტისათვი, რომ მოეპოვებინათ დამოუკიდებლიბა მშვიდობიანი გზით. ეგვიპტის წარმომადგენლობა ძალია აქტიურად ღებულობდნენ მონაწილეობას პარიზის კონფერენციაში, სადაც უნდა დაეცვათ მათ ქვეყნის ინტერესები.

1918 წელს 13 ნოემბერს ეგვიპტის წარმომადგენლებმა ინგლისის უმაღლეს კომისარს მიმართეს თხოვნით იმის თაობაზე, რომ უფლება მიეცათ ჩასულიყვნენ ლონდონში და დაეწყოთ მოლაპარაკება ბრიტანეთის პროტექტორატის მთავრების შესახებ. იგივე თხოვნით მიმართა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრემიერ-მინისტრმა . ამ ყველაფრის ფონზე ზაგლულის ჯგუფმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს, რომელიც შეეხებოდა მათ მიერ ეროვნულ მოთხოვნის ქარტიას. ეგვიპტის მოთხოვნაზე უარყოფითმა პასუხმა და 1919 წლის 8 მარტს ვაფდიდტთა ოთხი ლიდერის დაპატიმრება გახდა მიზეზი რევოლუციის, რომელმაც მიიღო საყოველთაო სახე. 17 მარტს ჩატარდა ყველაზე დიდი საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 10 ათასეულმა ეგვიპტელმა. მეორე დღეს ბრიტანეთის შეიარაღებული ძალა დაუპირისპირდა დემონსტრატებს. 1919 წლის მარტ-აპრილში 800-ზე მეტი ეგვიპტე მოკლული იქნა. შექმნილ მდგომარეობის გამო ბრიტანეთის ახალმა უმაღლესმა კომისარმა უფლება მისცა ზაგლულს და მის მომხრეებს , რომ დრომ დასწრებულიყვნენ პარიზის სამშვიდობო კონფერენციას.[7]

---

[6] ისლამის, ენციკლოპედიური ცნობარი, კ.კუცია რედ გ. ბერაძე თბილისი 1999 გვ.34-40

[7] დონაძე ვ, მენთეშაშვილი ა, ცინცაძე ი., აზიის და აფრიკის ქვეყნების უახლოესი ისტორია თბილისი 1970 გვ. 100-115

1922 წლის 28 თებერვალს დეკლარაცია გამოაქვეყნა ინგლისმა , რომლის მიხედვითაც გაუქმებული იქნა ინგლისის პროტექტორატი და ეგვიპტე დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

1923 წლის 9 აპრილს ეგვიპტეში ახალი კონსტიტუცია დამტკიცდა, რომელსაც საფუძვლად ედებოდა ბელგიის კონსტიტუცია. აღნიშნული კონსტიტუციის თანახმად ეგვიპტე გახდა კონსტიტუციური მონარქი, რომელის სათავეშე მეფე ფუად I იდგა. კონსტიტუციის თანახმად, მეფეს ანიჭებდა ძალიან დიდი უფლებას კონკრეტულად კი, მას შეეძლო პრემიერ-მინისტრის დანიშვნა, მინისტრთა კაბინეტის და პარლამენტის დათხოვნა.

კონფლიქტი გამწვავდა სუდანის გამო, რომელიც იყო ინგლისისა და ეგვიპტის კონდომინიუმს. თუმცა ეს ყველაფერი ფიქცია იყო, რადგანაც სუდანი ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა. ვაფდი მომხრე იყო ანტი ინგლისურ მოძრაობის, სუდანში. 1924 წელს როცა ვაფდის ლიდერმა საკითხი დააყენა ინგლისთან, იმის თაობაზე რომ სუდანიდან უნდა გაეყვანათ ბრიტანული არმია და ინგლისურ-ეგვიპტური სუდანი ეგვიპტესთან უნდა გაერთიანებულიყო. ამის გამო ინგლისმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაემხოთ ვაფდის მთავრობა.

1924 წლის 19 ნოემბერს ეგვიპტელი ტერორისტებმა მოკლეს ინგლისის გენერალური-გუბერნატორი, რის გამოც ინგლისმა ეგვიპტეს დაუყენა ულტიმატუმი. კერძოდ: მოეხადა ბოდიში, დამნაშავეები დაესაჯა სასტიკად, აეკრძალა სახალხო დემონსტრაციები, უნდა გადაეხადა კონტრიბუცია, 24 საათის განმავლობაში ეგვიტის არმიას უნდა დაეტოვებინა სუდანი, ინგლისურ კომპანიებისთვის მიეცა უფლება შეუზღუდავი რაოდენობით გაეზარდა სარწყავი ფართობი სუდანში.

სა'დ ზაგლული დათახმდა, რომ ნაწილობრივ დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა, მაგრამ უარი განაცხადა არმიის გაყვანაზე და ასევე ინგლისურ კომპანიების სარწყავის ფართობის გაზრდის თაობაზე. სამხედრო ოპერაცია დაიწყო ინგლისმა ეგვიპტის წინააღმდეგ, სუდანში. ინგლისელებმა ეგვიპტეში ხელთ იგდეს ალექსანდრიის საბაჟო. ვაფდისტების არ გაუწევია წინააღმდეგობა და 24 ნოემბერს გადადგა. ერთი თვის შემდეგ დაითხოვეს პარლამენტი.

1925 წელს ახალ არჩევნებში ვაფდის პარტიამ მოიპოვა ნაწილობრივ გამარჯვება. სა'დ ზაგლული არჩეული იქნა დეპუტატთა პალატის სპიკერად, მაგრამ მეფის ბრძანებით პარლამენტი დათხოვნილი იქნა შეკრებიდან 9 საათი შემდეგ. 1926 წელს ისევ გაიმარჯვა პარტიამ, მაგრამ ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა უფლება არ მისცა ზაგლულს მთავრობის ჩამოყალიბების, ის ხელახლად არჩეული იქნა სპიკერად. 1927 წელს ზაგლული გარდაიცვალა.

1929-1933 ელებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ეგვიპტეში ისევ დაიწყო ახალი განმანთავისუფლებელი მოძრაობა. ეგვიპტის ეკონომიკა ემორჩილებოდა ინგლისელი არმიის სამხედრო საჭიროებას. ეგვიპტეში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარზე იყო, ამ ყველაფერს ემატებოდა უმუშევრობის ძალიან მაღალი დონე. მაგრამ აღნიშნული მოძრაობის უმთავრესი საბაბი იყო ინგლისელი ლეიბორისტული მთავრობის მიერ ეგვიპტისთვის ახალი ხელშეკრულების მოხვევა. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია, რომ ვაფდის ახალმა ლიდერმა უარი განაცხადა მის ვინაობაზე. მეფემ დაითხოვა პარლამენტი და გადააყენა ნაჰას ფაშას მთავრობა. მთავრობაში მოვიდა ისმაილ სიდკი ფაშა.

1940 წელს ისმაილ სიდკი ფაშამ გაუქმა 1923 წლის კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუციის თანახმად დეპუტატებს ეკრძალებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევა.

1934 წელს მეფე ფუადმა გააუქმა 1930 წლის კონსტიტუცია და გარდამავალი ,,უპარტიო" კაბინეტი ჩამოაყალიბა. ამან გამოიწვია ვაფდის უკმაყოფილება, ვაფდი ითხოვდა ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ინგლისელებმა თავდაპირველად მოიწონეს ეს ყველაფერი, მაგრამ შემდეგ უარი განაცხადეს , ასევე ნაადრევად მიჩნიეს კონსტიტუციის აღდგენა. ამ ყველაფერს მოჰყვა პროტესტი. განახლდა შეტაკება პოლიციასთან. ჩამოყალიბდა ეროვნული ფრონტი. 1935 წლის 13 დეკემბერს მეფემ, დააკმაყოფილა ინგლისის უმაღლესი კომისიის რჩევა, იმის თაობაზე რომ დაეკმაყოფილებინა ფრონტის მოთხოვნა.

1936 წელს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. 1938 წლის 28 აპრილს მეფე ფუადი გარდაიცვალა და გამეფდა მისი ვაჟი. 1936 წლის 26 აგვისტოს ეგვიპტემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ინგლისთან, რომელიც განიხილება ,,ბოლო ნაბიჯი ეგვიპტის პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ".

ეგვიპტე გეოგრაფიული და სტრატეგიული თვალსაზრისით, მეორე მსოფლიო ომის დროს დაპირისპირებულ მხარეთათვის უმნიშვნელოვანესი პოზიცია ჰქონდა. ომის დაწყებამდე ინგლისის ზეგავლენა ძალიან დიდი იყო. ეგვიპტემ გერმანიასთან გაწყვიტა დიპლომატიური კავშირები, როგორც კი ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას. 1936 წელს ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების საფუძველზე, ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოცხადდა, პორტები გადავიდა ბრიტანული ფორტის დაქვემდებარებაში, დამყარდა ცენზურა. ეგვიპტე ბრიტანეთის ერთ-ერთ დიდ სამხედრო ბაზად ჩამოყალიბდა. ხელშეკრულება ბრიტანელ ჯარს აბრკოლებდა მშვიდობიანობის დროს, მაგრამ ომიანობის დროს არ არსებობდა არავითარი შეზღუდვა. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ბრიტანეთი ვერ მოსთხოვდა ეგვიპტეს, ომი რომ გამოეცხადებინა.

XX ს-ის 30- 40 იან წლებში ფაშისტურ და ისლამისტურ ლიდერებს შორის თანამშრომლობა დაიწყო. მეფე ფარუკმა აქტიურად დაიწყო ჰიტლერის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები. მას მიაჩნდა რომ ღერძი ქვენების მეშვეობით, მახერხებდა და ბრიტანელებს გააძევებდა ქვეყნის ტერიტორიიდან. მის მსგავსი ნაბიჯების გადაგმას მხარს უჭერდნენ მსხვილი მიწათმფლობელები და რელიგიური ელიტა. ამის გარდა მას მხარდაჭერა ორგანიზაციებისგანაც ჩირდებოდა, ზუსტად ესეთი გამოდგა „მუსლიმი ძმების ასოციაცია“.

II მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ალ ბანნა შეეცადა გაეჩინა 2 ახალი პარტნიორი ადოლფ ჰიტლერის და ბენიტო მუსოლინის სახით. მან წერილები გაუგზავნა ორივე ლიდერს, სადაც ის დახმარებას ითხოვდა ბრიტანელების განდევნაში და მეფის გადაგდებაში. ალ ბანნამ მუსოლინის მოდელის მიხედვით ჩამოაყალიბა გასამხედროვებული ქვედანაყოფი.

მეფე ფარუკი ყველა გზით ცდილობდა დახმარება მიეღო ღერძის ქვეყნებისგან, ამისატვის მან გერმანელი დაზვერვის ოფიცრები მოიწვია ეგვიპტეში მრჩევლად. გერმანელები მალევე დარწმუნდნენ, რომ მეფე თავის ძალაუფლებას კარგავდა და კონსპირაციული ურთიერთობა გააბეს ან ნასირთან და „თავისუფალ ოფიცრებთან“. ხოლო ამ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა „მუსლიმ ძმებთან“ მეფის ჩამოგდების საკითხში.

მეფე ფარუკის და ალ ბანნას გზები იკვეთებოდა იმ საკითხში, რომ ბრიტანელებს ეგვიპტე უნდა დაეტოვებინათ. ამისთვის ფარუკიმ ანტი გერმანული პოზიცია დაიკავა დ იმედი ჰქონდა რომ ბრიტანეთი გამარჯვების შემთხვევაში ეგვიპტეს დააჯილდოვებდა. ამ პერიოდში სასახლეში მიმდინარეობდა განხეთქილება, რომლის დროსაც მეფე ცდილობდა უმცირესობათა პარტიები ჩამოეშორებინა, ეს ყველაფერი კი ალ ბანნას ხელს აძლევდა თავისი ორგანიზაციის გაფართოვებისთვის. თავის მხრივ ის მეფის დამცველად გამოდიოდა და მეფის ხელისუფლების განმტკიცებას უსვამდა ხაზს. მსგავსი ქმედებებით მეფე და „მუსლიმი ძმები“ დაახლოვდნენ.

ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდლობას არ მოსწონდა „მუსლიმი ძმების“ და სასახლის კარის დაახლოვება. ამ ყველაფრის შესაჩერებლად, ბრიტანეთის ელჩმა მეფე ფარუკს სთხოვა ახალი მთავრობის შესაქმნელად ცადაფის მეთაური მოეწვია . მას არ სურდა ამის გაკეთება მაგრამ ტახტის დაკარგვის შიშმა თანხმობა მიაცემინა. ხოლო ალ ბანნა განათლების სამინისტროს ბრძანებით ზემო ეგვიპტეში გადაასახლეს. მან აქტიური მუშაობა დაიწყო და ახალი შტაბი შექმნა, სადაც ბევრი მომხრე გაიჩინა. მიხვდნენ , რომ მისთვის მომხრეების გაჩენა არ წარმადგენდა დაბრკოლებას და ისევ კაიროში დააბრუნეს.

მალე ალ ბანნა ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან ერთად დაიჭირეს. მათ აჰმად მაჰირ ფაშას მკვლელობაში ედებოდათ ბრალი. ასევე ორგანიზაციას კონფერენციების და შეკრებების გამართვა აეკრძალათ. ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ გერმანელებმა წარუმატებლობა განიცადეს ფრიკულ კამპანიაში. „მუსლიმი ძმები“ ამ მდგომარეობამ აი/ზულა დათმობაზე წასულიყო მეფესთან და ბრიტანელებთან მოლაპარაკების სახით, მაგრამ ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.

ან ნაჰასის ხელისუფლებამ „მუსლიმი ძმების ფილიალები კვლავ დახურა 1943 წელს. თვითონ ან ნაჰასის ერთი წლით ადრე პრემიერად დაინიშნა და პარლამენტი დაითხოვა, იმისთვის რომ რიგარეშე არჩევნები დაენიშნა. ამ დროს ალ ბანნამ ისმაილის რაიონიდან საკუთარი კანდიდატურა წარადგინა. პრემიერ-მინისტრმა ის სასამართლოში დაიბარა და მოსთხოვა უარი ეტქვა კანდიდატურაზე. მხოლოდ ორი პირობის დაკმაყოფილების სემდგომ დათანხმდა ალ ბანნა. ესენი იყო ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვა და პროსტიტუციის აკრძალვა, რაც ნაწილობრივ იყო დაკმაყოფილებული.

1944 წელს ან ნაჰასის მთავრობა იძულებული გახდა, რომ გადამდგარიყო, ხოლო ალ ბანნა ცდილობდა კვლავ დაახლოვებოდა მთავრობას. შუამავლის რო;ი მან ალ სადათს დააკისრა, რომელმაც თავისი მეგობრის საშვალებით, რომელიც მეფის პირადი ექიმი ყო დავალება შეასრულა.

გერმანიის მხარეზე იტალიის ომში ჩართვის შემდეგ შეიცვალა მდგომარეობა ინგლისელებისთვის. იტალიელი სამხედრო თვითმფრინავები დაიწყეს რეიდების განხორციელება ეგვიპტეში. 1940 წელს იტალიელები სუდანში შეიჭრნენ, მაგრამ ბრიტანეთის სამხედრო ძალამ დაიწყეს კონტრშეტევა, საბოლოდ იტალია დამარცხდა. 1941 წელს ეგვიპტის სამხრეთით იტალიელებმა სრული მარცხი განიცადეს და იძულებული გახდნენ ეღიარებინათ ეთიოპიის დამოუკიდებლობა. შეტევის მეორე ხაზზე, 1940 წელს იტალიელებმა წაიწიეს წინ სუეციის და ალექსანდრიის მიმართულებით, თუმცა ინგლისელებმა უკუაგდო. 1941 წელს ბრიტანეთმა ხელთ იგდო კირენაიკასა.

ამ ყველაფრის საპასუხოდ გერმანიამ აფრიკაში გაგზავნა აფრიკული კორპუსი. გერმანია კი ცდილობდა რომ გამოუსადეგარი ყოფილიყო სუეციის არხი.

1941 წელს როცა დიდო ძალა დახარჯეს საბერძნეთის დახმარებაზე , ბრიტანული არმია იძულებული შეიქმნა უკან დაეხია, ეგვიპტის საზღვრისკენ.

1941 წელს ბრიტანეთმა მოახერხა ღერძის ძალები უკან დაეხია და მოახერხა ისევ შესულიყო კირენაიკაში. ბრიტანეთმა ასევე დაიკავა ირანი, ეთიოპია სომალი. მაგრამ 1942 წელს რომელმა შეძლო წინ წამოსულიყო ეგვიპტისკენ.

1942 წლის ოქტომბერში ელ-ალამაინის ბრძოლის შედეგად გერმანელთა წინააღმდეგობა გატყდა. ამ დამარცხების შედეგად დაიწყო მარცხი ღერძული სახელმწიფოების მარცხის დაწყება ახლო აღმოსავლეთში. მომდევნო შვიდ თვეში ჩრდ. აფრიკიდან მოხდა დანარჩენი გერმანული და იტალიური ჯარის ევაკუაცია.

ეგვიპტე სუვერენული ქვეყანა იყო, მაგრამ რეალურად ის ბრიტანეთზე იყო დამოკიდებული. ამის გამო ომამდელ და ომის დროინდე პერიოდში ბევრ ახალგაზრდა ეგვიპტელს დაუკარგა ნდობა საპარლამენტო დემოკრატიის და პარტიების. ომის დროს უკვე არსებობდა დაჯგუფება ,,ახლაგაზრდა ეგვიპტე".

1944 წელს ისარგებლა მეფემ ქვეყანაში რომ არ იმყოფებოდა ლემფსონი, დაითხოვა ვაფდისტთა მთავრობა და მთავრობის შესაქმნელად მოიწვია მცირე ლიბერალური პარტიის წევრები. 1945 წელს აჰმედ მაჰირმაა წაიკითხა ეგვიპტის პარლამენტში ეგვიპტის მიერ გერმანიისთვის ომის დეკლარაციის ტექსტი. შენობიდან გამოსვლის შემდეგ კი მოკლეს. თითქმის ცნობილია ის რომ აღნიშნული მკვლელობა გაგეგმეს მულსიმი ძმებუს ახალი ტერიტორიული ფრთის მიერ. ამგვარ სიტვუაციაში მოუწია ეგვიპტეს, რომ შესულიყო ომისშემდეგ ხანაში.

თავი-2 ისლამური ფუნდამენტალიზმის განვითარებისათვის ეგვიპტეში არსებული პოლიტიკური ვითარება

2.1 ეგვიპტეში არსებული ვითარება „მუსლიმი ძმების“ ჩამოყალიბებასა და მოღვაწეობისათვის.

ჰასან ალ ბანნა „მუსლიმი ძმების ასოციაციის“ ფუძემდებელი 1905 წელს დაიბადა ბუჰაირას პროვინციაში, პატარა ქალაქ მაჰმუდიაში. 8 წლის ასაკიდან მან დაწყებით სკოლაში დაიწყო განათლების მიღება, სადაც ის შეისწავლიდა ყურანს. 12 წლის ასაკში ალ ბანნა მოსამზადებელ სკოლაში გადავიდა და სულ მალევე შეუერთდა ერთ-ერთ პირველ რელიგიურ საზოგადოებას სახელწოდებით „მორალური ქცევის საზოგადოება“. ამ ორგანიზაციის მოვალეობა იყო რელიგიური მორალის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა. ალ ბანნა მალევე გახდა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე. ის მარტო ამ ორგანიზაციაში მოღვაწეობით არ შემოიფარგლა დ სხვა ჯგუფიც ჩამოაყალიბა. ორგანიზაციის სახელი იყო „აკრძალული პრევენციის საზოგადოება“. მათი მიზანი იყო საზოგადოებაში საკუთარი იდეების პროპაგანდის და რელიგიური განათლების გავრცელება. ალ აბანნა პორველი ზიქრის მოწმე გახდა და ჰასაფიტი ძმების ორგანიზაციის გავლენის ქვეშ მოექცა. ის 20 წლის განმავლობაში ამ ორგანიზაციაში იყო, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია და დიდი ზეგავლენა განიცდიდა. ამ ორგანიზაციის საფუძველზე მან ჩამოაყალიბა „ჰასფიას საქველმოქმედო საზოგადოება“. ამ საზოგადოებას 2 მიზანი გააჩნდა: ისლამური მორალის დაცვა და ქრისტიანული მოღვაწეობის აღკვეთა. ახალ შექმნილ

ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა აჰმად ას სუქქარი, რომელიც ზიქრის წრეებში გაიცნო ალ ბანნამ. აღსანისნავია ის ფაქტი რომ „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა.

ალ ბანნას კაიროში გადმოსვლა ხშირ და დაძაბულ პოლიტიკურ მღელვარებას დაემთხვა. ამ პერიოდში ეგვიპტის ხელისუფლებაში თავის დამკვიდრებას ცდილობდნენ ვაფდის პარტია და ლიბერალური-კონსტიტციური პარტიები. ალ ბანნა და მისი მეგობრები აქტიურად ფიქრობდნენ იმის თაობაზე თუ როგორ შეეძლოთ იმ პერიოდში კაიროში მიმდინარე მდგომარეობის გამოსწორება. ის აქტიურად აკვირდებოდა განვითარებულ მოვლენებს, თუ როგორ უპირისპირდებოდნენ რელიგიური წარმომადგენლები ერთმანეთს, მათ ლოიალობას პოლიტიკური ხელისუფლების მიმართ, ამასთანავე დასავლეთი როგორ ახდენდა ზეგავლენას ეგვიპტურ საზოგადოებაზე. ის იმ აზრამდე მივიდა, რომ საკმარისი არ იყო იმ ორი ორგანიზაციის მუშაობა, რომელსაც თვითონ წარმოადგენდა. ალ ბანნამ ალ აჰარისა და კაიროს უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომლის მიზანი და დანიშნულება იყო მოსახლეობაში „განმარტებითი სამუშაოების ჩატარება“. ისინი დახმარებას სთავაზობდნენ მეჩეთებს, ხოლო კოლეჯის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ ეგვიპტის სოფლებში, იმისთვის, რომ ისლამური მოძღვრება ექადაგათ. ამ ყველაფერთან ერთად ავრცელებდნენ „მუსლიმი ძმების საზოგადოების“ იდეებს. ეს ყველაფერი შეიძლება ჩაითვალოს მუსლიმი ძმების პირველ საფუძვლებად.

1923 წელს კაიროს უნივერსიტეტში განაგრძო. ამ პერიოდში მასზე დიდი შთაბეჭდილება დათოვა და რა თქმა უნდა ზეგავლენა მოახდინა სუფისტურმა ემოციურმა მოძღვრებამ და კლასიკურმა ისლამურმა მოძრაობამ. ის აქტიურად ეცნობოდა მუჰამედი ცხოვრებას საგმირო საქმეებს და სწავლობდა როგორი უნდა ყოფილიყო ბრძოლა ღვთისთვის.

ამ ქმედებებით ალ აბანნა ალ აზჰარის შაიხებს უპირისპირდებოდა და მათ ბრალს სდებდა მათ უუნარობაში და უყურადღებობაში, რამაც გამოიწვია ათეისტების და მისიონერერების მიერ საზოგადოების გარყვნა. 1927 წელს კაიროს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სუეცის არხის ქალაქ ისმაილის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაინიშნა არაბული ენის მასწავლებლად. ეს ქალაქი ბრიტანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დედაქალაქს წარომადგენდა. მან კარგად დაინახა იქ მაცხოვრებელი მოსახლეობის მდგომარეობა, ერთის მხრივ გაჭირვებაში მცხოვრები მუშათა კლასის გაუსაძლისი პრობლემები, ხოლო მეორეს მხრივ ინვესტორების და სამხედროების შეძლებული ცხოვრება. ამ ყველაფერმა მას

განუმტკიცა ის აზრი, რომ ეგვიპტე უნდა განთავისუფლებულიყო დასავლეთის ზეგავლენისგან.[8]

ალ ბანნა ისლამის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. მისი მოწოდებები არა მეჩეთში ჟღერდა, არამედ კაფეებში. მისი მსგავსი სტრატეგია გამომდინარეობდა იქიდან, რომ შეიხების გარდა მეჩეთში არავინ დადიოდა, ხოლო სამსახურიდან დაბრუნებული ახალგაზრდები ყავახანაში იყრიდა თავს. მან სამი დიდ ყავახანა ამოირჩია, იმისთვის, რომ კვირაში ორი გაკვეთილი ჩაეტარებინა და მათი ხანგძლივობა 10-15 წუთს არ აღემატებოდა. ვინ კი დაინტერესებული იქნებოდა პატარა ჯგუფებად აერთიანებდა. ეს ხდებოდა იმისთვის, რომ მათთვის მოძღვრების პროპაგანდა და პროპაგანდის ორგანიზება განემარტა. მის ძირითად აუდიტორიას შეადგენდა მუშები, წვრილი მოვაჭრეები და სამოქალაქო სამსახურში მომუშავე ხალხისგან. ალ ბანნა მოუწოდებდა თავის მსმენელს დაბრუნებოდნენ ჭეშმარიტ ისლამს, სუნას და ყურანს. ის განსაკუთრებით აღნიშნავდა იმ ფაქტს რომ ეგვიპტის გადარჩენის ერთადერთი გზა ისლამური ფასეულობების აღორძინება წარმოადგენდა.

1927 წელს, ალ ბანნას ხელშეწყობით ჩამოყალიბდა „ახალგაზრდა მამაკაცთა მუსლიმური ასოციაცია“, იგივე „ახალგაზრდა მუსლიმთა ასოციაცია“. ისინი ძირითადად ორი მიმართულებით მოღვაწეობდნენ: პირველი მიმართულება იყო ისლამის პრინციპების გავრცელება, ხოლო მეორე მიმართულებას წარმოადგენდა პოლიტიკურ ასპარეზზე ბრძოლა. ორგანიზაცია ისლამური კანონმდებლობის მიღებას ითხოვდა, წარმატებას ვერცერთ ფრონტზე ვერ მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა „მუსლიმი ძმები“.

როგორც ყველა ორგანიზაციას „მუსლიმ ძმებსაც“ ჰქონდათ თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა. ამ ორგანიზაციის თავში იდგა „უმაღლესი მოძღვარი“, რომელიც ხელმძღვანელობდა ორ უმაღლეს სტრუქტურას, ესენი იყო: „სახელმძღვანელო საბჭო“ და „საკონსულტაციო ასამბლეა“. რა თქმა უნდა, უმაღლესი მოძღვარის არჩევა განსაზღვრული იყო. ის უნდა ყოფილიყო არანაკლებ 30 წლის, მაღალი მორალის თვისებების მქონ, განათლებული და საკონსულტაციო კომიტეტის წევრობის 5 წლიანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა. მას ირჩევდნენ საკონსულტაციო წევრების 4/5 ხმით ირჩევდა. თუ საკმარის რაოდენობას ვერ მოაგროვებდა სხდომა 2 ან 4 კვირით გადაიდებოდა.

„საერთო სახელმძღვანელოთა საბჭო“ ორგანიზაციის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა. საბჭო როგორც საქმიანობას კურირებდა ასევე მის პოლიტიკას განსაზღვრავდა. მას შეეძლო შეექმნა კომიტეტი, სექცია და

[8] ქაროსანიძე თ. „მუსლიმი ძმების ასოციასიის ისტორიიდან“ თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, თბილისი 2001, გვ.57-76.

განყოფილება. საბჭოს წევრთა რაოდენობა ძირითადად იყო 12 წევრის მოცულობის, რომელთაგანაც 9 კაიროს წარმომადგენელი იყო ხოლო დანარჩენი რეგიონებიდან. მაგრამ იყო შემთხვევები როდესაც წევრების რაოდენობა ოცს აღწევდა. საბჭოს წევრი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 30 წლის, საკონსულტაციო საბჭოში მუშაობის სამწლიანი სტაჟით, ამასთანავე განათლების მქონე და უნდა შეძლებოდა მიზნების პრაქტიკაში გამოყენების უნარი. მას ფარული კენჭისყრით ირჩევდნენ. ასევე ფარული კენჭისყრით ირჩეოდა მოადგილე, გენერალურ მდივანს და ხაზნადირს, კაიროს 9 წევრიდან. არჩევის ვადაც იყო განსაზღვრული 2 წლის ვადით. წევრის მიერ მიუღებელი საქციელის ჩადენის შემთხვევაში მას ერთი თვის ვადას აძლევდნენ, იმისთვის, რომ გამოესწორებინა დანაშაული, ამასთანავე საბჭო პერიოდულად იკრიბებოდა.

საკონსულტაციო ასამბლეა იყო მთავარი სათათბირო ორგანო. მისი წევრების რაოდენობა 100-დან 150-მდე ადამიანს შეადგენდა. მის ძირითად მოვალეობაში შედიოდა ასოციაციის განვითარების ზედამხედველობა. მისი წევრობა ადგილობრივი განყოფილების რაიონულ წარმომადგენლობას ეფუძნებოდა. შეკრებებზე განიხილავდნენ წლიური ანგარიში, მომავალი წლის გეგმები, მიმდინარე წელს მოქმედების გეგმების წარდგენა. ასევე წლიური ანგარიშის და ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობდა. შეკრება ტარდებოდა ყოველი ჰიჯრის წლის პირველ თვეში. საბჭოს მოწვევა შეეძლო კომიტეტის 30 წევრს ან უმაღლესი მოძღვარს .

შვიდთა კომიტეტს ასამბლეა იყენებდა წევრთა კონტროლისთვის ან მათი სასჯელის განსასაზღვრავად. კომიტეტი ირჩევდა თავჯდომარეს და მოადგილეს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღებოდა ხმების აბსოლიტური უმრავლესობით.

გენერალური მდივანი გენერალური შტაბის და სახელმძღვანელო საბჭოს მთავარი წარმომადგენელი იყო. მის მოვალეობაში შედიოდა საბჭოს მიერ გამოცემული განკარგულებების აღსრულება, სხდომების დაფიქსირება და კონტროლი, ასევე ადმინისტრაციული აპარატის კონტროლი. ის საბჭოსა და კომიტეტების დამაკავშირებელი იყო. გენერალური მდივანი თვითონ ირჩევდა შტატს.

ხაზინადარი პასუხისმგებელი იყო ორგანიზაციის ფინანსებზე და სახელმძღვანელო საბჭოს სპეციფიკურ ფანახარჯებძე. ის აღწერდა ფინანსურ მდგომარეობას ორგანიზაციაში და ყოველთვიურ ანგარიშს ადგენდა.

გენერალური შტაბი წარმოადგენდა სამი ძირითადი ელემენტის საქმიანობის გატარების ადგილს. ის მდებარეობდა ქ. კაიროში. მასთან ახლოს იყო განთავსებული „საბრძოლო აპარატი“ და „ტექნიკური“ ბაზა. აქ უმაღლესი მოძღვარი და სამდივნოს ოფიციალური პირები მუშაობდნენ.

საიდუმლო აპარატი ჩამოყალიბდა 1942 წლის ბოლოს და 1943 წლის დასაწყისში. ეს იყო ორგანიზაციის ყველაზე დახურული ფრთა, რომელშიც ყველაზე ერთგული წევრები შედიოდნენ. ალ ბანნა ამ სექტორს თვითონ ხელმძღვანელობდა და 10 კაციან ჯგუფებად ყოფდა. ის პირადად აძლევდა ინსტრუქციებს. მათ მოვალეობაში შედიოდა ქვეყანაში პატრიოტული და ეროვნული გრძნობების გაძლიერება. ეს აპარატი ასოციაციას იცავდა ხელისუფლების და პოლიციისგან. ამ აპარატის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო პალესტინის და ბრრიტანეთის საკითხი. მან პირველი წევრთა რანგირება მოახდინა, ხოლო შემდგომ ჯავვალები ჩამოაყალიბა, და ბოლოს საიდუმლო აპარატი შექმნა, რაც ჯავვალების სამართავ აპარატად იქცა. დასაწყისისთვის 100 წვრისგან შედგებოდა, ხოლო 1954 წელს უკვე 3000 მიაღწია.[9]

„მუსლიმთა საძმოს“ ორგანიზაცია იყოფოდა კომიტეტებად და სექტორებად, რომელთაც განსაზღვრული საქმიანობის სფერო ჰქონდათ.

კომიტეტები:

1.ფინანსური კომიტეტი- რომელსაც ხაზინადარი განაგებდა.

2.იურიდიული კომიტეტი-ძმობას და მის წევრებს იცავდა სასამართლოზე, მას არ შეეძლო გენერალური საბჭოს გარეშე ემოქმედა.

3.პოლიტიკის კომიტეტი-ის შეისწავლიდა შიდა და გარე პოლიტიკურ საკითხებ, იმისთვის, რომ ძმობის პოზიცია მათ მიმართ განსაზღვრულიყო.

4.მომსახურეობის კომიტეტი-ეს კომიტეტი აკმაყოფილებდა ძმობის მოთხოვნებს ფინანსური თუ მატერიალური სახის.

5.ფათვას კომიტეტი- ისლამის პოზიციას ძმობის ინტერესების შესაბამისად განმარტავდა

6.სტატისტიკის კომიტეტი- მისი მოვალეობა იყო შეენახა ძმობის საქმიანობის ჩანაწერები და უმაღლესი ხელისუფლების კვარტალური ად ჩაებარებინა განსახილველად.

7.პრესის და მთარგმნელობითი კომიტეტი- მათ მოვალეობაში შედიოდა პრესი გამოცემა და ძმობის შესახებ სხვადასხვა ენაზე არსებული ინფორმაციის მოძიება და თარგმნა.

სექტორები:

[9] დონაზე ვ. მენეშაშვილი ა., ცინცაძე ი, „აზიის და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწილი II თბილისი თსუ გამომცემლობა 1970 გვ. 190-209

1. მოწოდების პროპაგანდის სექტორი- მისი მოვალეობა იყო ძმობის ქადაგებები შესატყვისი ყოფილიყო „ისლამურ სულთან“, ამასთანავე მისიონერების სრული მზადყოფნის უზრუნველყოფა. სამეცნიერო, სპორტულ და კულტურულ პუბლიცისტიკაზე თვალყურის დევნება. ეს სექტორი ფილიალებს უზრუნველყოფდა ლექტორებით და ორატორებით.

2.მუსათა და გლეხთა სექტორი-მატ მიზანს წარმოადგენდა სოფლებსა და ქალაქებში მუშებსა და გლეხებში ისლამური ატმოსფეროს შექმნას. შეისწავლიდა მათ პრობ;ემებს და აქტიურად ეძებდა გადაჭრის გზებს. ასევე მათ გარშემო მათ წრეში „ისლამურ მოძღვრებას ავრცელებდა.

3.სტუდენთა სექტორი-მათი ძირითადი მიზანი იყო სტუდენტთა ეგვიპტის სკოლებში „ისლამური მოძღვრების გავრცელება, აგრეთვე სტუდენტებისთვის დახმარების გაწევა იმისთვის, რომ სწორად გამოეყენებინათ პროფესიული განათლება.

4.პროფესიული სექტორი- როგორც ზემოთ ჩამოთვლი სექტორებში აქაც ევალებოდათ „ისლამური მოძღვრების“ გატარება. ეს სექტორი აერთიანებდა ექიმებს, ადვოკატებს, საჯარო მოხელეებს, კომერსანტებს, ჟურნალისტებს მუშებს და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს.

ისლამურ სამყაროსთან დაკავშირების კომიტეტი-მის ფუნქციებს წარმოადგენდა მოწოდების და ისლამის შესახებ ზმობის იდეების გავრცელებას, მუსლიმურ ქვეყნებში, ამისთვის ისინი სხვა ისლამურ ორგანიზაციებსაც იყენებდნენ. ევალებოდათ საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების შუქზე ისლამურ სამყაროში არებული პრობლემების შესწავლა. ამასთანავე სხვადასხვა ისლამური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება. სექტორს ხელმძღვანელობდა მეთაური და ორი მოადგილე.

ფიზიკური მომზადების და ბოისკაუტთა კომიტეტი- ამ სექტორზე ბევრი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, მაგრამ ის ვიცით რომ ეს სექტორი ფიზიკური აღზდისთვის გამოიყენებოდა. ამის სესახებ 1951 წლის წყაროები ადასტურებენ.

ოჯახის სექტორი-ამ სექტორის წევრები საკონსულტაციო კომიტეტების წევრებისაგან შედგებოდა, რომელთაც გაიარეს ყოველგვარი იურიდიული და სულერი მომზადება. ისინი აკონტრტროლებდნენ ორგანიზაციის წევრთა ცხოვრების წეს და აუცილებლობის შემტხვევაში სჯიდნენ.

ორგანიზაცია თავის მოღვაწეობას ორი მიმართულებით ანვითარებდა. პირველი იყო ადმინისტრაციული აპარატის საქმიანობა და მოღვაწეობა, ხოლო ამ

მოვალეობას ექვსი კომისა აწარმოებდა. მეორე მიმართულება პრაქტიკული და იდეოლოგიური განვითარება იყო. ამ მიმართულებით მოქმედებდა 10 სექტორი.

1953 წლის მესამე სხდომაზე ალ ბანნამ , ორგანიზაციის წევრებისთვის შემოიღო იერარქიული სიტემა, რომელზეც წინ სვლის საშუალება ჰქონდა ძმობის წევრს. ეს კიბე 4 საფეხურისგან შედგებოდა: 1. ორგანიზაციის წევრი სავალდებულო იყო, რომ ყოფილიყო კარგი რეპუტაციის მქონე პიროვნება ამასთანავე ის მზად უნდა ყოფილიყო სრული მორჩილებისთვის და ნებისმიერი ბრძანება შეესრულებინა. ამ საფეხურს ეწოდებოდა „დამხმარე ძმა“. მოაწერდა ხელს და იღებდა ვალდებულებას გადაეხადა საწევრო ორგანიზაციაში. 2. კიბის საფეხურზე გადადიოდა იმ შემთხვევაში როდესაც მისი ცხოვრების წესი შესაბამებოდა დადგენილ წესებს და მონაწილეობას იღებდა საკვირაო შეკრებებში ის ხდებოდა „დაკავშირებული“. 3. ეს ეტაპი იმ შემთხვევაში მიიღწეოდა თუ ის წესებს იცავდა და მათ პირნათლად ასრულებდა, ასევე ყურანის ყოველკვირეულ კითხვას ესწრებოდა, ზეპირად იცოდა 40 ჰადის ლოცვა, ეხმარებოდა პილიგრიმთა და მათხოვართა ფონდებს , ესეთი წევრი ხდებოდა „მოქმედი ძმა“. 4. ყველაზე მაღალ საფეხურზე უკვე თვითონ ხდებოდა მქადაგებელი და სხვებს ასწავლიდა.

„მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციაში უდიდეს მიღწევად ითვლებოდა „ოჯახების“ სისტემა. ეს სისტემა არამარტო საერთო იდეით, არამედ სოციალური დ ეკონომიკური ინტერესებით აერთიანებდა. ეს სისტემა პირდაპირ უმაღლესი მოძღვარის დაქვემდებარებაში იყო, რომელსაც შესაბამისი კომიტეტის მეშვეობით აკონტროლებდა. ეს სისტემა დაფუძნებულია სამ კონცეფციაზე: ურთიერთობაზე, ურთიერთცნობაზე და ურთიერთპასუხისმგებლობაზე. ოჯახი ყოველ კვიას იკრიბება და ერთად კითხულობენ ყურანს საერთო ლოცვას კითხულობენ. ამასთანავე ისინი ქმნიდნენ ფონებს ურთიერთ დახმარებისთვის, ხოლო შემოსავალი 1/5 ორგანიზაციაში რიცხავდნენ.

კიდევ ერთი მწვავე საკითხი იდგა „მუსლიმი ძმების“ წინაშე ეს იყო ქალების ორგანიზაციაში მიღებასთან დაკავშირებით. მათი პირველი ფილიალი 1933 წელს შეიქმნა და „მუსლიმი დები“ უწოდეს. 10 წლის შემდეგ ორგანიზაციაში 5000 აჭარბებდა მათი რაოდენობა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როდესაც ძმები გაასამართლეს და აკრძალეს ასევე მოექცნენ დებსაც. ამასთანავე ორგანიზაციაში ქალების უმრავლესობა გაუნათლებელი იყო, ხოლო განათლებულები უარს ამბობდნენ ორგანიზაციაში შესვლაზე, რადგან თვლიდნენ, რომ ჰარემის დაბრუნებისკენ უბიძგებდნენ.

„მუსლიმი ძმები“ ასოციაცია, როგორ ყველა ისლამისტური, ორგანიზაცია თავის იდეოლოგიის მატარებელია. მათი პროპაგანდისტული მოღვაწეობისგან განუყოფელია. ჰასან ალ ბანნა წარმოადგენს ძმობის იდეოლოგიის პირველ წყაროს,

ხოლო უშუალოდ ბანნას იდეოლოგია დაფუძნებულია ვაჰაბისტურ და ჰანტაბალიტ მოძღვრებზე, რადგან ის კარგად ერკვეოდა ამ ორ მიმდევრობაში. V კონფერენციაზე ის სიტყვით გამოვიდა და მიმართა წევრებს: „ ჩვენ ისლამის კანონები უშუალოდ პირველწყაროებიდან უნდა მივიღოთ და ისე გავიგოთ, როგორც ესმოდათ ჩვენ წინაპრებს , წინასწარმეტყველის მიმდევრებსა და მოსწავლეებს“.

ალ ბანნამ ძმობის წევრებს წესდება შეუდგინა, სადაც განსაზღვრული იყო ქცევის წესები:

1.„ყოველდღე უნდა იკითხო ყურანი.

2.ფრთხილად და ყურადღებით შეისწვავლეთ ჰასიდები. უნდა ისწავლოთ 40 ჰასიდი ზეპირად.

3.არ დალიოთ ბევრი ყავა, ჩაი ან სხვა მასტიმულირებელი სასმელები. დალიეთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, არ მიიღოთ ალკოჰოლური სასმელები და ნარკოტიკული ნივთიერებები, რაც ორგანიზმს ადუნეს. თავი დაანებეთ მოწევას.

4.დაასუფთავე სახლი და სამუშაო ადგილი. ჩაიცვი სუფთა ტანსაცმელი, დაიცავით დიეტა. ისლამი სისუფთავისკენ მოგვიწოდებს.

5.ყოველთვის თქვი სიმართლე და არასოდეს იცრუო.

6.იყავი აქტიური და ჩაერთე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

7.იკითხე პრესა, განსაკუთრებით „მუსლიმი ძმების“ ჟურნალები, წიგნები და გაზეთები.

8.ქონების ნაწილი გადაეცით მოძრაობას. გადაიხადეთ ზაქათი, მნისვნელობა არა აქვს თქვენი შემოსავლის რაოდენობას. მოერიდეთ მექრთამეობას და კორუმპირებულ მეგობრებს.

9.ბოიკოტი გამოუცხადეთ არაისლამურ სასამართლო და საკანონმდებლო სისტემებს. გამოდით იმ ორგანიზაციებიდან, რომელებიც არაისლამურ იდეოლოგიას ეფუძნება.

10.დაიცავით რამადანის მარხვა და შეასრულეთ ჰაჯი.

იქადაგე [10]ისლამისკენ დაბრუნება ყველგან“.

ერთი შეხვედით ეს წესდება კონსერვატიული სახისაა, მაგრამ ალ ბანნა ინოვაციების მომხრე იყო, რომლების მეშვეობითაც ისლამის თანამედროვე

[10] ქაროსანიძე, თინათინ. ფუნდამენტალიზმი და ისლამიზმი თანამედროვე ეგვიპტეში, თბილისი 2009 გვ. 136-137

ცხოვრებისთვის მორგება შეუძლებელი იქნებოდა., რათქმაუნდა უნდა ყოფილიყო მისი დედაარსი შენარჩუნებული.

ჯიჰადის პირველადი კონცეფციის დაბრუნებასთან დაკავშირებით ალ ბანნა იზიარებდა ვაჰაბისტების მოსაზრებას. მას მიაჩნდა, რომ ჯიჰადი იყო წმინდა ომი ისლამის დასაცავად. მაგრამ თავის წერილებში ის წერდა, რომ „მუსლიმ ძმებს“ საკუთარი მიზნის მისაღწევად არ ჭირდებოდათ ძალის გამოყენება, ეს მაშინ იყო საჭირო როდესაც აგერსისგან თავი უნდა დაცვათ. მან განუსაზღვრა „მუსლიმ ზმებს ხუთი შემთხვევა როდესაც მათ ჯიჰადისთვის უნდა მიემართად:

1.„რწმენის და ისლამური ტემის დაცვა ურწმუნოებისგან.

2.მუსლიმთა დაცვისთვის.

3.არამუსლიმი პარტიების მიერ დადებული ხელშეკრულების დარღვევის დროს.

4.ისლამისკენ მოწოდების გავრცელება და ყველა ხალხს შორის სამართლიანობის ქადაგება.

5.ბრძოლა ურწმუნოებთან და წმინდა წერილის ხალხთან, სანამ არ მოექცევიან ან ჯიზიას არ გადაიხდიან.

ალ ბანნას მეშვეობით და წყალობით ძმებმა ჯიჰადი მტკიცედ დაუკავშირეს ანტიკოლონიურ ბრძოლას. მარტო რელიგიური მოწოდების გარდა მას გააჩნა პოლიტიკური პროგრამაც. ის გამოდიოდა ისტორიული პოზიციიდან და თვლიდა, რომ ისლამური მმართველობა უნდა აღდგენილიყო, ხოლო ეგვიპტის ხელისუფლება ისლამურ სამართალს უნდა დაყრდნობოდა. მისი აზრით ისლამი იყო უნიტარული ბუნების და ამის გამო უნდა გაუქმებულიყო ყველა პარტია რაც საშუალებას მისცემდა ჰარმონიულად ეცხოვრა საზოგადოებას. ალ ბანნააღნისნავდა, რომ ჭეშმარიტი ისლამური სისტემა არსებითად დემოკრატიულია და მას შეუძლია ყველა თანამედროვე მსოფლიო პრობლემას გაუმკლავდეს.

„მუსლიმი ძმების“ უზენაეს მოძღვარი ალ ბანნა კაცობრიობას ორ ნაწილად ყოფდა: პირველი იყო ვინც მათ რწმენას იზიარებდა, მეორე კი არ იზიარებდ. მას მიაჩნდა, რომ მათი დამორჩილება მათსავე ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო, იქამდე სანამ მთელი მსოფლიო ისლამზე არ მოექცეოდა. ისლამი უარყოფს კანის ფერზე ტუ ეთნიკურ რასიზმს, აგრეთვე უარყოფს კოლონიალიზმს და იმპერიალიზმს. ის მშვიდობას ქადააგებს. ალ ბანნა ძლიერ აფასებს მქადაგებლის საქმიანობას და მიაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობად. ის პრიორიტეტს არაბ ხალხს და არაბ ენას ანიჭებდა, რადგან ისლამი არაბულ ენაზე იქადაგებს და ყურანიც არაბულ ენაზეა დაწერილიო. აქედან გამომდინარე უმმაც ამ ენის ქვეშ გაერთიანდება.

ჰასან ალ ბანნას მიაჩნდა, რომ შარიათის კანონების მიხედვით სასჯელის ფორმა უნდა დაბრუნებულიყო. მსგავსი მოსაზრებები შეხედულებები, ასევე სწორი სტრატეგია „მუსლიმ ძმებს ეხმარებათ“ მჭიდრო ურთიერთობები დაამყარონ სხვა ისლამურ სახელმწიფოებთან და სხვა ისლამისტურ ორგანიზაციებთან. მათი პოპულარობა გასცდა ეგვიპტის საზღვრებს, რაც დაეხმარათ ფილიალების გახსნაში: იორდანიაში, პალესტინაში სუდანში, იემენში სირიაში და საუდის არაბეთში. მათი ნაცნობობა მარტო ამ ქვეყნებით არ შემოიფარგლებოდა, მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ თურქთში და ირანში.

„მუსლიმი ძმების“ წარმატება სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა: 1. სტრუქტურის ხელისუფლებად დაყოფამ , ფილიალების სისტემამ და წევრობის ხარისხებმა. 2.იდეოლოგია ისეთი იდეები და მოწოდებების გაჟღერებამ, რომელიც უკავშირდებოდა ეგვიპტელების ყოველდღიური ცხოვრებას, რაც მისარები იყო პოტენციური წევრებისთვის. 3.მოღვაწეობა ეს მოიცავდა რწმენას, როდესაც თითოეული მათგანი ძლიერდებოდა პოტენციური მხარდამჭერით.

„მუსლიმი ძმები“ არ იყო პირველი მქადაგებელი ორგანიზაცია ისლამიზმის აღორძინების საქმეში, ისინი იყვნენ ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც იქცა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად და რელიგიურ მისიონურ საქმიანობას უთავსებდა რეფორმატულ მოღვაწეობას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში. 5 წლის მოღვაწეობის პერიოდში 15-მდე ფილიალი დაარსდა კაიროში, პორტ საიდში, ისმაილში, შუბრა ხითში, სუვარსა და მაჰმუდიაში, ტატანში, მაჰმუდიაში, აბუ ჰამადში და შაბლნახაში.

„მუსლიმი ძმების“ ასოციაციის სწრაფი ზრდა და განვითარება სხვა ორგანიზაციებში უკმაყოფილებას და მათ მიმართ ნეგატიურ განწყობილებას იწვევდა. ალ ბანნას აბრალებდნენ კომუნისტობას და კომუნისტებისგან დაფინანსების მიღებას. ასევე მეფის წინააღმდეგ მოღვაწეობაში და არარელიგიური ქმედებების განსახორციელებლად ფონდების მისაკუთრებაში. ალ ბანნა 1932 წელს კაიროში გადავიდა საკუთარი თხოვნის საფუძველზე, სადაც მან ორი სკოლა და მეჩეთი დაარსა. ამ პერიოდისთვის მი ორგანიზაციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა კაიროში არსებულ ისლამური კულტურის საზოგადოებასთან.

ალ ბანნა გადასვლის შემდეგ ძირითადად ახალი ორგანიზაციის და სკოლის საქმიანობით იყო დაკავებული. ამ პერიოდში ის სკოლის საქმიანობის შემდეგ [11]დარჩენილ თავისუფალ დროს საღამოს შტაბებში იყო, სადაც ლოცვებს შორის ლექციებს კითხულობდა და განუმარტავდა ყურანისეულ გამოცხადებებს იქ

[11] ALY ABDEL MONEIM SAID, “UNDERSTANDING THE MUSLIM BROTHRS IN EGYPT”, MIDDLE EAST BRIEF DECEMBER 2007, PAGE 78.

მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას, რომელთაც განათლრბა არ ჰქონდათ. ეს ქმედებები „ძმებს“ არაფრით განასხვავებდა იმ პერიოდში დედაქალაქში არსებული სხვა რელიგიური ორგანიზაციებისგან. II მსოფლიო ომის პერიოდში „მუსლიმი ძმების საზოგადოება“ აქტიურდება და ხელისუფლების ყველაზე კონკურენტ უნარიან ძალად ყალიბდება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ საზოგადოებას უამრავი მიმდევარი ჰყავდა ყველა სოციალურ ფენაში. მათ აქტიურად და ეფექტურად მოახერხეს კონტაქტების დამყარება ყველა საზოგადოების წარმომადგენლებთან. „გენერალური კონფერენციების“ მაშტაბი და ხედვები, პერიოდულად მოიწვეოდა დისკუსიების და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. სადაც გადაწყვეტილებების რატიფიკაციას ახდენდნენ.

1932-1939 წლების პერიოდში მოეწყო V დიდი კონფერენცია, რომლებიც მათი მოღვაწეობის საერთო სურათს ადგენს.

I გენერალური კონფერენცია 1933 წლის მაისში ჩატარდა, რომელიც ქრისტიანული მისიონერთა საქმიანობას მიეძღვნა. მეფე ფუ ადს გაუგზავნეს წერილი იმის იმედით, რომ ის შეძლებდა მათი საქმიანობის გაკონტროლებას.

II გენერალური კონფერენციაც იმავე წელს გაიმართა, რომელიც ეხებოდა სარეკლამო და ინსტრუქციულ პროპაგანდას, სადაც გადაწყდა პირველი „მუსლიმი ძმების“ ასოციაციის ჟურნალის დაარსება. ჟურნალში იბეჭდებოდა წევრებისათვის მნიშვნელოვანი დოქტრინული ტექსტები და 1948 წლამდე მოძრაობის იდეების შესწავლის მთავარი წყარო წერილები.

III გენერალური კონფერენცია წევრების გაზრდიდან გამომდინარე, ადგენდა წევრობის ახალ კრიტერიუმებს, მათ პასუხისმგებლობას, ასევე ორგანიზაციის სტრუქტურას და იერარქიას. ჩამოყალიბდა „ბოისკაუტთა“ ფორმირებები, რომელშიც გაერთიანებული ახალგაზრდების ფიზიკური და საბრძოლო მომზადება მიმდინარეობდა. 1937 წელს „ბოისკაუტთა“ შემდეგ ჩამოყალიბდა „ბატალიონები“.

IV გენერალური კონფერენცია მეფე ფარუკის საზეიმო კორონაციასთან დაკავშირებით გაიმარტა 1937 წელს.

V გენერალური კონფერენცია მიეძღვნა „შიდა ფორმაციების“ და „ორიენტაციის“ საკითხებს. ალ ბანნამ ამ კონფერენციას უწოდა „მოძრაობის მეორერე ეტაპი“. ასევე მნიშვნელოვანი იყო ეს კონფერენცია იმითაც, რომ 10 წლის იუბილეს დაემთხვა „მუსლიმი ძმების“ ასოციაციის დაარსებიდან. ამავე შეკრებაზე ჩამოაყალიბეს 3 ძირითადი დებულება: 1.ისლამი არის საერთო სრულყოფილი სისტემა და ცხოვრების ნებისმიერ სფეროს მოიცავს. 2.ისლამი ეყრდნობა ორ პირდაპირ წყაროს, ყურანის გამოცხადებას და მოციქულ მუჰამედის სიბრძნეს სუნაში. 3.ისლამი მისაღებია ყველა დროში და ყველგან. ასევე იქნა განხილული

სამომავლო გეგმები, სადაც უნდა ყოფილიყო წინსვლა და ამ წინსვლის მეშვეობით „მუსლიმი ძმების“ მისა შესრულებულიყო. ასევე დადგინდა ისიც, რომ ასოციაციამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო და შინაგანი სიძლიერე მოიპოვა.

პალესტინის საკითხმა ასოციაცია პირველად ჩართო პოლიტიკაში. „არაბთა ბრძოლაში“ პალესტინელ არაბთა დასახმარებლად შექმნეს დახმარების ფონდები(1936-1939), ხოლო 1939 წელს ალ ბანნამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ორგანიზაცია ჩაერთო საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. V გენ. კონფერენციამ „მუსლიმ ძმების“ ასოციაცია პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა. ეს ქმედება რ იყო გამოწვეული არამარტო ორგანიზაციის გავსების გაზრდის მიზნით, არამედ იმდროინდელი ეგვიპტის პოლიტიკური სიტუაციით.

ბრძოლის მეთოდების მიხედვით, ორგანიზაციაში გამოიკვეთებოდნენ „ბატალიონები“ და „ ბოისკაუტები“, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდნენ ძალისმიერ მეთოდებს. 1934 წლისთვის ძმობამ 50-ზე მეტი ფილიალი დაარსეს ეგვიპტეში, აგრეთვე მრავალი სკოლა და მეჩეთი და ქარხანა. ხოლო II მსოფლიო ომის ბოლოსკენ ისინი უფრო გაძლიერდნენ, როგორც წევრების რაოდენობით, რომელიც ნახევარ მილიონს აჭარბებდა, ასევე ფილიალებით რომლის რაოდენობა 2000 იყო ეგვიპტეში, ხოლო სუდანში 50-ს შეადგენდა.

2.2-„მუსლიმი ძმების“ გააქტიურება ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ტერორიზმის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვი.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მმართველობის ფორმა მონოკრატიულია, რომლის პოლიტიკური ხელისუფლების მმართველობის ძირითადი სადავეები პრეზიდენტის ხელშია. ქვეყანაში თეორიულად აღმასრულებელი ხელისუფლება გაყოფილია პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის. ამასთანავე პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და განსაზღვრულ შემთხვევებში კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება. პარლამენტის საკანომდებლო საქმიანობაზე პრეზიდენტს შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა ვეტოს უფლებით.

„მუსლიმი ძმების“ და ჰასან ალ ბანნას საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ეგვიპტის ხელისუფლებაში მოსვლა. ამისთვის ის ფიქრობდა, რომ მათ ისეთ სახელმწიფო ინსტიტუტებზე უნა მოეხდინათ, როგორიც იყო ეგვიპტის არმია. ამ ყველაფრისთვის სასურველი პირობები XX ს- ის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა. არმიის რიგებში შედიოდნენ საზოგადოების დაბალი და საშუალო ფენები, რომლებიც ცდილობდნენ პატრიოტული სულისკვეთებით ეჩვენებინათ ეგვიპტის

სრული გათავისუფლების გზა. ხერხები სხვადასხვა ჰქონდათ, მათი ნაწილი პოლიტიკურ პარტიებში ერთიანდებოდა, ხოლო ნაწილი იატაქვეშა დაჯგუფებას ქმნიდა. „მუსლიმი ძმების“ ნაცნობობამ ხელი შეუწყო არმიის საშუალო და დაბალ ოფიცრებთან ურთიერთობების დამყარებაში. მათ მიერ დამყარებულმა კავშირები 1947 წლიდან, უფრო ინტენსიური სახე მიიღო, მას შემდეგ რაც ძმობამ სასახლის კარს დაშორდ და მას ჯიჰადი გამოუცხადა. ეს ყველაფერი კი ნიშნავდა იმას, რომ ისინი აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ. „მუსლიმმა ძმებმა“ დაამყარეს მჭიდრო კონტაქტი „თავისუფალ ოფიცრებთან“. რა თქმა უნდა, ისინი ანგარიშს უწევდნენ ძმების დიდ გავლენას და ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს ფაქტორი იმისთვის, რომ განეხორციელებინათ თავისი პროგრამა. ამასთანავე „თავისუფალ ოფიცრებთა“ დამაარსებელთა და ცნობილ მოღვაწეთა დიდი რაოდენობა „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციის წევრები იყვნენ. მათ ორგანიზაციაში ასევე XX- ს. 40-იან წლებიშ იყო გაერთიანებული ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი ანვარ ას სადათი. იმის მიუხედავათ, რომ ბევრი ოფიცერი ძმობიდან გამოვიდა, ორგანიზაცია გარკვეულ ნაწილზე ისევ დიდ ზეგავლენას ახდენდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რევოლუციის შემდეგ ძმობას მფარველობა გარანტირებული ჰქონდა. ეს კარგად გამოჩნდა საწყის ეტაპზე, როდესაც ორგანიზაციამ მძიმე დარტყმა აირიდა თავიდან, განსხვავებით სხვა პარტიებისგან.

1950 წლის იანვარში ეგვიპტის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ვაფიდის“ პარტიამ. ამ პერიოდისთვის ეგვიპტეში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებდა , რომელიც შემოღებული იყო პალესტინის ომის დაწყებიდან 1948 წელს, პარტიის ხელმძღვანელმა სირაჯმა გააუქმა საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში და ამასთანავე „მუსლიმი ძმების“ საქმიანობა და ლეგალიზებული გახადა.[12]

„მუსლიმ ძმებს“ 1946 წლიდან 1952 წლამდე დროდა დრო კომუნისტებთან კავშირში ადანაშაულებდნენ. მათი ისლამური პრინციპებიდან გამომდინარე ისინი კომუნისტებს ვერ დაუკავშირდებოდნენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მისი რამდენიმე წევრი კომუნისტების გავლენის ქვეშ მოქცეოდა. ეს ეჭვი იქიდან დაიბადა, რომ როდესაც პოლიციის რეიდები ტარდებოდა ორგანიზაციის ცენტრებში, პოულობდნენ კომუნისტურ ლიტერატურას, მაგრამ ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ზუსტ მტკიცებულებად. სხვადასხვა მკვლევარი მიიჩნევს, რომ ცუდი განათლების მქონე წევრებმა არ იცოდნენ რას ინახავდნენ, ამასთანავე არ არის გამორიცხული, ისიც, რომ თვითონ პოლიციას შეჰქონდა რეიდების დროს ფარულად ეს ლიტერატურა და ამით სურდათ ძმების დისკრედიტაცია. კომუნისტების და „მუსლიმი ძმების“ ყველაზე დიდი ეჭვი იმაში, რომ ისინი თანამშრომლობდნენ

[12] სანიკიძე, გიორგი. ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ტეოროორიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი - ცნებათა განმარტებისათვის. პერსპექტიკა - xxi, ii, 1999, გვ.15-31.

დაიბადა 1952 წლის 26 იანვარს განვითარებულ მოვლენებში, რომელსაც „შავი შაბათი“ ეწოდა. ისინი მართლაც იღებნენ მონაწილეობას ამ მოვლენებში, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ ტერორისტული აქტზე პასუხისმგებელი იყო კომუნისტური პარტია. აღსანიშნავია ის მოსაზრებაც, რომ კომუნისტებმა ისე დაგეგმეს ეს მოქმედებები, რომ „მუსლიმი ძმების“ ბრალეულობა გამოჩენილიყო. ამასთანავე არსებობს ცნობები კაიროს დაწვის შესახებ გეგმა, რომელიც მეფე ფარუკმა და მისმა მომხრეებმა, ინგლისელთა დახმარებით შეიმუშავეს. მათ სურდათ „ვაფდის“ მთავრობა მოეშორებინათ და მომწიფებული რევოლუცია ჩახშოთ. შ. კურდღელაშვილი ამ განვითარებულ მოვლენებს ეგვიპტის ისტორიაში განვითარებულ არნახულ პროვოკაციას უწოდებს: „26 იანვარს შუადღისას კაიროში გრანდიოზული ანტიბრიტანული დემონსტრაცია მიმდინარეობდა, როდესაც სასახლის კარის მიერ დაქირავებულმა აგენტურამ, პროვოკაციის მიზნით, ცეცხლი წაუკიდა დედაქალაქის შენობებს და მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. პარალელურად, მეფემ იმავე დღის შუადღისას საკუთარ სასახლეში ტახტის მემკვიდრის დაბადების დღისადმი მიძღვნილი დიდი წვეულება გამართა, რომელზეც ეროვნული ჯარის და პოლიციის 600-მდე ოფიცერი მიიწვია. ამ ხრიკით მან თავიდან აიცილა ჯარის და პოლიციის ხალხის მხარეზე გადასვლის საშიშროება და თან ხელ-ფეხი გაუხსნა პროვოკატორებს თავისუფლად მოქმედებისთვის. ამ პროვოკაციის შემდეგ მეფემ „ვაფდის“ მთავრობა გადააყენა“. მთავრობის ახალ მეთაურად იქნა დანიშნული ალი მაჰირ ფაშა, რომელმაც ქვეყანაში მასობრივი რეპრესიების გატარება დაიწყო. ამ ყველაფერს ერთვოდა პარტიზანთა მასიური დაპატიმრება და პრესის ცენზურა, კრძალავდა სხვადასხვა ორგანიზაციებს. ზუსტად ამ მოვლენების დროს ეგვიპტის არმიაში ჩამოყალიბდა პატრიოტულად განწყობილი ეგვიპტელ ოფიცერთა საიდუმლო ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“. ქვეყანაში XX-ე საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში მოქმედებდა ორი რევოლუციური მოძრაობა: „მუსლიმი ძმები“ და „თავისუფალი ოფიცრები“. მრავალი ჯარისკაცი იმ პერიოდისთვის „მუსლიმი ძმების“ წევრები იყვნენ, მაგრამ ოფიცერთა ორგანიზაციამ ნელ-ნელა დაიწყეს მათი პოზიციების შევიწროვება და გამოდევნა უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტებიდან, თუ შაიდუმლო საბჭოებიდან. მათ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს „მუსლიმ ძმებთან“.

1952 წლის რევოლუციის წინ ოფიცრების ისევ დაუკავშირდნენ „მუსლიმ ძმებს“. მათ პირდაპირი კავშირი დაამყარეს ძმობის ხელმძღვანელებთან და გაანდეს სამოქმედო გეგმები. ალ ჰუდაიბი უზენაესი მოძღვარი ძმების გაეცნო ოფიცერების მიერ შეთავაზებულ გეგმას და ამასთან დაკავშირებით შეაშფთა. მისი აზრით ეს გადატრიალება ქვეყანაში სამხედრო დიქტატურას დაამყარებდა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა როგორც ხალხის მიზანს და ისლამის მოძღვრებას. მან ზეწოლის შედეგად განაცხადა, რომ მხარდაჭერას არ აუკრძალავდა სამხედრო გადატრიალებას

და მათთან ითანამშრომლებდა. მაგრამ მას სურდა სუეცის არხის მდებარე ბრიტანული ქვედანაყოფები მოეშორებინა მოვლენებისგან. ეს ყველაფერი ემსახურებოდა იმას, რომ რევოლუციის შემდგომ ორგანიზაციისთვის პრივილეგირებული ადგილები დაეკავებინა. 1952 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ „მუსლიმი ძმები“ 5 დღის შემდეგ შეხვდნენ, ამ შეხვედრის შემდეგ უმაღლესმა მოძღვარმა ჰასან ალ ჰუდაიმ ორგანიზაციის ფილიალებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც წევრებს არმიის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა.

ეგვიპტეში რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ იყო სამხედრო რეჟიმი. 1952 წლის 23 ივლისს სამხედრო ორგანიზაციამ „ თავისუფალი ოფიცრები“, რომელიც იატაკქვეშ მოღვაწეობდა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. მეფე ფარუკის ჩამოგდების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ რევოლუციური საბჭო, სადაც შევიდა „თავისუფალი ოფიცრების“ ორგანიზაციის ყოფილი აღმასრულებელი კომიტეტის 12 წევრი. ამ საბჭოს ხელმძღვანელები იყვნენ გენერალი მუჰამად ნაგიბი და მასთან ერთად აბდელ ნასერი. მონარქია ეგვიპტეში 1953 წელს გაუქმდა და გამოცხადდა რესპუბლიკა.

„თავისუფალი ოფიცრებს“ არ ჰქონდათ ზუსტად ჩამოყალიბებული პროგრამა. მაგრამ ისინი მთავარ მიზნად ისახავდნენ ბრიტანული იმპერიალიზმის და მიწათმფლობელობელობის წინააღმდეგ ბრძოლას. მათი ინტერესების გამომხატველ იყო მონარქია. მათ პირველივე კვირაში დაიწყეს კანონების გამოცემა რომლებიც აუქმებდნენ პოლიტიკურ პოლიცია, ამასთანავე მიღებულ იქნა კანონი კორუმპირებული ელემენტებისაგან სახელმწიფოს აპარატების გათავისუფლების შესახებ, ამას მოყვა ტიტულების გაუქმება „ფაშა“ და „ბეი“, რომლებიც თურქეთის ბატონობის პერიოდიდან არსებობდა. პირველი დროებითი კონსტიტუცია იქნა მიღებული 1953 წელს და დაითხოვეს პარლამენტი. ამასთანავე 1953 წელს გააუქმეს პოლიტიკური პარტიები და მოახდინეს მათი ქონების კოფისკაცია.(4) ხოლო ამ პარტიების ნაცვლად ჩამოაყალიბეს ერთადერთი ოფიციალური პოლიტიკური გაერთიანება -განთავისუფლების ორგანიზაცია, რომლის მიზანიც იყო ხალაი რეჟიმის გაძლიერება. ახალმა ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით გადაწყვიტა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხები, ესენი იყო: ინგლის-ეგვიპტის 1953 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულება, რომელიც სუდანს ანიჭებდა უფლებას თვით გამორკვევის შესახებ, ხოლო 1953 წელის თებერვალში დაიდო ხელშეკრულება შშ-ს და ეგვიპტეს შორის, რაც მოიცავდა „ტექნიკურ დახმარებას“. ინგლის-ეგვიპტეს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას 1954 წლის 19 ოქტომბერს, რომლის თანახმადაც ინგლის არმია მოახდენდა ევაკუაციას 20 თვის განმავლობაში. ეგვიპტის ხელისუფლებამ ამავე წელს აქტიურად დაიწყო თავდაცვითი ხელშეკრულებების გაფორმება სირიასთან და საუდის არაბეთთან, ხოლო მომდევნო წელს შედგა სამიტი, რომელსაც შეუერთდა იემენი.

„მუსლიმი ძმების“ და „თავისუფალი ოფიცრების“ ურთიერთობა დასაწყისისთვის პოზიტიურად მიმდინარეობდა. ოფიცრებმა დაიწყეს ჰასან ალ ბანნას მკვლელობის გამოძიება, ხოლო „მუსლიმი ძმების“ 11 წევრიდან 7 გაანთავისუფლეს ციხიდან. გენერალმა ნაჯიბმა ახალი მინისტრთა კაბინეტის შექმნის დროს ძმების სამი წევრი მიიწვია თანამდებობაზე, მაგრამ რევოლუციური სამბჭოსთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის შემდეგაც საძმომ უარი განაცხადა ახალი წევრების წარდგენაზე და მთავრობაში მონაწილეობაზე. მხოლოდ ალ ბაკური შევიდა რაც მან ასოციაციის სახელმძღვანელო საბჭოში თანამდებობა დატოვა და ნაჯიფის რელიგურ საქმეთა მინისტრი გახდა.

ჰასან ალ ჰუდაიბი ცდილობდა საბჭოზე სხვა სახის ზეწოლები განეხორციელებინა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მას სურდა ეგვიპტის კონსტიტუცია ყურანის პრინციპებზე დაფუძნებულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ უარი განაცხადა, რის შემდგომაც „მუსლიმი ძმები“ გადავიდნენ პასიურ თანამშრომლობაზე, ხოლო ჩუმად მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ძმებმა გამოუშვეს დოკუმენტი სახელად „ თეთრი რვეული“ სადაც ისინი ითხოვდნენ ეგვიპტის თეოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ისინი აქტიურად ითხოვდნენ მათი ლიდერის ალ ბანნას მკვლელობაში ეჭვმიტანილის „საადისტთა“ ლიდერის იბრაჰიმ აბდ ალ ჰადისის დასჯას. რევსაბჭოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით „მუსლიმმა ძმებმა“ 13 აგვისტოს მოაწყვეს კაფარ ად დავარში ბამბის ქარხნის მუშების გაფიცვა, რომელიც შემდეგ შეტაკებაში გადაიზარდა და შეეწირა შვიდი მუშა, ორი ჯარისკაცი და ერთი პოლიციელი.

რევოლუციურ ლიდერთა და „მუსლიმ ძმებს“ შორის პირველი აშკარა კრიზისი დაიწყო 1952 წლის 9 სექტემბერს. ამის მიზეზი იყო პარტიების მარეგულირებელი კანონის მიღება. ისინი ამ კანონის 17 პუნქტი უზღუდავდნენ ძალაუფლებას. „მუსლიმმა ძმებმა“ აქტიური მოქმედებები დაიწყეს თავისი ძალაუფლების გასაფართოვებლად ისინი აქტიურად წევრიანდებოდნენ ჯარში და პოლიციაში, ამასთანავე ცდილობდნენ თავიანთი კანდიდატები შეეყვანათ საკონსტიტუციო კომისიაში 1953 წელს, სადაც ისინი 3 წევრის სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ყველაზე აქტიურად მოქმედებები დაიწყეს პროფკავშირების მიმართულებით, რითაც ისინი მათზე კონტროლის დამყარებას ცდილობდნენ და შემდგომში გადატრიალების მოწყობაში გამოიყენებდნენ. ამ ქმედებებით ძმობის მეთაურის და ლიდერის ალ ჰაუდაიბის თავდაჯერებულობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ საიდუმლო მოლაპარაკება გამართა ეგვიპტეში ბრიტანეთის ელჩთან სუეცის არხის თაობაზე.

„მუსლიმი ძმების ესეთი ზეგავლენის გაფართოება საბჭოს აშფოთებდა. სიტუაცია უფრო დამძიმდა როდესაც ეგვიპტეს და ბრიტანეთს შორის წარუმატებელი

გამოდგა მოლაპარაკება სუეცის არხის თაობაზე. ან ნასირის მიერ შეთავაზებულ წინადადებას, რომ საძმოს ახალგაზრდა წევრებს დაურიგებდნენ იარაღს, იმისთვის, რომ სუეცის არხის ზონაში გაეგზავნა, უარი მიიღო. ამის შემდგომ მალევე დაიწყო დაპატიმრებები. ამ ქმედებით „ მუსლიმი ძმები“ მიხვდნენ, რომ საბჭოს ვერ [13]გააკონტროლებდნენ და დაუკავშირდნენ ძველ პოლიტიკურ პარტიებს. ხოლო მათი მთელი იმედი გენერალ ნაჯიბზე იყო დამოკიდებული.

1953 წლისთვის ნაგიბსა და ნასერს შორის გამოიკვეთა დაპირისპირება, რომელიც ნშნავდა ორი პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებას. ნაგიბის პოლიტიკური კურსი მოიცავდა სამოქალაქო მმართველობისკენ დაბრუნებას. მაგრამ არა ძველ პარტიებთან ერთად, ხოლო ნასერის კურსი იყო ერთმმართველობა-ხელმძღვანელი პოსტების სამხედროებისთვის შეენარჩუნებინა. ნაგიბს არ ჰქონდა ისეთი პოლიტიკური გავლენა, როგორც ნასერს და ის ეყრდნობოდა პარტია ვაფდ-ს და „მუსლიმ ძმებს“. ასეთმა მდგომარეობამ ქვეყანაში 1954 წელის 12 იანვარს გამოიწვია სისხლიანი შეტაკება განთავისუფლების ორგანიზაციასა და „მუსლიმი ძმების“ ასოციაციის სტუდენტებს შორის. საბჭომ რომელიც იმ პერიოდში მიზეზს ეძებდა „მუსლიმი ძმების“ ლიკვიდაციისთვის, თავის შანსი ხელიდან არ გაუშვა. 14 იანვარს გამოსცა ბრძანება ორგანიზაციის აკრძალვის შესახებ. ძმობის 450 წევრი დააპატიმრეს, მათ შორის უმაღლესი მოძღვარი ჰასან ალ ჰუდაიბი. ეს მცდელობა „მუსლიმი ძმების“ მიერ წარუმატებელი აღმოჩნდა და მათ სასტიკად გაუსწორდნენ ოქტომბერში(6 ლიდერი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ათასობით წევრი დააპატიმრეს). 1954 წელის 22 იანვარს რევსაბჭომ დაპატიმრებულები გამოუშვა, იმ პირობით რომ არ ჩაერეოდნენ ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. მაგრამ 1954 წლის 28 თებერვალს მათ ისარგებლეს რევსაბჭოში არეულობით და მოეწყო გამოსვლები საპარლამენტო წყობილების აღსადგენად და საბჭოს დასამხობად. ამ ყველაფრის აღსაკვეთად რევსაბჭო იძულებული გახდა აღეკვეთა ეს გამოსვლები, კაიროს რაიონში კერძოდ გიზაში კაიროს უნივერსიტეტის სტუდენტების გამოსვლის დროს მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიღუპა 8 სტუდენტი და დაიჭრა 20 . ამის პარალელურად შეტაკება მოხდა სასტუმრო „სემირამიდასთან“ სადაც ერთი სტუდენტი და ერთი პოლიციელი დაიღუპა, ხოლო 18 დაიჭრა. ამ ყველაფრის შემდეგ საძმომ კარგად დაინახა თუ როგორ უსწორდებოდა საბჭო მათ ქმედებებს და შეცვალეს სტრატეგია . 4 მაისს ალ ჰუდაიბიმ პრემიერ-მინისტრს წერილი გაუგზავნა საპარლამენტო წყობის დაბრუნებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამ წერილს ყურადღება არ მიაქციეს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება „მუსლიმ ძმებში“ და რევოლუციურის საბჭოს შორის კონვფროტაციის გადამწყვეტი მეორე ეტაპი.

[13] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი ტომი II 2019. გვ 80-111.

1954 წლის 27 ივლის მოწერილი ხელშეკრულება ეგვიპტესა და ინგლის შორის სუეცის არხის თაობაზე. ძმების სულიერი მოძღვარის ალ ჰუდაიბის მიერ შეფასებული იქნა, როგორც ეგვიპტელების და არაბების ინტერესების ზიანის მიმყენებელი. ხელშეკრულების წინასწარი ტექსტის ხელმოწერის მეორე დღეს უნდა გამართულიყო საზეიმო მიტინგი, მაგრამ „მუსლიმმა ძმებმა“ დაასწრეს საწინააღმდეგო მიტინგით.

რევოლუციური მთავრობის მიერ იქნა გამართული 1954 წლის 2 აგვისტოს სასამართლო, რომელზე სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს „მუსლიმი ძმების“ დამაარსებლის ალ ბანნას მკვლელებს. მეფის საიდუმლო პოლიციის ბრიგადირებს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ტერორისტ აჰმად ჰასან ალ ჰადის სამუდამო პატიმრობა. ამ საქციელით მთავრობა ცდილობდა ენახებინა საძმოსთვის თუ როგორ დასჯიდა ყველას ვინ ტერორისტულ ქმედებებს მიმართავდა, ასევე დაეშოშმინებინა ისინი. 22 აგვისტოს ქვეყანაში დაბრუნდა ალ ჰუდაიბი, ხოლო 27 აგვისტოს მეჩეთში სიტყვით გამოსვლის დროს მოუწოდა გამოსვლებისკენ, რასაც შეტაკება მოჰყვა პოლიციელებთან. ძმობის 30 წევრი დააპატიმრეს, ხოლო 50 კაცი დაიჭრა. მსგავსი შეტაკება 10 სექტემბერს მოხდა. რა თქმა უნდა, ამ მოვლენების შემდგომ შეტაკებები გახშირდა. ყველა ეს ხერხი წარმატების მომტანი არ გახდა ძმობისთვის და შიდა განხეთქილებამაც იმატა. „მუსლიმი ძმები“ ამით არ შემოიფარგლა, მათ მეორე სამოქმედო იარაღიც ჰქონდათ დარჩენილი. ეს იყო ტერორიზმი. 1954 წლის აპრილიდან ისინი ან ნასირის და რევსაბჭოს წევრების ლიკვიდაციის გეგმაზე მუშაობდნენ. მათ გეგმა ძალაში მოიყვანეს 26 ოქტომბერს ალექსანდრიაში ალ მანშიას მოედანზე ან ნასირის სიტყვით გამოსვლისას. მუსლიმი ძმების საიდუმლო აპარატის წევრმა მუჰამად აბდ ალ ლატიფმა ნასირს 8-ჯერ ესროლა, მაგრამ ყველა ტყვია ააცილა, მხოლოდ მის გვერდზე მდგომი სუდანელი სტუმარი დაიჭრა. რა თქმა უნდა ტერორისტი ადგილზევე დაიჭირეს. ამ ყველაფრის საპასუხოდ 28 ოქტომბერს „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაცია უკანონოდ გამოცხადდა. დაიწყო გამოძიება „მუსლიმი ძმების“ წინააღმდეგ, რომლის დროსაც გაირკვა, რომ აპირებდნენ ქვეყანაში რევოლუციის მოწყობას, რომლის დროსაც უნდა მოეკლათ ან ნასირი, ამის შემდეგ რევოლუციური საბჭოს წევრები და არმიის 120 ოფიცერი. სასამართლო 9 ნოემბერს დაიწო და წლის ბოლომდე გაგრძელდა. სასამართლოებზე ძმობაში არსებულმა განხეთქილება და დაპირისპირება ნათლად გამოიკვეთა. ლიდერები ერთმანეთის წინააღმდეგ აძლევდნენ ჩვენებებს.

1954 წლის 5 დეკემბერს საგანგებო გამოიცა, რომლის შედეგადაც „მუსლიმი ძმების“ ასოციაცია დაიშალა. მათ აეკრძალათ არამარტო პოლიტიკური საქმიანობა არამედ რელიგიურიც. ამ ყველაფრის შემდეგ მათ ვერ მოახერხეს გაერთიანება და გაძლიერება.

1954 წლიდან გამალ აბდელ ნასერი ხელმძღვანელი ხდება რევოლუციური საბჭოსი. სამწლიანი „გარდამავალი პერიოდის“ დასრულების შემდეგ, ის იყო არჩეული პრეზიდენტად 1956 წლის 23 ივნისს. ამავე პერიოდს უკავშირდება მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოიცავდა უკანასკნელი ბრიტანელი ჯარისკაცის წასვლას ეგვიპტიდან. 1956 წლის 23 ივნის რეფერენდუმზე მიღებულ იქნა ეგვიპტის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ამასთანავე გამოქვეყნდა დეკრეტი სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ, ამ ყველაფერს უყურადღებოდ არ ჩაუვლია და ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის მხრიდან. დაიწყეს სამხედრო ინტერვენცია, მაგრამ ეგვიპტის გადარჩენა აშშ-მ, სსრკ-მ და გაერომ მოახერხა.

ნასერი 1956 წლის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ლიდერი იყი მთლიან არაბულ სამყაროში, ამასთანავე ეგვიპტე ჩამოყალიბდა „არაბთა ერთიანობის“ ცენტრად. მეორე დროებითი კონსტიტუციით 1956 წლის 23 ივნის მიღებული იქნა ერთპარტიული რეჟიმი. „ეროვნული კავშირი“ იყო ერთადერთი პარტია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პრეზიდენტი. პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს უნდა დაესახელებინა და წარედგინა ეროვნული კრების ყველა დეპუტატი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ის ამტკიცებდა პარლამენტის შემადგენლობას. ამასთანავე კონსტიტუცია ითვალისწინებდა მუნიციპალური სამბჭოს დაარსებას. პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შედიოდა მერების და გუბერნატორების დანიშვნა. მას აგრეთვე შეეძლო დაეთხოვა მუნიციპალური საბჭო. ეგვიპტის მეთაურის არჩევა კონსტიტუციაში გაწერილი იყო რეფერენდუმის სახით, ამდაგვარმა არჩევის საშუალებამ განამტკიცა პრეზიდენტის ხელისუფლების ავტორიტარული ხასიათი.

1958 წლის თებერვალში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ეგვიპტის და სირიის გაერთიანების შესახებ და ამასთან დაკავშირებით ორივე ქვეყანაში ჩატარდა პლებისციტი. ორივე ქვეყნის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ნასერის დანიშვნას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტად. ამ გაერთიანების მიზეზი იყო პანარაბული ნაციონალიზმის იდეა. კაიროს და დამასკოს გაერთიანებაზე იმოქმედა 1956 წლის სამმაგმა აგრესიამ, ეგვიპტის წინააღმდეგ და სირიაზე ზეწოლამ. ამ ქმედებების უკან იდგნენ მეზობელი ქვეყნები თურქეთის, ისრაელის და ერაყის სახით. რესპუბლიკაში იყოფოდა ორ რაიონად-ჩრდილოეთი სირიული და სამხრეთი ეგვიპტური, ხოლო დედაქალაქად გამოცხადდა კაირო. მართველობის ეგვიპტური მოდელი გახდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საფუძველი, რამაც გამოიწვია სირიაში პოლიტიკური პარტიების გაუქმება, სირიელი ოფიცრების დათხოვნა და სხვა მკაცრი ღონისძიებების გატარება. ამ გაერთიანებამ ფუნქციონირება შეწყვიტა 1961 წლის სექტემბერს. ამის მიზეზი გახდა პოლიტიკური ექსპერიმენტების ნაჩქარევმა და გაუთვლელმა განხორციელებამ, მაგრამ მარტო ეს არ ყოფილია მიზეზი. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო დიდმა განსხვავებამ გაერთიანებული სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში. 1960-იან წლებში ეგვიპტის მთავრობა

იწყებს სოციალიზმის რეფორმების გატარებას მარქსისტული მოდელით. ეს რეფორმები მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ახალი აგრარული კანონი, პირველად იქნა დაწესებული ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება და პენსიები, 42 საათიანი სამუშაო კვირა, გააუქმეს სწავლის გადასახადი, შეამცირეს ბინის გადასახადები და მკურნალობის ხარჯები. ამავე წელს წარადგინეს 5 წლიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა ინდუსტრიულ განვითარებას. ეგვიპტეში ეკონომიკური განვითარება ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელს და ამ პრობლემის მოსაგვარებლად 1962 წელს შემოღებული იქნა ოჯახის დაგეგმვა.

რეფორმებს აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ეროვნული კრება და ეროვნული კავშირი, რის გამოც 1961 წლის ნოებერში იქნა დათხოვნილი. სახალხო ძალების ეროვნული კონგრესი იქნა მოწვეული 1962 წელს, რომელმაც დაამტკიცა „ეროვნული ქარტია“, რაც მოიცავდა თეორიულად დასაბუთებულ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პროგრამებს უახლოესი 10 წლის მანძილზე. პრეზიდენტი ნასერის მიერ 1962 წლის 6 ნოემბერს იქნა გამოცემული დეკრეტი „არაბული სოციალისტური კავშირის“ დაარსების შესახებ, რომლის თავმჯდომარე თვითონვე იყო. ამასთანავე ყველა მსურველს შეეძლო გაერთიანებულიყო გარდა „კაპიტალისების“ და „ფეოდალების“. 1968 წლისთვის მისი წევრების რაოდენობა 5 მლნ-ს გადააჭარბა.

ოფიციალურ დოკუმენტებში განხორციელებული გარდაქმნების ერთობლიობა შეფასდა, როგორც არაბული სოციალიზმი“-ეგვიპტის სოციალური არჩევანი, რომელსაც ჰქონდა :ეროვნული“ ხასიათი. ეროვნული ქარტიის მიხედვით, ეგვიპტე იყო არაბული რევოლუციის შუაგული, რათა მიეღწია თავისუფლების, სოციალიზმისა და ერთობისათვის. ეგვიპტის მოვალეობა იყო მოეხდინა რევოლუციის ექსპორტი არაბულ ქვეყნებში [14]

1964 წელს ეგვიპტეში გაუქმდა საგანგებო კანონები, ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოუშვეს პოლიტპატიმრები, მათ შორის კომუნისტები. ამით დასრულდა „გარდამავალი პერიოდი“. 1964 წლის ახალი კონსტიტუციით, ეგვიპტე გამოცხადდა დემოკრატიულ, სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომლის განვითარების გზა უნდა მომხდარიყო „ხალხთა მასების ხელმძღვანელობით“. ეროვნული კრების დეპუტატების 50% უნდა შემდგარიყო გლეხებოთ და მუშებით. პრეზიდენტი ნასერი მიიღწეოდა ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციისკენ. ამ რეჟიმის ასაღწერად მკვლევარები იყენებენ ტერმინებს: მართული დემოკრატია“ და „რბილი ავტორიტარიზმი“[15].

---

[14] Ginat 1996: pp.19-23

[15] Waterbury, 1983 pp.11-13

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდგომარეობა დაიძაბა 1967 წლის გაზაფხულზე, რასაც მოჰყვა „ექვსდღიანი ომი“, რომლის დროსაც ისრაელმა მოახერხა და დაიკავა ეგვიპტის კუთვნილი ტერიტორიები სინას ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი და აღმოსავლეთ იეროსალიმი , სირიის კუთვნილი გოლანის მაღლობები, აგრეთვე იორდანიის კუთვნილი მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირი. ისრაელმა მკვეთრი პოზიციები დაიკავა საერთაშორისო ასპარეზზე და უარი განაცხადა გაეროს უშიშროების საბჭოს №242 რეზოლუციის შესრულებაზე, რაც ითვალისწინებდა მათი ჯარების გაყვანას ომის დროს დაკავებული ტერიტორიებიდან.

ომში დამარცხების პასუხისმგებლობა პრეზიდენტმა ნასერმა თავის თავზე აიღო და დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განაცხადა. ამას მოყვა მასობრივი გამოსვლები ეგვიპტეში რაც ადასტურებდა იმას, რომ პრეზიდენტი ნასერი კვლავაც ითვლებოდა ჭეშმარიტ ლიდერად არამარტო ეგვიპტეში, არამედ მთელ არაბულ სამყაროში. რა თქმა უნდა, ამ ომში მარცხმა გამოიწვია პოლიტიკური ბრძოლის გამწვავება, მაგრამ ნასერის მიერ არჩეულ კურს ცვლილება არ განუცდია. 1967 წლის წარუმატებელი ომის შემდეგ დაიწყო კამპანია სამხედრო-ბიუროკრატიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ, კერძოდ მარშალ აბდელ ჰაქიმის დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელიც იგივდებოდა „ხელისუფლების პარალელურ ცენტრად“. ახალი მთავრობა ჩამოყალიბდა სტუდენტთა დემონსტრაციების შემდეგ 1968 წლის მარტს, ამ ყველაფერმა გამოიწვია მინისტრთა კაბინეტში სამხედროების მკვეთრი შემცირება, ხოლო „30 მარტის“ პროგრამით პრეზიდენტმა ნასერმა დაპირება მისცა ხალხს ცვლილებების შესახებ.

სსრკ-ის ეკონომიკური დახმარების მეშვეობით ეგვიპტეში აშენდა ასობით სამრეწველო ობიექტი. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს უმსხვილესი მეტალურგიული ქარხნები და ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი. ამ ყველაფრის მშენებლობა შეფასა როგორც „სამრეწველო გადატრიალება“.

1970 წელს გარდაიცვალა პრეზიდენტი ჯემალ აბდ ან ნასირი, ხოლო მისს თანამდებობა დაიკავა ვიცე პრეზიდენტმა ან ვარ ას სადათიმ, რომელსაც მძიმე მემკვიდრეობა დარჩა ქვეყანაში. ეს ყველაფერი ძირითადად გამოწვეული იყო 1967 წლის მარცხით. ალ სადათის და „მუსლიმი ძმების“ ურთიერთობა თავიდან შეგვიძლია ვთქვათ რომ დაძაბული იყო. ის ყოველთვის ცდილობდა აღენიშნა ძმობასთან მისი სულიერი ნათესაური კავშირის შესახებ. მას სურდა ან ნასირის მიმდევრები ჩამოეშორებინა გზიდან, ამისთვის კი ძმების დახმარება სჭირდებოდა. მართალია ლობის მოსაპოვებლად მან ციხიდან 1971 წესლ ძმობის წევრები გამოუშვა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი მაშინდელ ტრიბუნალში იღებდა მონაწილეობას რომელზეც ძმები გაასამართლეს. სადათი ძმების გამოყენებას ცდილობდა მემარცხენე ძალების წინააღმდეგ. ამავდროულად „მუსლიმი ძმები“

გამოეყვნენ სხვა რადიკალურ დაჯგუფებებს, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ მთავრობის გადატრიალებას. ახალი პრეზიდენტი ყველანაირად ცდილობდა მათ გულის მოგებას. მან კონსტიტუციის ზოჰიერთი პუნქტის შემუსავებაში ჩართო ძმები. მაგრამ ისინი მაინც უკმაყოფილოები იყვნენ, რადგან სურდათ რომ ისლამური სამართალი ერთადერთი წყარო ყოფილიყო. ეს მოთხოვნა 80-იან წლებში მათ ლოზუნგადაც იქცა.

1976 წლის არჩევნებში „მუსლიმმა ძმებმა“ მხარი ას სადათს დაუჭირეს , იმისათვის რომ გაემყარებინთ თავიანთი პოზიციები. 1977 წელს საძმოს სადათის სამშვიდობო გეგმა ისრაელთან გააკრიტიკა. ამავე წელს სურსათის ნაკლებობასთან დაკავშირებით გამოსვლებმა, რომელსაც „პურის ბუნტი“ ეწოდებოდა „მუსლიმ ძმებს“ კვლავ მისცა საშუალება ასპარეზზე გამოსულიყვნენ და ას სადათი [16]გაეკრიტიკებინათ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს პრეზიდენტის პასუხის გარეშე არ ჩაუვლია, დაიწყო მემარჯვენე და მემარცხენე დაჯგუფებებზე რეპრესიების გატარება. ამ გამოსვლებში მარტო ძმები არ მონაწილეობდნენ აქ სხვა ოპოზიციურად განწყობილი დაჯგუფებებიც იყვნენ.

პრეზიდენტმა ალ სადათიმ , ამ გამოსვლებში მარქსისტებს და მემარცხენეებს დასდო ბრალი და გააგრძელა მათი დაპატიმრება. ის ამბობდა იმას, რომ ოპოზიციურ ძალებს რომლებსაც საკუთარი პრესა ჰქონდათ, იმას მიუთითებდა ,რომ ქვეყანა დემოკრატიისკენ მიდიოდა. 1977 წლის 28 აგვისტოს უშიშროების სამსახურმა რადიკალური ისლამური ორგანიზაციის წევრები დააკავა დაჯგუფებას „ჯუნუდ ალ ლაჰ“ ერქვა და მისი 104 წევრი იქნა დაპატიმრებული, ხოლო 30 აგვისტოს პოლიციამ ალექსანდრიაში „ალ ჯიჰადის“ 80 წევრი დაიჭირა. სამთავრობო მედია ყოველი და სბუთების გარეშე ამტკიცებდა, იმას რომ მთ ქვეყანაში არეულობის მოწყობა სურდათ. მთავრობის მიერ ერთი დაჯგუფების ლიკვიდაციის შემდეგ, მის ადგილას ორი იჩენდა თავს.

1979 წელს სექტემბრის თვეში ქალაქ ისმაილში „მუსლიმი ძმების“ უმაღლესი მოძღვარი უმარ ათ თილმისან და ას სადათი შეხვდა, ეს შეხვედრა საბოლოო შერიგება იყო მათ შორის. ამ ყველაფრის შემდგომ მათი ურთიერთობები უფრო გაღრმავდა და 1981 წელს საძმოს ერთ-ერთი დამოჩენილი მოღვაწე შაიხ მუჰამმად ალ ღაზი 1981 წელს პრემიერ- მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

[16] ABDELNASSER WAILD M., “Islamic organizations in eEgypt and the Irabian revolution of 1979: The Experience of the First Few Years”, Arab srudies Quarterly, spring 1997, Vol.19,Issue2.

2.3 სხვა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები ეგვიპტის პოლიტიკაში თაქბირ ვალ ჰიჯრა,თანზიმ ალ ჯიჰადი და კოლეჯის ორგანიზაცია.

ა. თაქბირ ვალ ჰიჯრა.

შუქრი აჰმად მუსტაფა აბდ ალ ალი დაიბადა 1942 წელის 1 ივნისს ასიუტის სოფელ აბუ ხურუსში. შუქრიმ სოფელი მალევე მიატოვა და დედასთან ერთად ასიუტში გადავიდნენ საცხოვრებლად. მან განათლების მიღება დაიწყო ისლამური ქველმოქმედებით დაფინანსებულ სკოლაში, ხოლო დიპლომის აღების შემდგომ სწავლა ასიუტის უნივერსიტეტში განაგრძო აგრონომიულ ფაკულტეტზე. აქ ის „მუსლიმ ძმებს“ დაუკავშირდა . 1965 წელს 23 წლის ასაკში ის პროკლამაციების გავრცელების შემდეგ დააკავეს. ხოლო 1971 წლის 16 ოქტომბერს ალ სადათის [17]განკარგულებით შუქრი და მისი მეგობრები გაანთავისუფლეს. ის აქტიურად ეცნობოდა და სწავლობდა კუტების ნაშრომებს, რომლებმაც ზეგავლენ მოახდინეს მასზე.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ასიუტში დაბრუნდა და სწავლა დაასრულა. სწავლის პერიოდში კვლავ განაგრძობდა პროპაგანდისტულ მოღვაწეობას. ამით მან მალევე შეძლო კარგი რეპუტაციის მოპოვება ისლამისტურ წრეებში. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი კარგი ორატორული თვისებები. შუქრა და მისი მიმდევრები ასიუტის სოფლებში დადიოდნენ, იმისთვის, რომ ექადაგათ და ახალგაზრდები თავიანთ დაჯგუფებებში გაერთიანებინათ. ეს ყველაფერი წარმატების მომტანი გახდათ და 1972 წლის შემდეგ პოლიციამ მათზე მეთვალყურეობა დაიწყო. 1973 წლისთვის მისი რამდენიმე მიმდევარი დააპატიმრეს და მისი ნაშრომები ჩამოართვეს. მალევე ისინი გამოქვაბულში შეიხიზნენ. ხელისუფლება მათ საშიშ არ მიიჩნევდა, ისინი სექტასთან უფრო აიგივებდნენ. ამ სექტების რიგები საშუალ ფენის ხალხისგან ივსებოდა. რადგან ალ სადათის ლიბერალური ეკონომიკა კარგათ არ მოქმედებდა ამ ფენაზე. საერთო ცხოვრების წესი იყო მის მიერ შეთავაზებული მიმდევრებისათვის. შუქრი ორგანიზაციაში ქალებსაც და ბავშვებსაც იღებდა. ამ საშუალებით ის ახალგაზრდების მიზიდვას ცდილობდა.

ორგანიზაციის მმართველობის სტილი ავტოკრატიულ ხასიათს ატარებდა. მუსტაფა ამირად ითვლებოდა, იმის მიუხედავად, რომ ის წევრებთან დიალოგს და დისკუსიას მართავდა, ხოლო ბოლო სიტყვა მას ეკუთნოდა. მუსტაფას მიმდევრები მას უზენაეს ავტორიტეტად თვლიდნენ ღვთისმსახურებაში, ისლამურ სამართალში და თეოლოგიაში. ამის კარგი მაგალითია ის ფაქტიც, რომ მისი სიკვდილის დასჯის

[17] BOTHA a, “Politics and terrorism” ISS Paper 131, December 2006, page 8-44.

შემდეგ მის მიმდევრებს არ სჯეროდათ, რომ ხელისუფლებას შეეძლო მუსტაფას მოკვლა და განაჩენის გამოტანის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში ელოდებოდნენ მის დაბრუნებას, იმისთვის, რომ აღესრულებინა საღვთო მისია.

დაჯგუფების წევრებს ეცვათ პირველი მუსლიმების მსგავსი ტანისამოსი და ლაპარაკობდნენ სალიტერატურო არაბულზე. ოთახებში ერთად ცხოვრობდნენ წყვილები, მათ მხოლოდ ფარდები ჰყოფდა. ასევე ჰქონდა რამდენიმე ბანაკი სადაც წევრები წვრთნას გადიოდნენ, ზოგიერთი მათგანი მეჩეთში ცხოვრობდა და იქ აქტიურ პროპაგანდას უწევდა ორგანიზაციას. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო იყო მიწათმოქმედება, ხელნაკეთობების დამზადება და მათი გაყიდვა, ასევე შემოსავლის დიდი ნაწილი მოდიოდა ქუვეითიდან და საუდის არაბეთიდან გამოგზავნილი თანხები, რომელსაც შუქრის მიერ გაგზავნილი ორგანიზაციის წევრები აგზავნიდნენ.

შუქრის მიზანი იყო ისლამური წყობის დამყარება, ნებისმიერი ხერხით, ჯიჰადის გამოყენებითაც. ასევე მოუწოდებდა ემიგრაციაში წასვლა, იმ მეჩეთების დატოვებას, რომელთაც ისინი არ აკონტროლებდნენ. ისინი უნდა მომზადებულიყნენ ათეისტებთან ბრძოლისთვის და ხელისუფლების სადავეების ჩასაგდებად. შუქრის პირველი სამიზნე იყო იმდროინდელი მეჩეთები, რომლებიც ორ ნაწილად იყოფოდა სახელმწიფო, სადაც სახელმწიფო მოხელე უძღვებოდა და მეორე კერძო მეჩეთები, რომელიც ინდივიდების საკუთრება იყო.

მეორე სამიზნედ მუსტაფას ამორჩეული ჰყავდა არმია. მათთვის სახელმწიფო ჯარი და ისრაელის ჯარი ერთნაირი მტერი იყო. ისინი არ ატარებდნენ სახელმწიფოს ნორმას და არ გრძნობდნენ არანაირ ვალდებულებას მის მიმართ. შუქრი თავის მიმდევრებს სახელმწიფო სამსახურში მუშაობას უკრძალავდა. შუქრი ასევე ეწინააღმდეგებოდა განათლების სისტემას. ის თვლიდა, რომ ჭეშმარიტი ისლამის გზაზე დასაბრუნებლად საჭირო იყო საერო განათლების უარყოფა.

1976 წლისათვის ეგვიპტეში შემცირდა კონკურენტი ისლამისტების რაოდენობა, ხოლო ისინი ამით სარგებლობდნენ და მათ რიგებში გადმობირებას ცდილობდნენ. ამ ყველაფერმა კონფლიქტი გამოიწვია და შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ვინც კი განდგომილი იქნებოდა და დატოვებდა მის სექტას, ის ისლამთან წყვეტდა კავშირს, ხოლო მათი სასჯელი სიკვდილი უნდა ყოფილიყო ესე ფიქრობდა შუქრი. ამ ქმედების შემდეგ პოლიციამ სექტის რამდენიმე წევრი დააკავა ხოლო თვითონ შუქრი ძებნილად გამოცხადდა. ის და მისი ორაგნიზაცია გაზეთებში შერაცხეს, როგორც ფანატიკოსები კრიმინალთა ბანდა.

შუქრი ამ მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა თავის მიერ გამოცემული კომუნიკეებით, რომლებიც სასამართლო პროცესებზე გადაიქცა მისი იდეების

გავრცელების წყაროდ. მისმა მიმდევრებმა ეს კომუნიკეები გაუგზავნეს პრესას და ტელევიზიას, რაზეც მის გამოქვეყნებაზე უარი უთხრეს. ამის საპასუხოდ მისმა მომხრეებმა და შუქრიმ 1977 წლის 3 ივლისს მოიტაცეს ვაკუფთა ყოფილი მინისტრი მუჰამედ აშ შაიხ აზ ზაჰაბი. ხოლო დილით გამოსცეს კომუნიკე. მასში შესული მოთხოვნები უცნაურ შერწყმას წარმოადგენდა, რომელთა ნაწილის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო, ხოლო ზოგიერთის შეუძლებელი ისეთ ეგვიპტეში სადაც მმართველი ას სადათი იყო. რა თქმა, უნდა მთავრობა მათ მოთხოვნებს არ დათანხმდა, ხოლო საპასუხო რეაქციად მიიღო ის, რომ შუქრის მიმდევრებმა მძევალი მოკლეს. ამ ქმედების შემდეგ მთავრობამ დანაშაულში სავარაუდო ორგანიზატორები და ასოციაციის 620 წევრი დააკავა. 450 წევრი სამხედრო ტრიბუნალზე გაასამართლეს, იმის მიუხედავად, რომ ისინი არ იყვნენ არცერთი შეიარაღებული დაჯგუფების წევრები. 1977 წლის 31 ნოემბერს შუქრი მუსტაფას და მის დაჯგუფების კიდევ 4 წევრს სასიკვდილო განაჩენი მიუსაჯეს. ხოლო ეს განაჩენი 1978 წლის 19 მარტს აღავლინეს .

ბ. თანზიმ აკ ჯიჰადი.

„ალ ჯიჰადის“ ორგანიზაცია 1975 წელს დაარსდა ალექსანდრიაში აჰმად სალიმ ამირას მიერ. ამ ორგანიზაციის საქმიანობა ძირითად პორტ საიდში და ალ ბუჰარიას ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მათი მთავარი მიზანი იყო ურწმუნო სახელმწიფოს დაშლა და „ისლამიზაციის გზაზე“ დაყენება.[18]

ეს ორგანიზაცია იყო პირველი ვინც ეს სახელწოდება მიიღო, რა თქმა უნდა მის შემდგომ ბევრმა ორგანიზაციამ დაირქვა მსგავსი სახელი. თვითონ სახელწოდება „ჯიჰადი“ სამი მებრძოლი ჯიჰადის ორგანიზაციას ეწოდა. მათ ალ საათის მკვლელობის წინ გააერთიანეს და კუალიცია შექმნეს, ხოლო ამ სამი დაჯგუფების გაერთიანება საბოლოოდ 1981 წელს მოხდა.

მუჰამად აბდ ალ სალამ ფარაჯიმ 1978 წელს ალექსანდრიაში 1978 წელს აღმოაჩინა „ ალ ჯიჰადის“ ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელი იბრაჰიმ სალამ იყო. რა თქმა უნდა სალამამ ფარაჯი გადაიბირა, მაგრამ როგორც კი უშიშროების სამსახურმა ეს ორგანიზაცია აღმოაჩინა მან მაშინვე გაწყვიტა კავშირი და კაიროში გადავიდა, სადაც საკუთარი ჯიჰადის ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. კაიროში გადასვლის შემდეგ მან დაიწყო კაიროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მუშაობა, რის საშუალებითაც ის უმეგობრდებოდა სტუდენტებს და ზოგიერთი მათგანის გადაბირებაც შეძლო. ასევე მის სახლთან ახლოს მდებარე მეჩეთს ეწვია სადაც 20-30 წლის ახალგაზრდების გადაბირება დაიწყო. თვითონ წევრების გაერთიანება მკაცრად იყო გასაიდუმლებული, მხოლოდ სპეციალური განათლების მიღების შემდგომ

[18] DUNM.C., “Fundamentalism inEgept”, Middle East Policy, v.11, no.3.,1993 pp.89-99

ეცნობოდნენ ერთმანეთს. ორგანიზაციის სტრუქტურა „მუსლიმი ძმების“ სტრუქტურას ჰგავდა. ის შედგებოდა სათათბირო საბჭოსგან, რომელიც მართველი ორგანო იყო და 11 წევრისგან შედგებოდა. ხოლო თვითონ საბჭო 3 კომიტეტისგან : ეკონომიკის, მოწოდების და „ავდას“. ეკონომიკის კომიტეტს ორგანიზაციის დაფინანსების პრობლემების მოგვარება ევალებოდა, ხოლო ამ პრობლემას ქრისტიანულ მაღაზიებზე თავდასხმით აგვარებდნენ. მოწოდების კომიტეტის მოვალეობაში შედიოდა მოწოდებების გავრცელება, ორგანიზაციის პოლიტიკის გავრცელება და ახალი წევრების მიღება. ამ კომიტეტის მმართველი სიკვდილის ბოლომდე ფარაჯი იყო. ავდას კომიტეტს ანალიტიკური საქმიანობა ევალებოდა, რევოლუციისთვის ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. 1980 წლისთვის „ალ ჯიჰადის“ ორგანიზაცია მკვეთრად გაიზარდა, რითაც ქვეყნის უშიშროების სამსახურის ყურადღება მიიპყრო. ფარაჯს სჯეროდა და თვლიდა, რომ ჯიჰადი იყო ერთადერთი გზა ქვეყნის განსათავისუფლებლად და ყველა მუსლიმი ვალდებულია მიმართოს მათ.

მეორე „ალ ჯიჰადის“ ორგანიზაციის დამფუძნებელი ქარამ მუჰამმადმა 1980 წელს გაიცნო ფარაჯი. ამ პერიოდისთვის იე ერთ-ერთი ისლამისტური დაჯგუფების ამირა იყო. მუჰამადი უშიშროების სამსახურს ემალებოდა , მუსლიმებსა და კოტებს შორის შეჯახების გამო კაიროს უნივერსიტეტის კამპუსში. მან ფარაჯს თანხმობა განუცხადა, რომ გაერთიანებულიყო მის ორგანიზაციასთან.

მესამე ორგანიზაცია, რომელიც ფარაჯს შეუერთდა იყო მუჰამმად სალიმ არ რაჰჰალი, იორდანელი სტუდენტი. ფარაჯის მსგავსად მასა სურდა საკუთარი როგანიზაციის დაარსება, იმისთვის, რომ სეექმნა ისლამური სახელმწიფო. ის მომხრე იყო შეიარაღებული რევოლუციის, არ რაჰჰალმა დააფუძნა თავისი ორგანიზაცია 1979 წელს, შეიმუშავა სტრუქტურა და სტრატეგია. მან მოახერხა და დაიმეგობრა ეკონომიკის კურსდამთავრებულები ქამალ სა იდ ჰაბიბის ჩათვლით, ხოლო 1981 წელს ის ეგვიპტიდან გააძევეს. ჰაბიბიმ მოახერხა იმდენი, რომ თავისი მეგობრის საშუალებით ორგანიზაცია „ ალ ჰარა“ გააერთიანა ფარიჯის ორგანიზაციაში.

„ალ ჯიჰადის“ ორგანიზაციის ტერორისტული საქმიანობის ძირითადი სამიზნეები იყვნენ პოლიციელები და ქრისტიანები. ამის კარგი მაგალითებია:

1. 1980 წელს განხორციელებული თავდასხმა კოპტის ღვინის მაღაზიაზე.

2. 1981 წლის 1 საილველირო მაღაზიაზე თავდასხმა, რომლის მეპატრონეც ქრისტიანი იყო.

3. 1981 წლის 3 აგვისტოს ეკლესიაზე თავდასხმა .

4. ერთ-ერთი ფართომაშტაბიანი თავდასხმა 1981 წლის 8 ოქტომბერს მოხდა, როდესაც ასიუტში კონტროლის დამყარება სცადეს. შეტაკება მოხდა არმიასა და უშიშროების ძალებთან, სადაც დაიღუპა 3 ოფიცერი, 21 სამოქალაქო პირი, 26 ჯარისკაცი, დაიჭრა 32 მშვიდობიანი მოქალაქე, 190 ჯარისკაცი და 15 ოფიცერი. ამ თავდასხმამდე 2 დღით ადრე მათ ჩაიდინეს ყველაზე გახმაურებული ტერორისტული აქტი, როდესაც მოკლეს ეგვიპტის პრეზიდენტი ალ სადათი.[19] პრეზიდენტზე განხორციელებული თავდასხმის, დროს 45 წამის განმავლობაში ხელს არავინ უშლიდა ტერორისტებს, მხოლოდ და მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდგომ ჩაეთო შეტაკებაში. ალ სადათი მუცელსა და მკერდში იყო დაჭრილი, ხოლო ნაღმის ნამსხვრევმა მხარი გააგლიჯა.

ალ სადათის თავდასხმის შესახებ უამრავი ვერსია წარმოიშვა , ზოგი მათგანი ქვეყნის გარეთ მომხდარ უთანხმოებას უკავშირებდა, ზოგის ვერსიით „ათ თაქაფირ ვალჰიჯრას“ წევრებმა მკლეს, მაგრამ 1982-83 წლებში ბრლი „ალ ჯიჰადის“ წევრებს დასდეს ოფიციალური ვერსიით. პრეზიდენტის მკვლელი იყო ახალგაზრდ მამაკაცი ხალიდ ალ ისლამბური, ის არისტოკრატების ოჯახში დაიბადა.

1981 წელის 3 სექტემბერს მან გაგიგო თავის ძმის დაპატიმრების ამბავი, რამაც ძალიან განარისხა და შურისძიების გეგმა შეიმუშავა, რომელიც ფარაჯს გაანდო. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ის საარტილერიო კორპუსში ჩარიცხეს ლეიტენანტის ჩინით. როდესაც აღლუმის დღე მოვიდა ის თავის მეგობრის მაგივრად სამხედრო სატვირთო მანქანის ხელმძღვანელად დანიშნეს, ამით ისარგებლა და ორგანიზაციის სამი წევრი შეაპარა. გეგმა შემდგომში მდგომარეობდა ისინი როდესაც ტრიბუნას მიუახლოვდებოდნენ ის მანქანას გააჩერებდა ჯერ ყუმბარებს ესროდნენ, ხოლო ავტომატებიდან გახსნიდნენ ცეცხლს. მის მიერ შემუშავებულმა გეგმამ გაამართლა.

პრეზიდენტის სიკვდილის შემდეგ, ორგანიზაციამ ვერ მოახერხა დედაქალაქის პარალიზებადა „სახალხო“ რევოლუციის მოწყობა. ალ ისლამბული 1982 წლის 15 აპრილს შეთქმულებაში, მონაწილეებთან ერთად სიკვდილით დასაჯეს. ის თანამედროვეობის წამებულად ანუ შაჰიდად იქცა.

ალ სადათის მმართველობის, დროს ისლამი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა ეგვიპტეში. ეს არ ყოფილა მოჩვენებითი ზრდა, რადგანაც თვითონ სახელმწიფო შეეცადა ისლამური იდენტობის გათვისებით, ამის გაკეთებას ცდილობდა ისლამის ერთგულების დემონსტრირები ასევე ლეგალური კონსტიტუციური რეფორმებით. ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო და მოსახლეობის დიდი რაოდენობა დაუბრუნდა რელიგიას, ასევე მქადაგებლები და ისლამისტი ლიდერები დღითიდღე უფრო

[19] ქაროსანიძე, თინათინ. ფუნდამენტალიზმი და ისლამიზმი თანამედროვე ეგვიპტეში, თბილისი 2009 გვ. 78-91

მოთხოვნადი ხდებოდნენ, ამასთანავე ას სადათის მოღვაწეობის გაცნდა და გაიზარდა რადიკალური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციები, რომლებსაც აერთიანებდა ძალისმიერი მეთოდები. სწორედ ასეთმა რადიკალურმა ორგანიზაციამ შეიწირა ეგვიპტის პრეზიდენტი.

გ. კოლეჯის ორგანიზაცია.

„მუსლიმი ძმების“ წარმოშობილი ექსტრემისტული დაჯგუფებებისთვის თაქფირის და ჰაქიმიას იდები მიმზიდველი და მისაღები გახდა. თაქფირის იდა სხვადასხვა ორგანიზაციები განსხვავებული ინტერპრეტაციით იგებნენ. მათ შორის ყველაზე საშიში ორგანიზაცია „სამხედრო ტექნიკური ორგანიზაცია“ იყო რომელიც 1974 წელს შეიქმნა. ეს დასახელება მას დაარქვეს, როდესაც უშედეგოდ შეეცადნენ სამხედრო კოლეჯის აღებას, ხოლო ამ ინციდენტამდე მას ეწოდებოდა „ისლამური განმათავისუფლებელი პარტია“. მისი დამაარსებელი „მუსლიმი ძმების“ წევრი იყო იორდანიაში სახელად სალიჰ აბდ ალ სირია სწორედ ძმების პარტიიდან აიღო იდეა ძალის ძალისმიერი მოპოვების თაობაზე. მან კარგად გაანალიზა და შეისწავლა წინამორბედის შეცდომები. ის ამბობდა, რომ სახელმწიფოს კონტროლი იმ დროს არსებული წყობის დანგრევით უნდა განხორციელებულიყო. როდესაც ეს მოხდებოდა მუსლიმები თვითონვე ჩამოაყალიბებდნენ საზოგადოებას რწმენის შესაბამისად. ის 1937 წელს დაიბადა. საცხოვრებლად ერაყში წავიდა ,სადაც ძმების ორგანიზაციაში გაერთიანდა. ასევე პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციაში ოფიცერი იყო. 1971 წელს ის ერაყიდან გამოაძევეს პრეზიდენტის საწინააღმდეგო შეთქმულების ბრალდებით. ეს გახდა მიზეზი მის ეგვიპტეში გადასვლის, სადაც მან დოქტორის ხარისხი დაიცვა და ლექტორად დაიწყო მუშაობა. „მუსლიმ ძმებთან“ კონტაქტის მიუხედავათ ერაყში ის ორგანიზაციაში არ მიიღს. სალიჰმა გადაწყვიტა საკუთარი ორგანიზაცი შეექმნა. ამ პერიოდში მეჩეთში ახალგაზრდების უმრავლესობა დადიოდა, რაც მას ხელს აძლევდა, რომ ისინი გადმოებირებინა თავის ორგანიზაციაში. სირიამ მოახერხა და ორგანიზაციაში 100 სტუდენტი გააწევრიანა, რომელთაგანაც სამხედრო-ტექნიკური კოლეჯების სტუდენტებიც იყვნენ. 1974 წლისთვის ამს უკვე მომზადებული ჰქონდა თავდასხმა ზემოდ აღნიშნულ კოლეჯზე, საიდანაც ის სიტყვით გამოსვლას აპირებდა და მზად იყო წაეკითხა თავისი „კპმუმნიკე“. ის შედგებოდა 9 პუნქტისგან. ეს პუნქტები მოიცავდა ეგვიპტის მომავალს, რომელიც ისლამური პრინციპების მოწყობას ეხებოდა. მას არ გამოუვიდა ამ ტერაქტის ჩატარება, რადგან მისმა ერთმა მონაწილეები გაყიდა და მთავრობას შეატყობინა. ამ რეიდის დროს დაკავებული იყო 75 მონაწილე, რომელთაგანაც 16 ამავე კოლეჯის კურსანტი ოყო, ასევე ორი სამხედრო მოსამსახურე.

ეგვიპტის ხელისუფლებამ არ ისურვა სირიას კავშირის დანახვა „მუსლიმ ძმებთან“ და ეს ყველაფერ ლიბიას დააბრალა, იმისთვის , რომ მოსახლეობის ყურადღება გადაეტანა. გამოძიებამ ამ შეთქმულების მონაწილეები სასტიკად დასაჯა და პატიმრობის სხვადასხვა ვადა მიუსაჯა. დაკითხვის დროს სირიამ აღიარა ის ფაქტი, რომ კონსულტაციები საძმოსთან გაიარა. მისი შეთქმულება ისეთ პერიოდს დაემთხვა როდესაც სადათის პოპულარობა უმაღლეს მწვერვალზე იყო და ამ ტერაქტმა ისეთი გამოხმაურება ვერ მოიპოვა. მას და მის მიმდევრებს არ დაუტოვებიათ, არანაირი წერილობითი დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც გავიგებდით მათი საქმიანობის შესახებ. მხოლოდ და მხოლოდ 1980-იან წლებში გამოჩნდა სირიას წიგნი „რისალა ალ იმან“, რომელიც 61 გვერდისგან შედგებოდა. მან თავის წიგნი იდეოლოგიური პოსტულატები ჩამოაყალიბა, რომელიც 8 პოსტულატებისგან შედგებოდა“

1. „ისლამური სახელმწიფოს ერთადერთი გზა არის ჯიჰადი.
2. ნებისმიერი ვინც ურწმუნოთა ხელისუფლების დაცემისას მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, ვინც ისლამური სახელმწიფოს დაფუძნებას ცდილობს, ურწმუნოა.
3. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც არა ისლამური იდეოლოგიის პარტიას თუ ასოციაციაში არის გაწევრიანებული, ურწმუნოა, ვინც სხვა ფილოსოფიას აღიარებს, როგორიცაა ეგზისტენციალიზმი თუ პრაგმატიზმი, ურწმუნოა.
4. ჯაჰილია საზოგადოება და მმართველები ურწმუნოები არიან და უნდა აღიქვან როგორც მტრის ტერიტორია.
5. პოლიტიკურ პარტიებში, პარლამენტისა და კაბინეტის არჩევნებში მონაწილეობა ნებადართულია იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ძალაუფლების მოპოვებისათვის ისლამური სახელმწიფოს აღდგენის მიზნით იღწვის.
6. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ურწმუნო სახელმწიფოს ბრძანებებს ემორჩილება, რომელიც ისლამის და ისლამური მოძრაობის წინააღმდეგ არის მიმართული ურწმუნოა.
7. არჩევნებისას ისლამისტ, სოციალისტ, ნაციონალისტ და კომუნისტ კანდიდატებს შორის ვინც არა ისლამისტ კანდიდატს ხმას მისცემს, ურწმუნოა.
8. ვინც ალაჰის კანონების ნებისმიერ ნაწილს ეწინააღმდეგება ურწმუნოა“.[20]

ორგანიზაციის წევრები სასტიკად აწამეს, ხოლო მის ხელმძღვანელს სირიას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რითაც ამ რადიკალურმა ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა.

[20] თინათინ ქაროსანიძე ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგბიპტეში:“მუსლიმი ძმების“ და რადიკალური ისლამური ორგანიზაციების სტრატეგია თბილისი 2009 გვ. 200-201.

თავი-3 „არაბული გაზაფხული“ და ისლამისტების აქტივობა ახალ ეგვიპტეში

3.1 ისლამისტების მოსვლა ეგვიპტის ხელისუფლებაში „არაბული გაზაფხულის“ შედეგად.

არაბული გაზაფხული, სხვადასხვა საკითხების და მიზნების დამთხვევამ განაპირობა. მისი მიზანი არ ყოფილა რომელიმე ქვეყნის ფასეულეობების და ღირებულებეის გავრცელება. მისი ძირითადი მიზეზი და წინაპირობა იყო იმ პერიოდში არაბულ სამყაროში გავრცელებული უსამართლობა და ცხოვრების პირობები. ძირითად მმართველობის ფორმას წარმოადგენდა დიქტატურა, რომელიც ქვეყნებს ხელს უშლიდა განვითარებაში და სიდუხჭირიდან ამოსვლაში. ამ რევოლუციის მიზანი იყო სოციალური თანასწორობა. 2011 წელს დაწყებულმა გამოსვლებმა და რევოლუციურმა მდგომარეობამ, ხელ-ფეხი გაუხსნა ისლამისტებს, რომლებმაც ისარგბლეს ამ მდგომარეობით. ამ ყველაფრის საწყისი 2010 წლის დეკემბერში დაწყებული გამოსვლები იყო არაბულ სამყაროში.

ექსპერტების მიერ სახელდება „არაბული გაზაფხულის“ გამომწვევი მრავალი მიზეზი. ბევრი მიიჩნევს, რომ რევოლუციები მოხდა მხოლოდ რომელიმე ერთი ფაქტორის გამო. ბევრი არაბული მღელვარების ზრდას მხოლოდ შიდა ვითარებას ან მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს. ჩემი აზრით, 2011 წლის გაზაფხული არ იყო გამოწვეული მხოლოდ შიდა ან მხოლოდ რეგიონს გარეთ განვითარებული მოვლენებით, არამედ ყველა ფაქტორის თანხვედრამ განაპირობა ის, რომ არაბმა მოსახლეობამ შეძლო გამოეხატა საკუთარი აზრი და რევოლუციების გზით შეეცვალა დიქტატორული ხელისუფლებები. საგარეო ფაქტორები.

ტუნისის რევოლუციის სწრაფმა წარმატებამ “დომინოს ეფექტით” ითამაშა საპროტესტო აფეთქების დეტონატორის როლი მრავალ არაბულ ქვეყანაში, სადაც ხალხი ასევე უკმაყოფილო იყო თავისი კორუმპირებული მთავრობით: «თუკი თუნისელებმა შეძლეს, ჩვენც შეგვიძლია მოვიშოროთ ჩვენი მტარვალები» საყოველთაო ლოზუნგად იქცა “ხალხი მოითხოვს რეჟიმის დამხობას”. 2011 წლის იანვარშივე დაიწყო საპროტესტო გამოსვლები იორდანიაში, ომანში, იემენში, ეგვიპტეში, ბაჰრეინში, შემდეგ სირიაში და ჩრდილოეთ აფრიკის არბულ ქვეყნებში. დასავლეთის მასმედიამ 2011 წლის მოვლენებს სახელად “არაბული გაზაფხული” მიანიჭა, რადგან გაჩნდა იმედი, რომ “არაბმა ხალხებმა ზამთრის ძილისაგან გამოიღვიძეს, კორუფციას დაუპირისპირდნენ, მალე დემოკრატიული გარდაქმნების მომსწრე გავხდებით.”

დასავლეთელი სპეციალისტებისათვის “არაბული გაზაფხული” სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მათ მიაჩნდათ, რომ ვაშინგტონის მოკავშირე ავტორიტარული არაბი ლიდერები სტაბილურობის საიმედო გარანტები არიან.

იემენში პრეზიდენტმა ალი აბდალაჰ სალეჰმა დიდხანს გააჭიანურა თავისი დაპირების შესრულება გადადგომის შესახებ, სანამ ამას არ მოჰყვა სამოქალაქო ომი. მდიდარი არაბული მონარქიების უმეტესობას “არაბულმა გაზაფხულმა” გვერდით ჩაუარა, რადგან ადგილობრივი მოქალაქეები არ იყვნენ დაინტერესებული შეერყიათ პოლიტიკური სისტემა, რომელიც მათ მატერიალურ კეთილდღეობას ასე თუ ისე უზრუნველყოფს. იმავე ქვეყნებში მყოფი, მრავალ ენაზე მეტყველი, უცხოელი მუშები და მომსახურე პერსონალი კი, ზოგან მოსახლეობის დიდ უმრავლესობას რომ შეადგენენ, პროტესტის ორგანიზებას ვერც შეძლებდნენ.

“არაბული გაზაფხულის” სტიქიურად დაწყებისას რელიგიური მომენტი ზედაპირზე არ ჩანდა. ბაჰრეინშიც კი, უკმაყოფილო შიიტური უმრავლესობა, რომელიც სუნიტური ელიტის მხრიდან ჩაგვრას უჩიოდა, რელიგიურ მომენტს მაქსიმალურად უვლიდა გვერდს.

პოლიტიკური ექსპერტები, რომლებიც „არაბულ გაზაფხულს“ უკავშირებენ მხოლოდ საგარეო ფაქტორებს, გამოყოფენ ხუთ ძირითად მითს:პირველი მითის მიხედვით „არაბული გაზაფხული“ გამოიწვია ბარაკ ობამას მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ. მეორე მითშიც ფიგურირებს აშშ-ის როლი, კერძოდ ის, რომ ობამას ადმინისტრაციამ მიატოვა ჰოსნი მუბარაქი, მესამე და მეოთხე მითების მიხედვით „არაბული გაზაფხული“ გამოიწვია ირაელ-არაბეთის სამშვიდობო გეგმამ და სადამ ჰუსეინის დაცემამ ერაყში. მართლაც, საგარეო ფაქტორებმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მოვლენების განვითარებაში. აშშ-ს ხელისუფლებამ მიატოვა ჰოსნი მუბარაქი და ეს კარგად ჩანდა ბარაკ ობამას მიერ კაიროში წარმოთქმულ სიტყვაში. ობამას გამოსვლის შემდეგ არაბმა მოსახლეობამ იგრძნო, რომ აშშ-ის ახალი, დემოკრატი

ხელისუფლება მათ შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში აღარ ჩაერეოდა. ეს ფაქტორი საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ვფიქრობ, რომ მხოლოდ იგი ვერ გამოიწვევდა „არაბულ გაზაფხულს“. საზოგადოების ამხელა პროტესტის გამოსაწვევად აუცილებელი იყო უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები, ვიდრე ეს იყო აშშ-ის პოზიცია. ვფიქრობ, რომ შესაძლოა აშშ-ს ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხის ქუჩებში გამოსაყვანად, თუმცა გასათვალის წინებელია ქვეყნებს შიგნით მიმდინარე პროცესებიც. მხოლოდ საგარეო ფაქტორების მიზეზით არაბ მოსახლეობას არ გაუღვივდებოდა პროტესტის გრძნობა. საგარეო ფაქტორების გაანალიზებასთან ერთად აუცილებელია შევეხოთ საშინაო ვითარებასაც. ჩემი აზრით, რევოლუციების გამომწვევი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე მიზეზი იყო ქვეყნებში არსებული ეკონომიკური პრობლემები. ამ ყველაფერს ადასტურებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშში, რომ არაბულ ქვეყნებში 2011 წელს ფიქსირდება ყველაზე ცუდი ეკონომიკური მონაცემები უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2011 წლის მაჩვენებლით არაბულ ქვეყნებში დაეცა -7 % მდე, 2008 წლიდან 2011-მდე ეს მონაცემი შემცირდა 15 % -ით, რაც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ცუდი მაჩვენებელია. უმუშევრობის [21]დონე 2011 წლისთვის გაიზარდა 3-4 % -ით, ხოლო მთლიანი ფიქსირებული სახალხო კაპიტალის რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 15 % -ით. როგორც ამ მონაცემებიდანაც ჩანს „არაბულ გაზაფხულს“ ქვეყნის შიგნით არსებული საკმაოდ დაძაბული ეკონომიკური ვითარება თანსდევდა. არაბ ხალხს ნაკლებად ჰქონდათ იმის იმედი, რომ მომავალში ეკონომიკა გაძლიერდებოდა და ყველა სოციალური ფენა დაკმაყოფილდებოდა.რევოლუციისთვის ნაკლები. ყველა არაბული ქვეყნის მაგალითზე შეგვიძლია დავინახოთ, რომ კაპიტალიზმი რომელიც, გამეფებული იყო ამ ქვეყნებში სარგებელს აძლევდა მხოლოდ მმართველ უმცირესობას. ამის კარგი მაგალითად ეგვიპტე სადაც არსებობდა ორი ფენა: ძალიან მდიდრები და უკიდურესად ღარიბები. ღარიბი მოსახლეობის საარსებო თანხა დღეში დაახლოებით 1-2 დოლარს უტოლდებოდა. ასევე არაბულ ქვეყნებში დაბალ და ელიტურ ფენებში ყვაოდა კორუფცია და ნეპოტიზმი, რაც კიდევ უფრო დიდ დარტყმას აყენებდა ეკონომიკას. მაგალითად: ტუნისში საინვესტიციო გარიგებები არ ხდებოდა სამეფო ოჯახის გარეშე.

გარდა ეკონომიკური პრობლემებისა ამ ყველაფერს ემატებოდა შიდა პოლიტიკური პრობლმებიც, რომელიც გამოიხატებოდა ძირითადად დიქტატორულ

[2121]Coi-mra.gov.ge/ka/2018/03/05/ეგვიპტე-მუსლიმთა-საძმო-ო/ pp2 ეგვიპტე. მუსლიმთა საძმო: ორგანიზაციის იდეოლოგია და მოკლე ისტორია. მარტი, 2018 გვ.1 გამოქვეყნებულია:05.03.2018

მართველობაში. არაბული ქვეყნების მმართველები არ ერიდებოდნენ ძალის გამოყენებას თავიანთი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ამ უკამყოფილების და პროტესტის გასაძლიერებლად და ასაფეტქბლად, საჭირო იყო ერთი პატარა მიზეზი, რომელიც 2010 წლის 17 დეკემბერს მოხდა ტუნისსში. ახალგაზრდა მოვაჭრე მუჰამედ ბუაზიზმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართა და ქუჩაში თავი დაიწვა. ამის მიზეზი იყო გაუსაძლისი სიდუხჭირე რომელშიც ის ცხოვრობდა. მისი სიკვდილის კადრები უსწრაფესად გავრცელდა სოციალურ ქსელში. ამ კადრებმა შედეგი მოიტანა და აგორდა საპროტესტო ტალღა ,რომელიც ცუნამივით მოედო მთელს არაბულ სამყაროს.

ამ პროცესებში აქტიურად ჩაერთვნენ ისლამისტები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აგორებული საპროტესტო ტალღები არ იყო მათ მიერ მოწყობილი. ამ აქციებში მონაწილეობას იღებდა ყველა სქესის, რასის და რელიგიის განსვავების მიუხედავათ. ისინი გაერთიანა საერთო პრობლემამ. ზუსტად ამ ადამიანების გვერძე იდგნენ ისლამისტური დაჯგუფებები.

ეგვიპტეში უკვალოდ არ ჩაუვლია, მსგავსი საპროტეტსო გამოსვლების ტალღას. ჰოსნი მუბარაქი, რომელიც ეგვიპტეს 1981 წლიდან მართავდა, ეგბიპტის მოსახლეობა აუჯანყდა და მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო 2011 წლის 25 იანვარს. ამ აქციების ორგანიზატორები იყვნენ ოპოზიციური პარტიები და ახალგაზრდების ჯგუფები. მათი ძირითადი მოთხოვნა მუბარაქის გადადგომა და დემოკტაყიული არჩევნების ჩატარება იყო. ამ გამოსვლებს შეტაკების გარეშე არ ჩაუვლია პოლიციასთან. აქციის მონაწილეების მთავარი გეზი საგარეო სამეთა სამინისტროს, სახელმწიფო ტელევიზიისკენ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისკენ ჰქონდათ აღებული. დემონსტრაციების გაზრდასთან და გაძლიერებასთან ერთად ხელისუფლება სულ უფრო აძლიერებდა ძალადობრივ საშუალებებს. ეგვიპტეში გამოსვლებმა ხშირი ხასიათის სახე მიიღო, რამაც გამოიწვია ეგვიპტეში რევოლუციური მასების გაძლიერება, ხოლო მუბარაქის გადაგდების შემდგომ მოახერხეს და სამხედროებს არ მისცეს საშუალება ძალაუფლება თავიანთ ხელში აეღოთ. ამით ეგვიპტეში რევოლუცია დასრულდა, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში უკეთესი პერიოდი არ დადგა.

2012 წლის 2 ივნისს კაიროს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს სამუდამო პატიმრობა შეეფარდა. იგი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსული დემონსტრანტების მკვლელობაშია დადანაშაულებული.

მოვლენების დასრულების შემდეგ ეგვიპტეში 2012 წლის 24 ივნისს ჩატარდა არჩევნები, სადაც ხმები ორად გაიყო, მუჰამმად მურსის და აჰმად შარიფს შორის, რომელიც მუბარაქის პეერიოდში პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა,

ეგვიპტის ისტორიაში პირველი დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი მურსი გახდა ხმების 51,7%-ით, ხოლო მისმა კონკურენტმა 48.3%-ი მიიღო.

მისი პროგრამის მთავარი ასპექტები თავისუფალი ბაზრის წახალისება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იყო, მაგრამ რეფორმების გასატარებლად, „მუსლიმურ საძმოს“ და მურსის პრეზიდენტის პოსტის გარდა, საპარლამენტო უმრავლესობაც სჭირდება.საზეიმო განწყობა „მუსლიმურ საძმოს“ საკონსტიტუციო სასამართლოს 14 ივნისის და ეგვიპტის სამხედრო ძალების უზენაესი საბჭოს 17 ივნისის გადაწყვეტილებებმა გაუფუჭეს. ამის მთავარი მიზეზი იყო სასამართლო, რომლის წევრებიც პოსტებზე ჯერ კიდევ მუბარაქმა დანიშნ. მათ ქვეყნის საარჩევნო კანონი არაკონსტიტუციურად ცნო და 6 თვის წინ არჩეული პარლამენტი დაშალა. 508-წევრიანი პარლამენტის ქვედა პალატაში „მუსლიმურ საძმოს“ (უფრო სწორად, [22]თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიას) 235 წევრი ჰყავდა, ჯამში კი ისლამისტური პოლიტიკური ძალები პარლამენტის 80 %-საკონტროლებდნენ. ახალი

სასამართლომ იმავე დღეს გააუქმა კანონი პოლიტიკური იზოლაციის შესახებ, რომელიც მუბარაქის დროინდელ ჩინოვნიკებს პოლიტიკურ უფლებებს უზღუდავდა. კანონის გაუქმებით შაფიქს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის საშუალება მიეცა.

დემოკრატიულად არჩეული ახალი პრეზიდენტი მურსი, შეიძლება ითქვას, რომ ვერ ართმევდა თავის მოვალეობას თავს. თავიდანვე დაიწყო სასამართლო ხელისუფლების შევიწროვება, რეპრესიების გატარება ჟურნალისტების მიმართ, ასევე ჩამოუყალიბდა ცუდი ურთიერთობა სამხედროებთან და დაიწყო არასწორი ეკონომიკური რეფორმების გატარება. მისი პრეზიდენტობის პერიოდში არ ბრჭყინავდა საგარეო პოლიტიკა, რითაც გაიფუჭა ურთიერთობა ეკონომიკურ პარტნირებთან. მის მიერ მიღებულმა არასწორმა გადაწყვეტილებებმა სირიის საკითხთან დაკავშირებით ეგვიპტის პოზიციები შეარყია არაბულ სამყაროში. ის ახლო კავშირში იყო ისლამისტებთან და ცდილობდა გაემყარებინა მათი პოზიციები ეგვიპტის პოლიტიკაში. აქტიურად გადიოდა კონსულტაციებს ისლამისტების პირველ დამფუძნებელ ორგანიზაციასთან „ მუსლიმ ძმებთან“. ამის შემდეგ მათი რჩევით მკვეთრი შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში. ამ შესწორების მიზანი იყო სასამართლოსთვის აკრძალვა ზედა საპარლამენტო პალატის დათხოვნა, ამასთანავე აეკრძალა საკონსტიტუციო სამბლეის დათხოვნა. მან გაზარდა თავის უფლებები,

[22] https://mariotiashvili.worldprees.com/2013/12/10/არაბული-გაზაფხული-და-მის/ DECEMBER 10, 2013pp.2

რითაც ნებისმიერი მის მიერ გამცემული ბრძანებას ვერ გააუქმებდა სასამართლო, ეს ბრძანებები „რევოლუციის დასაცავად“ იყო წოდებული.

რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ, ისლამისტებმა ეგვიპტის სათავეში მოსვლის რეალური მანდატი მოიპოვეს. მათთვის მთავარი გამოწვევა ქვეყნის დაუძლურებული ეკონომიკაა. ეგვიპტის მშპ, წინა წლის 1,85%-იან მაჩვენებელთან შედარებით, წელს მხოლოდ 0,4%-ით გაიზარდა. უცხოური ინვესტიციები ბოლო 12 თვის მანძილზე თითქმის ორმაგად შემცირდა. ეს ევგიპტურ ფუნტზე ხელისუფლების პროტექციონისტულმა პოლიტიკამ განაპირობა. სესხებზე საფასური იზრდება. ნაციონალური ვალუტის დევალვაცია, მრავალი ეკონომისტის აზრით, გარდაუვალია. 2012 წლის Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, ეგვიპტეს, 11,7%-იანი ინფლაციით, მე-100 ადგილი უჭირავს.

მუსლიმური საძმო მოსახლეობას ახალ „ეკონომიკური განვითარების პროგრამას” სთავაზობს. ეს ხედვა კორუფციისა და ქრონიკული უმუშევრობის აღმოფხვრას, მწარმოებლობისა და უცხოური ინვესტიციების ზრდას, სოფლის მეურნეობის სექტორში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებას ითვალისწინებს. საძმოს ეკონომიკური დოქტრინა ძველი laissez-faire (ჩაურევლობის) ტრადიციითაა გაჯერებული. მაგალითად, 1950-იან წლებში დაჯგუფება, ეგვიპტის ეკონომიკის ნაციონალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების გამო, პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის წინააღმდეგ იბრძოდა.მუსლიმური საძმოს შეხედულებით, ისლამი საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ბაზრის მომხრეა. ჯგუფი მხარს უჭერს დაბალ გადასახადებსა და ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას ყურანში შემდეგი სიტყვების გამო: „ვისაც ბაზარზე შეაქვს საქონელი, კეთილია, მაგრამ ის, ვინც მონოპოლიას ახორციელებს, ბოროტი”. ქვეყნის ღარიბი მოსახლეობა აღტაცებულია საძმოს ახალი მფარველობითი სისტემით, რომელიც კვებას, განათლებასა და ჯანდაცვას უზრუნველყოფს მათთვის.

რათქმაუნდა მსგავსი ცვლილებები ეგვიპტეში ადვილად არ ჩაივლიდა და მსოხლეობა ამ ყველაფერს არ შეურიგდებოდა. ამ ქმედებებს მოჰყვა უკუ რეაქცია პოლიტიკური აფეთქების სახით და მასობრივი გამოსვლები. ამ დგომარეობის დაწყნარება სამხედროებმა მოახდინეს, ამ დგომარეობის დასტაბილურებაში და დაწყნარებაში დიდი წვლილი მიუძღვის სამხედრო საბჭოს თავჯდომარეს ალ სისის.

საპროტესტო აქციები 2013 წლის 30 ივნისს დაიწყო მთელს ეგვიპტეში, რომლის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა პრეზიდენტი მურსის გადაყენება იყო. ოპოზიცია ჩაუდგა აქციებს სათავეში, რომლიც მუბარაქის მთავრობის წევრებით იყვნენ დაკომპლექტებულნი. ამ ყველაფერს ემატებოდა, ისიც რომ პრეზიდენტმა დაკარგა ჯარის მხარდაჭერა და ხალხის მხარეს გადავიდა. ჯარის წარმომადგენლებმა 3 ივლისსამდე მიცეს პრეზიდენტს ვადა, იმ მოთხოვნით, რომ ის უნდა

გადამდგარიყო, ხოლო თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა ისინი ზალის მეშვეობით დაიკავებდნენ მართვის სადავეებს. მათ არ სურდათ პოლიტიკაში ჩარევა, მათი მიზანი იყო გამხდარიყვნენ სტაბილურობის გარანტი საჭირო დროს. ამ საქციელით [23]ეგვიპტელი მოსახლეობისათვის ისინი პოზიტიურ ძალად გადაიქნენ. შეძლეს და კონსტრუქციულ მოლაპარაკებაში გადაიყვანეს მდგომარეობა პოლიტიკურ ძალებთან, მხოლოდ „მუსლიმ ძმებთან“ და „ალ ღამა ალ ისლამიასთან“ ვერ მოახერხეს . პრეზიდენტ მურსის „მუსლიმი ძმების“ გარდა სხვა მოკავშირე აღარ დარჩა, რითაც ოპოზიციურმა ძალებმა შანსი არ დაუტოვეს.

პრეზიდენტმა მურსიმ ულტიმატუმის გასვლიდან ერთი დღით ადრე 2 ივლის სიტყვით მიმართა მოსახლეობას, სადაც აშკარად დააფიქსირა ის რომ არ აპირებდა ჯარის მიერ წაყენებულ ულტიმატუმის შესრულებას, რადგან ის იყო ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი. ვადის გასვლის შემდეგ 3 ივლის შეიკრიბა სხდომა სადაც მურსი ყოფილ პეზიდენტად იქნა გამოცხადებულ და მთლიანი ძალაუფლება ჯარს გდაეცა. ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა შეიარაღებული ძალების მიერ. მათ დაიწყეს მუშაობა მთავრობის დაკომპლექტებაზე, პრემიერის და მინისტების დანიშვნაზე.

„არჩეული პრეზიდენტი მოჰამედ მურსი დააპატიმრეს და სახელმწიფოს ღალატში დასდეს ბრალი. ციხეში მოხვდნენ ერთ დროს მმართველი პარტიისა და ახლა ეგვიპტეში სასამართლოს მიერ აკრძალული მოძრაობა "მულიმთა საძმოს" ლიდერები. მათ ნაწილს სიკვდილით დასჯა ემუქრება. ეგვიპტეში სწრაფი და ქმედითი დემოკრატიული ცვლილებების იმედი საბოოლოდ გენერალ აბდელ ფატაჰ ალ-სისის ხელისუფლებაში მოსვლამ დაასამარა. თუმცა, რამდენიმეთვიანი ყოყმანის შემდეგ დასავლეთმა ეგვიპტის ახალ ლიდერთან თანამშრომლობა მაინც განაახლა. დღეს ობამას ადმინისტრაციის ყოფილი წევრები და მათ შორის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც, რომელიც 2016 წელს "დემოკრატიული პარტიის" პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილება, სულ უფრო ხშირად ცდილობენ 2011 წელს ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებზე მთელი პასუხისმგებლობა აშშ-ის პრეზიდენტს დააკისრონ. როგორც კლინტონი ბიოგრაფიულ წიგნში წერს, ის მხარს უჭერდა ეგვიპტეში ხელისუფლების ჰოსნი მუბარაქის მემკვიდრისთვის გადაცემას, თუმცა, როგორც პოლიტიკოსი ამბობს, ობამამ ეს წინადადება უარყო”.

ამ დამარცხებით, დამკვიდრდა აზრი, რომ „მუსლიმი ძმების“ არსებობა დასრულდა, მაგრამ ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ისინი შეიძლება კვლავ „მიწისქვეშეთში“ გადავიდნენ და იქიდან გააგრძელონ მოქმედება.პარლამენტში

[23] ლაშა ჩველაშვილი, დემოკრატიული გარდაქმნების ტალღა ერასა და ეგვიპტეში, სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019 გვ. 67-70.

მოხვედრის შემდეგ მუსლიმურ საძმოს არც დრო და არც რესურსი არ ჰქონდა ეგვიპტის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესაცვლელად. მისი და სხვა ისლამისტური პარტიების პოპულარობა იკლებს.

„გაერთიანებული სამეფოს საშინაო საქმეთა ოფისი მუსლიმთა საძმოს შესახებ 2017 წლის 26 ივლისს გამოქვეყნებულ ანგარიშში წერს, რომ მუსლიმთა საძმოს აქტივობები არის სოციალური, ეკონომიკური, საქველმოქმედო და პოლიტიკური. მხარდამჭერები ხშირად მიუთითებენ ორგანიზაციის „სოციალურ“ მხარეზე. ჯგუფი ხაზს უსვამს ისლამური იდეების სოციალური მხარდაჭერის და თავისი მსუბუქი ძალის ზრდას იმ ეტაპამდე, ვიდრე მოიპოვებენ მმართველობის სადავეებს. მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან ისტორიულად მერყეობს პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს, მხარდაჭერასა და მდუმარე ოპოზიციაში ყოფნას შორის. მუსლიმთა საძმო მოვიდა ხელისუფლებაში 2011 წელს, მაგრამ მალევე სამხედრო გადატრიალების შედეგად, ისინი მმართველობას ჩამოაშორეს; ამან გამოიწვია მიმდინარე კონფრონტაცია სახელმწიფოსა და მუსლიმთა საძმოს შორის; ახალგაზრდა ფრთამ დააწესა ტერორისტული ტაქტიკა სახელმწიფოსა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო უფროსმა თაობამ უფრო მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის ფორმა აირჩია. ორგანიზაცია ამჟამად აკრძალულია. მის წევრებს ეკრძალებათ პოლიტიკურ პროცესებში საჯაროდ მონაწილეობა და მათი აქტივები ექსპროპრიაციის (ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ) სამიზნეა. პარტიები „ალ-ვასატი“ და „ძლიერი ეგვიპტის პარტია“ წარმოადგენენ მუსლიმთა საძმოს განშტოებებს. ძალადობრივი მიდგომის მომხრეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ იმ კამპანიის გაგრძელებას, რომლის მიზანიცაა სახელმწიფო ოფიციალური პირების მკვლელობები იქამდე, ვიდრე სამხედროები უარს აცხადებენ მოლაპარაკებებზე“.

3.2 ისლამისტებისათვის არახელსაყრელი პირობების მიზეზები ეგვიპტის პოლიტიკაში.

ეგვიპტე იყო, რიგით მეორე სახელმწიფო რომელშიც აგორდა საპროტესტო ტალღები 2011 წელს. რის შედეგადაც ქვეყანაში შეიცვალა მთავრობა და პირველად აირჩიეს დემოკრატიული გზით ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც ისლამისტური დაჯგუფების „მუსლიმი ძმების“ წარმომადგენელი იყო. მაგრამ ისლამისტები დიდხანს ვერ გა/ცერდნენ ქვეყნის ხელისუფლებაში და ვერ შეძლეს ფეხის მოკიდება. 2013 წლის 3 ივლის გადააყენეს და ქვეყნის სათავეში მოვიდა გენერალი აბდელ ფაჰ ალ სისი. ამ ყველაფერ შეერთებული შტატების მხრიდან მჰყვა მკვეთრი უარყოფითი

რეაქცია. აგვიპტის სამხედროტექნიკას ნაწილობრივ ემბარგო დაადო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამერიკული კომპანიების წილი ეგვიპტის იარაღის იმპორტში 76%-დან 49%-მდე შემცირდა. მაგრამ მალევე ნახეს ემბარგოს საწინააღმდეგო გზა და იარაღის შემოტანა რუსეთის და ევროპის ქვეყნებიდან დაიწყეს. 2015 წელს ამერიკამ გადახედა თავის გადაწყვეტილებას და ეგვიპტეს მოხსნა ემბარგო.

ეგვიპტემ 5,2 მლდ-იანი კონტრაქტი გააფორმა საფრანგეთან იმისთვსი, რომ მარტო ერთ მომწოდებელზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

2017 წლეს აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რადიკალურად შეცვალა ეგვიპტის მიმართ პოლიტიკა, თავისი წინამორბედისგან განსხვავებით. მან 2013 წლის გადატრიალება გულთბილად მიიღო და განუახლა როგორც სამხედრო დახმარება, ისე სამხედრო აღჭურვილობის შეძენის არხები.

პრეზიდენტი ალ სისი შემდგომ, ისლამისტებს კერძოდ „მუსლიმ ძმებს“ რთული პერიოდი დაუდგათ. „გაერთიანებული სამეფოს საშინაო საქმეთა ოფისი მუსლიმთა საძმოს შესახებ 2017 წლის 26 ივლისს გამოქვეყნებულ ანგარიშში წერს, რომ მუსლიმთა საძმოს აქტივობები არის სოციალური, ეკონომიკური, საქველმოქმედო და პოლიტიკური. მხარდამჭერები ხშირად მიუთითებენ ორგანიზაციის „სოციალურ“ მხარეზე. ჯგუფი ღნიშნავს ისლამური იდეების სოციალურ მხარდაჭერას და თავისი მსუბუქი ძალის ზრდას იმ ეტაპამდე, იქამდე სანამ მოიპოვებენ მმართველობის სადავეებს. მათი ურთიერთობა სახელმწიფოსთან ისტორიულად მერყეობს პირდაპირ სამხედრო კონფლიქტს, მხარდაჭერასა და მდუმარე ოპოზიციაში ყოფნას შორის. მუსლიმთა საძმო მოვიდა ხელისუფლებაში 2011 წელს, მაგრამ მალევე სამხედრო გადატრიალების შედეგად, ისინი მმართველობას ჩამოაშორეს; ამან გამოიწვია მიმდინარე კონფრონტაცია სახელმწიფოსა და „მუსლიმთა საძმოს“ შორის, ახალგაზრდა ფრთამ აირჩია ტერორისტული ტაქტიკა სახელმწიფოსა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინტერესების წინააღმდეგ, ხოლო უფროსმა თაობამ უფრო მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის გზას მიმართა. ორგანიზაცია ამჟამად აკრძალულია. მის წევრებს ეკრძალებათ პოლიტიკურ პროცესებში საჯაროდ მონაწილეობა და მათი აქტივები დაქონება სახელმწიფოს მიერ არის ჩამორთმეული. პარტიები „ალ-ვასატი“ და „ძლიერი ეგვიპტის პარტია“ წარმოადგენენ მუსლიმთა საძმოს განშტოებებს. ისინი ძალადობრივი მიდგომის მომხრეები მარიან და მიზანშეწონილად მიიჩნევენ იმ ქმედებეის გაგრძელებას, რომლის მიზანიცაა სახელმწიფო ოფიციალური პირების მკვლელობები იმ დრომდე, ვიდრე სამხედროები უარს აცხადებენ მოლაპარაკებებზე“.

2013 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ საძმომ განიცადა დიდი რაოდენობით ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეოლოგიური დაყოფა.

პრეზიდენტ სისის რეპრესიებმა მოძრაობა დაყო და შექმნა მნიშვნელოვანი აზრთა [24][25]სხვადასხვაობები წევრებს შორის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, დაწყებული რეჟიმის მიმართ მათი დამოკიდებულებიდან, დამთავრებული მათი პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური ხედვებით. ამ დაყოფებმა განსაზღვრა სისის რეპრესიებზე საძმოს პასუხის სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმა. ორგანიზაციულად, როდესაც ბევრი მაღალი რანგის წევრი ან ციხეშია ან გაქცეულია, საძმო ხელმძღვანელობის კრიზისის წინაშეა. ნ ახალგაზრდა და უფროს ლიდერებს შორის იზრდება განხეთქილება, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის სტრატეგიაზე.

გასული სამი წლის განმავლობაში საძმო ორ ბანაკად დაიყო: უფროსი და კონსერვატორი ლიდერები ახალგაზრდა და რევოლუციონერი წევრების წინააღმდეგ. ახალგაზრდებმა მოახერხეს მოძრაობაზე გავლენის მოპოვება რაც რეჟიმის წინააღმდეგ კონფრონტაციით შეძლეს. ახალმა და შედარებით ახალგაზრდა ხელმძღვანელობამ შექმნა „მაღალი ადმინისტრაციული კომიტეტი“, რომელსაც მუსლიმთა საძმოს ხელმღვანელთა ბიუროს ყოფილი წევრი მოჰამედ კამალი ჩაუდგა სათავეში. ის უსაფრთხოების ძალებმა 2016 წლის ოქტომბერს მოკლეს. კომიტეტმა ამ უთანხმოებით ისარგებლა და თავი მოძრაობის ხელმძღვანელად გამოაცხადა, რითაც წავიდა ისეთი ვეტერანი ლიდერების წინააღმდეგ, როგორიცაა საძმოს მოქმედი გენერალური ხელმძღვანელი მაჰმუდ ეზატი, რომელზეც გსმოთქვავენ ვარაუდს, რომ ეგვიპტეში იმალებ. მოძრაობის გენერალური მდივანი მაჰმუდ ჰოსეინი და იბრაჰიმ მუნირი, რომელიც გენერალური ხელმძღვანელის მოადგილედ დანიშნეს. ის 1980-იანი წლებიდან ლონდონში იმყოფება.

2016 წლის დეკემბერში მაღალი ადმინისტრაციული კომიტეტი დაიშალა და შეიქმნა ახალი სახელმძღვანელო ბიურო, რომელიც უფროსი თაობის ხელმძღვანელობამ უარყო. ასევე, პირველად ისტორიაში, საძმო გაიყო შიდა და გარე ხელმძღვანელობას შორის. მაღალი რანგის წევრებმა, რომლებიც თურქეთში გაიქცნენ, შექმნეს ახალი ოფისი, რომელსაც საგარეო ოფისი დაარქვეს. მათი მიზანი საძმოს წევრებისა და მათი აქტივობების ზედამხედველობაა.

პოლიტიკურად, საძმო გაყოფილია. რაც მოქმედებს მათ ერთობაზე და ვერ თანხმდება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი ტაქტიკითა და სტრატეგიით უნდა

---

[24] Al Jazeera; What happened to Egypt's Muslim Brotherhood? By Khalil al-Anani, Associate Professor of Political Science at the Dohar Institute for Graduate Studies; 15 February, 2017; available at: http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2017/02/happened-egypt-muslim-brotherhood-170212130839987.html pp1[accessed 19 February 2018] pp1

[25] Council on Foreign Affairs – CFA Backgrounder; Egypt's Muslim Brotherhood; January 2014; available at: http://www.cfr.org/egypt/egypts-muslim-brotherhood/p23991 pp4[accessed 19 February, 2018] pp.1

უპასუხოს რეჟიმის რეპრესიებს. ახალი ხელმძღვანელობა კონფრონტაციულ და უკომპრომისო პოზიციას ირჩევს, უფროსი ხელმძღვანელობის სურვილია, ღია დატოვოს კარი რეჟიმთან ვაჭრობისა და შერიგებისთვის. ახალი თაობის ხელმძღვანელობა მხარდაჭერას ახალგაზრდებისგან იღებს, რომლებიც რევოლუციის მომხრეებია არიან და რეჟიმის გამოწვევის სურვილი აქვთ.

საინფორმაციო ვებ-გვერდი „Alaraby“ 2017 წლის 10 ივნისს ქრისტიანულ ტაძარში ბზობის კვირას მომხდარი აფეთქების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ როგორც მინიმუმ მუსლიმთა საძმოს ერთი ნაწილი, მომხდარზე მთავრობას აკისრებს პასუხისმგებლობას და ადანაშაულებს მათ მიმდინარე ძალადობაში: „ეგვიპტის მმართველი რეჟიმის ხელი ურევია ბზობის კვირას ეკლესიებში მომხდარ აფეთქებაში, რომელთაც ათობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს“. ისლამისტურმა ჯგუფმა ეგვიპტის მთავრობა ასევე დაადანაშაულა ნილოსის დელტას ქალაქებში – ტანტასა და ალექსანდრიაში მომხდარ აფეთქებებში თანამონაწილეობაში; აფეთქებებს 44 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აკრძალულმა დაჯგუფებამ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ „ფაშისტურმა რეჟიმმა ერთიანი მიდგომა აირჩია თავის გადასარჩენად და შექმნა წარმოსახვითი მტერი ტერორიზმის სახით და ასე ცდილობს თავისი წარუმატებლობის დაფარვას და რიგითი ხალხის სიმპათიის მოპოვებას. ჩვენ ვადანაშაულებთ რეჟიმს ორი ინციდენტის დირიჟორობისა თუ ხელშეწყობისთვის.“ ამავე განცხადებაში მუსლიმთა საძმო გმობს მომხდარს და ამტკიცებს, რომ ბრალი არ მიუძღვის უდანაშაულო ხალხის დაღვრილ სისხლში.

ამ პერიოდისთვის ეგვიპტის პრეზიდენტი კვლავ სისია, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეგვიპტის პარლამენტი აპირებს მისი მმართველობის გახანგრძლივებას 2034 წლამდე. ეს ყველაფერი აჩვენებს იმას, რომ 2011 წელს, რა მიზეზითაც იბრზოდნენ აღარ არსებობს

კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანეს 2019 წლის 14 თებერვალს, რითაც საპრეზიდენტო ვადა 4 წლიდან 6 წლამდე იზრდება, ასევე ის იღებს უფლებას დანიშნოს მოსამართლეები,პროკურორები და სამხედრო კორპუსი ხდება მთავარიმაკონტროლებელი, სადაზვერვო და სამელთვაყურეო ორგანო. ამ კანონპროექტს პარლამენტის 596 წევრიდან 485 მხარი დაუჭირა.

დასკვნა

ეგვიპტემ საკმაოდ რთული და გრძელი გზა გაიარა, სანამ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა. დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში ეგვიპტეს მხარს უჭერდა დიდი ბრიტანეთი, სწორედ დიდი ბრიტანეთის ჩართულობითა და აქტიურობით მოიპოვა ეგვიპტემ ფორმალურად დამოუკიდებლობა. მაგრამ ამის შემდგომ, დიდი ხნის განმავლობაში ეგვიპტე დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

დამოუკიდებელმა ეგვიპტემ პოლიტიკური განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. ამ ეტაპებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა ორი პერიოდ. პირველი, ეს არის ეგვიპტე კონსტიტუციურ მონარქიის პერიოდში, რომელსაც საკმაოდ ბევრი სირთულეების გადალახვა მოუწია, რათა შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფადობა. მეორე პერიოდი ეს იყო , როდესაც მოხდა მონარქიის დამხობა და შეიქმნა ეგვიპტის სეკულარული რესპუბლიკა. აღნიშნული მომენტიდან ეგვიპტე განვითარების სრულიად სხვა ეტაპზე გადავიდა და შეიცვალა მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი . საგარეო პოლიტიკაში მოიაზრება მისი დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთში, ასევე რეგიონის გარეთაც.

ეგვიპტეში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელსაც ემატებოდა დიდი ბრიტანეთის მკაცრი პოლიტიკა ამ ქვეყნისადმი, ეგვიპტეში შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი ისლამიზმის განვითარების. სწორედ ისლამიზმის განვითარების შედეგია ორგანიზაცია ,,მუსლიმი ძმების“ ჩამოყალიბება, რომელიც თავიდან სოციალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა , მაგრამ მალე აღნიშნულმა ორგანიზაციამ დაიწყო აქტიური ბრძოლა პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობისათვის , რომელიც საამისოდ ტერორიზმსაც ხშირად მიმართავდა.

ეგვიპტეში ისლამიზმის და მუსლიმი ძმების საქმიანობისთვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი, რასაც აღნიშნული ორგანიზაცია საკმაოდ ეფექტურად იყენებდა.

მუსლიმი ძმები ძალიან მალე გააქტიურდნენ შექმნიდან ეგვიპტის პოლიტიკურ ასპარეზზე. ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაეგდოთ. მუსლიმი ძმებისათვის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამართლებული იყო ტერორიზმის გამოყენება, სწორედ ტერორიზმის მიმართულებით მათი გააქტიურების გამო მოხდა ის, რომ მუსლიმი ძმების საქმიანობა მათი ჩამოყალიბებიდან ორი ათეული წლის შემდგომ დაიბლოკა, რომელიც მიზნად ისახავდა მუსლიმი ძმების ორგანიზაციის დასუსტებას და შემდეგ მის სრულ კრახს. მაგრამ ორგანიზაციის აქტიურობამ დაჩრდილა ეს ყველაფერ და ისინი გახდნენ არა მარტო ეგვიპტის ისლამისტურ ორგანიზაციების არამედ ყველა ტერორისტული ორგანიზაციის ძირითადი იდეოლოგი და სულის ჩამდგმელები

გარდა ძმები მუსლიმებისა ეგვიპტეში განსაკუთრებით აღსანიშნავია ორგანიზაციების ,,ალ ჯიჰადისა“ და ,,თამზიმატ ალ ჯიფადის“ გააქტიურება. ამათ გარდა სხვა ისლამისტური ორგანიზაციებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ წარმოდგენილები ეგვიპტეში. აღსანიშნავია ამ მხრივ ორგანიზაცია ალ ჯიჰადის აქტიურობა, მისი გააქტიურება ეგვიპტეში იმით გამოიხატა, რომ ამ ორგანიზაციების მიერ მოკლული იქნა ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ ას სადათი, რომელმაც მოლაპარაკება აწარმოა ისრაელთან, აშშ-ს ჩარევით და ეგვიპტემ პირველმა არაბული ქვეყნებიდან აღიარა ისრაელის სახელმწიფოს არსებობა.

ორგანიზაცია ალ ჯიჰადი ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახდა ტერორისტული ორგანიზაცია ,,ალ კაიდას“ ჩამოყალიბებაში გასული საუკუნის 80-იან წლებში და უფრო მეტიც ალ ჯიჰადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალ კაიდას ლიდერს წარმოადგენს.

,,არაბული გაზაფხულის“ ტალღა ეგვიპტესაც შეეხო და ეს გამოიხატა იმაში, რომ ავტოკრატი მართველი ჰოსნი მუბარაქი რევოლუციის გზით ჩამოცილებულ იქნა ეგვიპტის პრეზიდენტობიდან. ეს სიტვაცია ისლამისტებმა კარგად გამოიყენეს, ისინი ისევ გააქტიურდენე და მოახერხეს დემოკრატიული არჩევნების გზით ხელში აიღეს ქვეყნის მართვის სადავეები. მიუხედავად ამისა ფაქტი ის არის, რომ ეგვიპტელი ხალხი იბრძოდა არა ისლამისტების ხელისუფლებაში მოსვლისთვის, არამედ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებისათვის.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სამხედრო ელიტამ კარგად გამოიყენა ეგვიპტელი ხალხის განწყობა, მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლებას

ჩამოაშორეს ისლამისტები, რომელთა მმართველობა ეგვიპტეში ძალიან ცოტა ხანი გაგრძელდა.

ავტოკრატიული მმართველობა ეგვიპტელი ხალხისათვისაც აუტანელი იყო. ამან გამოიწვია ის, რომ ეგვიპტელების მიზანს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარება წარმოადგენდა. მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო დემოკრატიული არჩევნების გზით შეცვლილიყო ეგვიპტეში ხელისუფლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვყანა მზად იყო ისლამისტების ხელისუფლებაში მოსლისათვის.

ეგვიპტელი ხალხისათვის მიუღებელი იყო როგორც ავტოკრატიული რეჟიმი, ასევე ისლამისტები რომლებიც საკმაოდ აფერხებდნენ ამ ქვეყნის როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ ისლამისტებმა ვერ შეძლეს მიუხედავად იმისა, რომ მათ მართვის სადავეები ხელში აიღეს ქვეყანაში დიდ ხანს დამკვიდრებულიყვნენ და შეენარჩუნებინათ ხელისუფლება.

მიუხედავად იმისა, რომ ისლამისტები ხელისუფლებიდან ჩამოაშორეს იმავე ძლებმა რომლებმაც ჰოსნი მუბარაქის მართველობის პერიოდში იყვნენ ხელისუფლებაში, ეგვიპტელი ხალხისთვის მისაღები აღმოჩნდა იმავე ძალების მართველობის პირობები, ვიდრე ისლამისტების ხელისუფლებაში ყოფნა. ფაქტობრივად ხელისუფლებაში დამყარდა ისევ ახალი ავტოკრატია და ახალი ავტოკრატიისათვის უფრო მზად აღმოჩნდა ეგვიპტე ვიდრე ისლამისტების მმართველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ, სანიკიძე, გ, ალასანია ნ, გელოვანი ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.–XXIს.- ის დასაწყისი) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი -2011 წელი.
2. ქაროსანიძე, თინათინ. ფუნდამენტალიზმი და ისლამიზმი თანამედროვე ეგვიპტეში, თბილისი 2009.
3. სანიკიძე, გიორგი. ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ტეოროიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი - ცნებათა განმარტებისათვის. პერსპექტიკა - xxi, ii, 1999.
4. დონაზე ვ. მენეშაშვილი ა., ცინცაძე ი, „აზიის და აფრიკის ქვეყნების უახლესი ისტორია, ნაწილი II თბილისი თსუ გამომცემლობა 1970.
5. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი ტომი II 2019.
6. ქაროსანიძე თ. „მუსლიმი ძმების ასოციასიის ისტორიიდან“ თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, თბილისი 2001
7. ნ. გელოვანი, გ, სანიკიძე ,,ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2009 წელი
8. გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008
9. ისლამის, ენციკლოპედიური ცნობარი, კ.კუცია რედ გ. ბერაძე თბილისი 1999
10. ლაშა ჩველაშვილი, დემოკრატიული გარდაქმნების ტალღა ერასა და ეგვიპტეში, სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019
11. კლარჯეიშვილი ლ., „თანამედროვე ეგვიპტის და სუდანის ეკონომიკური განვითარების პრობლემები“ თბილისი, 1996
12. „მუსლიმი ძმები“ და ეგვიპტის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები II მსოფლიო ომის დროს“. აღმოსავლეთი და კავკასია

ივ,ჯავახიშვილის სახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2005.

13. ქართული სბჭოთა ენციკლოპედია ტ. 4

14. Kepel, Gillers. Muslim Extremism in Egypt. Berkeley: university of California Press, 1984, 2002.
15. ALY ABDEL MONEIM SAID, "UNDERSTANDING THE MUSLIM BROTHRS IN EGYPT", MIDDLE EAST BRIEF DECEMBER 2007,
16. *Connelly.* Blundering to Glory: Napoleon's Military Campaigns. Rowman & Littlefield Pub., 2006. 3rd ed
17. *Smith.* The Greenhill Napoleonic Wars Data Book. Greenhill BoAl Jazeera; What happened to Egypt's Muslim Brotherhood? By Khalil al-Anani, Associate Professor of Political Science at the Dohar Institute for Graduate Studies; 15 February,2017 Council on Foreign Affairs 19. – CFA Backgrounder; Egypt's Muslim Brotherhood; January 2014; available at: http://www.cfr.org/egypt/egypts-muslim-brotherhood/p23991 [accessed 19 February, 2018]
20. https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/
21. https://www.theguardian.com/world/2018/aug/01/petition-signals-egyptian-presidents-abdel-fatah-al-sisi-intention-to-seek-third-termpp1
22. https://iliauni.edu.ge/uploads/other/43/43489.pdf?fbclid=IwAR0NTM1--YRSGyAqgJVDGQBZvNOYqgQ4IwCDkRys4TvVeRINKZGhBYYfDOA

23http://www.tabula.ge/ge/story/58628-muslimi-dzmebi

24https://www.ambebi.ge/article/163597-ras-qveba-arabi-gogona-muslimi-kalebis-cxovrebis-cesze-titkos-18-celi-cixeshi-gavatare/?fbclid=IwAR3ZfWMjHm3cCaj9advBtDNeaxOzLI3kIXLgFervUgUfxRJ4J9EwRsVyJYw

25https://mariotiashvili.worldprees.com/2013/12/10/არაბული-გაზაფხული-და-მის/ DECEMBER 10, 2013

26Coi-mra.gov.ge/ka/2018/03/05/ეგვიპტე-მუსლიმთა-საძმო-ო/ ეგვიპტე. მუსლიმთა საძმო: ორგანიზაციის იდეოლოგია და მოკლე ისტორია. მარტი, 2018

გამოქვეყნებულია:05.03.2018

27 availableat: http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2017/02/happened-egypt-muslim-brotherhood-170212130839987.html [accessed 19 February 2018]

28. http://www.tabula.ge/ge/story/52402-sikvdilis-angelozebi

29.https://www.kavkaz-uzel.eu/articles/251513/?print=true

30.http://tajmigrant.com/